# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 23 ივნისი 1999 №116 (889) ფასი 50 თეთრი

# ლონდონში დიდი მსხვერპლია

## მარტინა ჰინგისი 16 წლის სტიქიურმა უბედურებამ შეიწირა




გუშინდლიდან 16 წლის ელენა დოკიჩზე მთელი მსოფლიო ალაპარაკდა

ერთი, სამადლო სენსაციის გარეშე ჩავლილ პირველ დღეს უიმბლდონზე იმისთანა ქარიშხალი მოჰყვა, ლონდონელებს ხუთი წელია, არ უნახავთ. მსხვერპლი დიდია — სტიქიურმა უბედურებამ გრიგალის სისწრაფით, ცუნამის ძალით, მიწისძვრის შედეგებითა და 16 წლის კაფანდარა გოგონას გარეგნობით მსოფლიოს პირველი ჩოგანი და ტურნირის უპირველესი ფავორიტი მარტინა ჰინგისი შეიწირა.

იხილეთ მეცხრე გვერდი




ჰინგისის დრამა: მარტინას დოკიჩთან მარცხი ჯერაც ვერ დაუჯერებია

2

## გვარამაძეს ლატვიაში დაუძახეს

რიგის „სკონტომ“ ევროთასების წინ „დინამოს“ მეკარე წაჰგვარა

3

## დილაში ისევ რეკონსტრუქციაა

გორის „დილას“ ახალი მწვრთნელი და ახალი პრეზიდენტი ჰყავს

6

## ეს გზაც ლონდონისკენ მიდის



დიდიე დეშამპი „ჩელსიში“ გადავიდა

6

## ჯუზეპე ბერგომი აღარ ითამაშებს

„ინტერის“ კაპიტნის 20-წლიანი მილანური ეპოპეა დასრულდა

12

## დალასი რატომ?

არავინ იყო ისე ერთსულ, როგორც ტეხასელები

## გოგოლაძემ ინგლისელის ცემით დაიწყო

## კანდელაკმა უკრაინელის ძლევით გააგრძელა

კობა გოგოლაძის დებიუტი პროფესიულ კრივში იღბლიანი გამოდგა. გუშინ ინგლისურ იფსვიჩში, თავის პირველ პროფესიულ ბრძოლაში ფოთელმა ბრიტანელი ალან სმიტი პირველივე რაუნდში ნოკაუტით დასცა და გამარჯვებაც იზეიმა.

ვიდრე კობა ალან სმიტს შეერკინებოდა, მანამდე რინგზე გიორგი კანდელაკი გავიდა. ვარიანელმა არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და უკრაინელი იური ელისტრატოვი წუთსა და 52 წამში მოინელა.

EURO BASKET 99 FRANCE

# ჩეხეთმა ლიტვას საბერძნეთიც მიაყოლა

სანამ ჩვენი შესარჩევი ჯგუფიდან გასული ჩეხეთი სასწაულებს სჩადის, ჩვენი მეორე თანაჯგუფელი თურქეთი ექსიუგოსლავიელებს დაერია: გუშინწინ ბოსნიას სძლია, გუშინ კი ხორვატიას 10 ქულით ჩამორჩენილმა საბოლოოდ 7 ქულით გაიმარჯვა

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი




საბერძნეთი — ჩეხეთი 72:83. ჩეხეთის ცენტრი ირჟი ოკაჩი (ბურთით) ბერძენთა ცენტრის, სოხუმში აღზრდილი იაკოვოს ცაკალიდისის (№12) წინააღმდეგ

# ლოკომოტივი: ბევრი ფული დიდი ამბიცია

*თბილისის „ლოკომოტივის“ ყოფილ მწვრთნელ თემურ მახარაძესთან გასაუბრება, აბა, როგორ არ ვცადეთ, მაგრამ მისგან ისეთივე თავაზიანი უარი მივიღეთ, როგორი თანხმობაც კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ბატონ ტარიელ ღვაბერიძისგან — რაზეა ლაპარაკი, გვითხრა მან და თავისთან მიგვიპატიჟა.*

*სათქმელი კი მართლაც გვქონდა. „ლოკომოტივის“ მოახლოებული ევროდებიუტიც რომ არა, ამ გუნდის უფროსობამ ხომ, ცოტა არ იყოს, უცნაური გადაწყვეტილება მიიღო და ჩემპიონატის დამთავრებისთანავე მწვრთნელი მახარაძე ახალგაზრდული ნაკრების თავკაც მურთაზ ხურცილავათი შეცვალა.*

*რა იყო ამისი მიზეზი? რითი სჯობს მწვრთნელი ხურცილავა, მწვრთნელ მახარაძეს? როდის გადაწყდა „ლოკომოტივის“ ხურცილავასთვის ჩაბარება? აწყობდა თუ არა ბრინჯაოს პრიზიორი თბილისური გუნდი ჩემპიონატის თამაშებს? აი, კითხვები, რომლებზეც რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის სამსახურში არყოფნისას მისმა მოადგილემ, ბატონმა ტარიელ ღვაბერიძემ გვიპასუხა.*

— თემურ მახარაძე არსადაც არ გაგვიშვია. ის ისევ „ლოკომოტივის“ სამსახურშია, ბავშვები ჩავაბარეთ. ჩვენს საფეხბურთო სკოლას, სადაც ძალიან ბევრი მომავალი ფეხბურთელი ვარჯიშობს, სწორედ მახარაძე უხელმძღვანელებს, მერე რომ თავში საცემად არ გვქონდეს საქმე, ქვეყანა არ შემოვიაროთ კარგი ფეხბურთელების მოსაძებნად, ამიტომ გადაწყდა ასე. ამის შემდეგ „ლოკომოტივი“ თავისსავე ბიჭებით დაკომპლექტდება. ხურცილავას რაც შეეხება, მისი გუნდის მწვრთნელად დანიშვნა თემურ მახარაძესთან შეთანხმებით მოხდა. მან თქვა, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, „ლოკომოტივისთვის“ როგორც აჯობებს, ისე გადავწყვიტოთო. ჩვენც გუნდის გაძლიერება გვსურდა, უეფას თასზე ღირსეული თამაში.

**— ამბობენ, ხურცილავას მწვრთნელად დანიშვნა ჩემპიონატის დამთავრებამდეც გადაწყვეტილი იყოო.**

— არა, მურთაზს გუნდი დაახლოებით ათიოდ დღეა, რაც ჩავაბარეთ. მანამდე კი მას სულ ერთხელ შევხვდით. საუბრის თემა სულ სხვა გახლდათ. გამოცდილი, ფეხბურთში ბევრის მნახველი კაცია და ზოგადად, სხვადასხვა საკითხზე მისი აზრი გვაინტერესებდა.

**— ორი თვეა, მახარაძის მწვრთნელობიდან განთავისუფლების შესახებ ლაპარაკობენ...**

— ამ ჭორებს გუნდის მტრები ავრცელებდნენ. წყალტუბოში, თასის საპასუხო ნახევარფინალში მარცხის შემდეგ დაიწყო მითქმა-მოთქმა, მახარაძე გუნდიდან გაათავისუფლესო. არადა, მსგავსი რამ აზრადაც არ მოგვსვლია. მიზეზი ელემენტარულია, ძალიან ბევრ მწვრთნელს სურდა და ახლაც სურს „ლოკომოტივში“ მუშაობა.

**— ამასაც ამბობენ, მახარაძემ რკინიგზის უფროსობას ბევრი ფული დაახარჯინა, გუნდმა კი სასურველ შედეგს ვერ მიაღწიაო.**

— მართალია, ჩემპიონატში მეორე ადგილი და თასის მოპოვება გვსურდა, მაგრამ ბურთი მრგვალია და მესამეობითაც კმაყოფილები დავრჩით. მახარაძისთვის თანამდებობის შეცვლის მიზეზი ეგ არ ყოფილა. ჩვენ შედეგით კმაყოფილები ვართ. ბრინჯაოს მედლები ბევრისთვის საოცნებოა. ფული კი... ვისაც პრიზიორობა სურს, ფულიც უნდა დახარჯოს. სხვაგვარად არ იქნება, არაფერი გამოვა. ის ფული ხომ ფეხბურთელებს მოხმარდა.

**— ერთხელ „სარბიელის“ მიმართ პრეტენზია გამოთქვით. ვეჭვობდით, რომ რუსთავში თამაშისას შედეგზე წინასწარ მორიგებულნი იყავით...**

— „ლოკომოტივს“ ჩემპიონატში თამაში არ ჩაუწყვია. გეკითხებით, გვჭირდებოდა? ჩვენ საკმაო ძალა გვქონდა იმისა, რომ ნებისმიერი მეტოქე დაგვემარცხებინა. რა, წყალტუბოში რატომ წავაგებდით? თუ თასის ფინალში თამაში არ გვსურდა? „ლოკომოტივი“ ყოველთვის პატიოსნად იბრძვის და „სამგურალთანაც“ იმიტომ დამარცხდა. რუსთავში, „გორდასთან“ მატჩის დაგვიანებით დაწყების მიზეზი კი ის გახლდათ, რომ სტადიონზე სასწრაფო სამედიცინო დახმარება თავის დროზე არ მოვიდა. რამდენი ვიკითხე, თამაშს რატომ არ იწყებთ-მეთქი, იმდენი მიპასუხეს, სასწრაფო არ მოსულაო. ისე, თქვენიც მესმის, დაეჭვების საბაბიც გქონდათ, იმავდროულად ხომ ქუთაისში ჩვენი კონკურენტი „ტორპედოც“ თამაშობდა. თუმცა, მერწმუნეთ, „ლოკომოტივი“ მატჩის შედეგზე წინასწარ არავის ურიგდება.

**— და მაინც, რითი სჯობს მწვრთნელი ხურცილავა, მწვრთნელ მახარაძეს? რატომ ამჯობინეთ ბატონი მურთაზი, ბატონ თემურს?**

— ხურცილავა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელია, „დინამოში“ ნამუშევარი, მაღალი დონის მწვრთნელთა კატეგორიას განეკუთვნება. ამიტომაც გადავწყვიტეთ მისი გუნდში მოწვევა.

**— ცოტა არ იყოს, საკვირველია უეფას თასზე თამაშების წინ მწვრთნელის შეცვლა.**

— ეგ რა პრობლემაა? „დინამომაც“ ხომ გამოიცვალა მწვრთნელი ჩემპიონატის დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე? არა, საკვირველი არაფერია. ხურცილავასთან შეგუება ბიჭებს არა მგონია, გაუჭირდეთ. საერთაშორისო თამაშებამდე კიდევ დიდი დროა.

**— რამდენ ხანს იმუშავებს ხურცილავა „ლოკომოტივში“, კონტრაქტი რას ითვალისწინებს?**

— კონტრაქტი ჯერ არ არსებობს, სიტყვიერად ვართ ყველაფერზე შეთანხმებულნი. მურთაზი ჩვენს მიერ შეთავაზებულმა პირობებმა დააკმაყოფილა. კონტრაქტს კი ხელი მალე მოეწერება და ყველაფერი ოფიციალურად გაფორმდება. ისე, იმედი მაქვს, ხურცილავა „ლოკომოტივში“ დიდხანს იმუშავებს.

**— თქვენი გუნდის ძალა რეალურად რომ შეაფასოთ, უეფას თასზე რამდენი ეტაპის დაძლევა შეგიძლიათ?**

— საკვალიფიკაციო ეტაპზე, ალბათ, ძალიან სუსტი მეტოქე შეგვხვდება და მისი დამარცხებაც არ უნდა გაგვიჭირდეს. მერე კი... ისევ მეტოქეს გააჩნია. ყოველ შემთხვევაში, 64 გუნდს შორის მოხვედრა დავგეგმეთ, თუმცა, რაც უფრო შორს წავალთ, მით უკეთესი. ქვეყანას ქულებს შევმატებთ. ვნახოთ. 30 ივნისს კენჭისყრაზე თავად მივემგზავრები და, ალბათ, კარგ ამბებს ჩამოვიტან.

**— გუნდი გავაძლიერეთო, თქვით. ხურცილავას გარდა ფეხბურთელებსაც მიიწვევდით.**

— სურვილი გვაქვს, მაგრამ ვნახოთ, დარჩებიან თუ არა ჩვენთან. ასლანაძე, გლუნჩაძე... ისინი უკვე გუნდთან ერთად დილმის საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშობენ. წასვლით კი, ძველი გუნდიდან რვა კაცი წავიდა.

**— დაბოლოს, სტადიონზეც გკითხავთ. უეფას თასის მატჩებს ეროვნულ სტადიონზე ითამაშებთ?**

— დიახ. რადგანაც ჩვენი, „მიხეილ მესხი“, უეფასეულ მოთხოვნებს ჯერ ვერ პასუხობს. თუმცა, რომ იცოდეთ, ვაკეში სტადიონის განახლება უკვე დაწყებულია. ჩაფიქრებული გვაქვს, მოედანი ტრიბუნებთან უფრო ახლოს მივწიოთ და „მიხეილ მესხი“ მინდა საფეხბურთო სარბიელად ვაქციოთ. გაზონის გამოცვლა დაწყებულია, ორსამ დღეში იქაურობა გადაიხვნება და ახალი თესლები ჩაიყრება. მოედანიც მოსწორდება. საქართველოს მომავალი ჩემპიონატის დაწყებას კი ისანში, „შევარდენზე“ ვაპირებთ. ვაკეში ხომ რემონტი იქნება. 10 000 ინდივიდუალური სკამიც დამონტაჟდება.

**კობა ინასარიძე**

# სკონტომ კუთვნილი გვარამაძე მოითხოვა



დავით გვარამაძე

დავით გვარამაძე — თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების მეკარე უახლოეს დღეებში რიგას გაფრინდება, იქაურ „სკონტოს“ შეუერთდება, ვარჯიშსაც იქ გააგრძელებს და გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგის თამაშებისთვის მოემზადება.

საქმე ისაა, რომ გვარამაძეს, რომელიც კიდევ წელიწადნახევრით სკონტოელთა საკუთრებაა და თბილისის „დინამოს“ ნათხოვარი ჰყავდა, რამდენიმე დღის წინ ლატვიის ნაკრების მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა დაურეკა და რიგაში სასწრაფოდ ჩასვლა მოსთხოვა. კოშკასაც რაღა დარჩენია, იძულებულია, ლატვიელებს დაემორჩილოს და „დინამო“ მიატოვოს. არადა, კაცმა რომ თქვას, რა დროს ეგ იყო. „დინამო“ მეკარეთა პრობლემას უჩივის და... ახლა ჩემპიონები ძირითადი მეკარის გარეშეც დარჩნენ.

როგორც ლატვიის ფეხბურთის ფედერაციისა და რიგის „სკონტოს“ პრეზიდენტმა გიუნტის ინდრიკსონმა გვითხრა, რომელსაც წუხელ შინ შევეხმიანეთ, დავით გვარამაძის შეძენა სამოთხ გუნდს მოუსურვებია და „სკონტოსაც“ ჩვენებურის გაყიდვა გადაუწყვეტია. ესეც რომ არ იყოსო, განგვიცხადა, ინდრიკსონმა, ჩვენ ჩემპიონთა ლიგისთვის ვემზადებით და გვარამაძის გუნდში დაბრუნებით მეკარეთა შორის კონკურენცია გამძაფრდებაო.

რას იზამ, კაცია და გუნება. გაახსენდათ სკონტოელებს დავით გვარამაძე. საწყენი ისაა, რომ მაინცდამაინც ახლა, მოახლოებული ევროპული თამაშების წინ.

თბილისის „დინამოს“ კი, რომელიც იოჰან ბოსკამპის თავკაცობით კვლავაც ინტენსიურად ემზადება და დღეს ერევნის „ერევანს“ უმასპინძლებს, კიდევ ერთი მეკარე გამოაკლდა.

გუშინ დილით დილმის ბაზა აქამდე „დინამოსთან“ ერთად მოვარჯიშე რამაზ სოლოლაშვილმაც დატოვა, მწვრთნელმა მას თავაზიანი უარი შეუთვალა.

სამაგიეროდ, გუშინვე დილომში ივარჯიშა უკვე ვეტერანმა, საქართველოს ნაკრებისა და დინამოსვე ყოფილმა მეკარემ, ირაკლი ზოიძემ. ბოსკამპი მის გამოცდას დღესვე აპირებს. „ერევანთან“ მატჩისას „დინამოს“ კარი შესაძლოა სწორედ ზოიძემ დაიცვას.

ერთი საინტერესო დეტალიც: იოჰან ბოსკამპი შეგირდებს დღეს დილითაც სიქას გააცლის, მიუხედავად იმისა, რომ ბიჭებს საღამოს შვიდის ნახევარზე „ერევანთან“ თამაში მოუწევთ.

აი, ასეთია ბოსკამპის სავარჯიშო-მოსამზადებელი მეთოდი.

ბევრ ქართველ მწვრთნელს ეგებ გაუკვირდეს კიდეც. არადა...

**კობა ინასარიძე**

# დინამოს დიდი სამზადისი

დღეს თბილისის „დინამო“ მოსამზადებელი ეტაპით გათვალისწინებულ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს ერევნის „ერევანთან“. მატჩი ეროვნულ სტადიონზე 18 საათსა და 30 წუთზე დაიწყება. შეხვედრას ქართველი არბიტრები — ლევან ფანიაშვილი, ალექსანდრე შილაკაძე და ზურაბ დოლიძე მოემსახურებიან. მეოთხე მსაჯის ვინაობა მატჩის წინ გაირკვევა.

27 ივნისს კი დინამოელები კვლავ კავკასიელებს უმასპინძლებენ. საქართველოს ათგზის ჩემპიონის მეტოქე აზერბაიჯანის ჩემპიონი, განჯის „ქიაფაზი“ იქნება. ეს ორი საკონტროლო შეხვედრა იოჰან ბოსკამპს კარგ სამსახურს გაუწევს, რათა დინამოელთა საბოლოო, ოცდაორკაციანი შემადგენლობა ჩამოიყალიბოს. ზუსტად ამდენი ფეხბურთელი გაემგზავრება 3 ივლისს ჰოლანდიის ქალაქ ეპესში საწვრთნელი ციკლის გასაგრძელებლად.

ტიტების ქვეყანაში ჩვენებურები 15 ივლისამდე დარჩებიან, შემდეგ კი გერმანიას მიაშურებენ და თვის ბოლომდე იქ მოემზადებიან. „დინამო“ უცხოეთში ამხანაგურ მატჩებსაც გამართავს, მაგრამ ვისთან, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

**პაატა ძვანტალიანი**

# სპარტაკი მეორე ლიგაში

X ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის შუაში ბოლნისის „სიონი“ მწვრთნელმა, სპარტაკ არჩვაძემ დატოვა. მიუხედავად მისი უდიდესი სურვილისა, კვლავ გაეწვრთნა „სიონი“ ეს ვერ მოხერხდა, რადგან კლუბში არანორმალური სიტუაცია სუფევდა. ქალაქის ხელმძღვანელობა სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდა გუნდს, ამას კი პირობების არქონაც დაემატა და...

მას მერე სპარტაკ არჩვაძე უქმად იყო. ცალკეულმა გუნდებმა კი შესთავაზეს მწვრთნელობა, მაგრამ მან ყველანი უარით გაისტუმრა. მიჯობს, ცოტა ხანი დავისვენო და მერე ვნახოთო.

ახლა კი „სარბიელისთვის“ ცნობილი გახდა, რომ სპარტაკ არჩვაძე კვლავ თავის საყვარელ საქმიანობას დაუბრუნდა. ამ საქმეში ყველაზე უფრო მარიფათიანი საქართველოს ზოოვეტერინალური ინსტიტუტის რექტორი, ამავე დროს ცნობილი სპეციალისტი ელგუჯა გუგუშვილი გამოდგა. სწორედ მან შესთავაზა არჩვაძეს, თუ სურვილი გაქვს, კვლავ ერთად ვითანამშრომლოთ და მეორე ლიგაში მობინადრე „ზოოვეტი“ ჩაიბარეო. არჩვაძეც დათანხმდა.

— ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ „ზოოვეტს“ გავწვრთნი. აქ, თბილისში, მუშაობა მირჩევნია. ახალგაზრდული გუნდია და მათთან ურთიერთობაში, დარწმუნებული ვარ, პრობლემები არ მექნება. ყველანაირად ვეცდებით, „ზოოვეტი“ მომავლის გუნდად ჩამოვაყალიბოთ. შემოთავაზებული პირობებიც არ არის ურიგო. ასე რომ, თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ჩათვალეთ, რომ „ზოოვეტის“ მწვრთნელი ვარ. თუმც ელგუჯა გუგუშვილს მაინც უნდა შევხვდე და ყველაფერი საბოლოოდ უნდა გადავწყვიტოთ.

**— დებულებით, XI ჩემპიონატში მეორე ლიგიდან პირველში ვერავინ აღზევდება, ამაზე რას გვეტყვით?**

— რა უნდა ვქნათ. ხომ ვთქვი, ახალგაზრდულ, მომავლის გუნდს შევქმნით-მეთქი. ჰოდა, ასეც მოვიქცევით. ჩვენი მთავარი მიზანიც ეს არის, მერე კი ვნახოთ.

**გიორგი ვაშაკიძე**

# კაპანაძის გოლს კალაძის დინამომ ხუთით უპასუხა

უკრაინის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში ტერნოპოლის „ნივამ“ 1:5 წააგო ჩემპიონ კიევის „დინამოსთან“. ავთო კაპანაძის 24-ე წუთზე გატანილ გოლს ჩემპიონებმა, რომლებიც მეორე შემადგენლობით თამაშობდნენ (არ იყო კალაძეც) ერთბაშად ხუთი გოლით უპასუხეს (ვენგლინსკი 40, 43, სერებრიანიკოვი 46, კონოვალოვი 54, რებროვი 66). მარცხის მიუხედავად, „ნივა“ უმაღლეს ლიგაში დარჩა. ამ ტურში გაირკვა ჩემპიონატის მესამე პრიზიორიც. კრივოი როგის „კრივბასსმა“ სტუმრად 3:2 აჯობა კიროვოგრადის „ზირკას“ და ბრინჯაოს დაეუფლა. ბოლო ტური 25 ივნისს გაიმართება. ახალი ჩემპიონატი კი 12 ივლისს ისევ 18 გუნდი დაიწყება. 2000-2001 წლების სეზონში გუნდების რაოდენობა 16-მდე შემცირდება.

**სიმონ მენაბდე**

# ისევ ლიეჟი, ისევ იმედი

დღეს ლაშა ჯაკობია (სამწუხაროდ, კვლავაც ტრავმირებული) თვრამეტწლამდელთა ნაკრების მთავარი იმედია შვედეთში, ევროპის ჩემპიონატზე. მთავარი მწვრთნელის, ვახტანგ კოპალეიშვილის სამწუხაროდ, იგი ნაკრების შეკრებას გამოაკლდება. ამ დროს ლაშა ლიეჟში იქნება, რადგან ქართველმა ფეხბურთელმა ახალი, სამწლიანი, კონტრაქტი გააფორმა „სტანდარტთან". გუნდმა კი უკვე ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყო. ჯაკობიას თბილისში, დილმის ბაზაზე ბელგიაში გამგზავრების წინ შევხვდით.



ლაშა ჯაკობიას (მარჯვნივ) მორიგი რეიდი

— უკვე სამი კვირაა, თბილისში ვარ. ახლობლების, მეგობრების წრეში ყოფნას რა სჯობს. ჩემებურად ყველა მოვისურვილე. ახლა ცოტა გული მწყდება, მათ რომ ვტოვებ, მაგრამ რას იზამ, ბელგიაში ვარ ჩასავლელი. გეცოდინებათ, საბოლოოდ გადაწყდა, მომავალ სეზონს კვლავ ლიეჟში გავატარებ და იმედი მაქვს, რომ „სტანდარდის" ძირითად შემადგენლობაშიც შევძლებ თამაშს.

**— უფრო დაწვრილებით ხომ არ გვეტყოდით ახალ კონტრაქტზე.**

— კონტრაქტი სამწლიანია და იგი სრულიად აკმაყოფილებს ჩემს მოთხოვნებს. არა, ჩემმა მენეჯერმა მართლაც ნაყოფიერად იმუშავა.

**— თუ არ ვცდები, ბელგიელი მენეჯერი გყავთ...**

— დიახ, ასეა. ჩემი მენეჯერი ფიფას აგენტი როჯერ ანგოტერი გახლავთ. იგი ბელგიელია და იქაურ ფეხბურთში საფუძვლიანად არის გარკვეული, თანაც ბენილუქსში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, რაც შეეხება ჩემს მასთან ურთიერთობას გეტყვით, რომ ბოლომდე ვენდობი და იმაშიც დარწმუნებული ვიყავი, რომ ახალი კონტრაქტი ჩემთვის ხელსაყრელი იქნებოდა.

**— რამდენადაც ვიცი, თქვენით ბელგიური „შარლეროა" და ფრანგული „მეცი" იყვნენ დაინტერესებულნი.**

— მათთან მოლაპარაკება სხვადასხვა მიზეზების გამო არ მისულა საბოლოო კონდიციამდე, მაგრამ გამოგიტყდებით, ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთე. ასე თუ ისე, გუნდსაც შეგუებული ვარ. ერთიცაა, რადგან ბელგიელები ამ კონტრაქტზე წამოვიდნენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ძირითადი გუნდისთვის ვჭირდები, ეს კი მაღალ დონეზე თამაშის შანსს მინარჩუნებს.

**— გასულ წელს ეპიზოდურად გიწევდათ კლუბის შემადგენლობაში თამაში...**

— სამწუხაროდ, ასე იყო. ამის მთავარ მიზეზად ჩემ ასაკს, უფრო კი ტრავმას მივიჩნევ. ერთიცაა, ძმები მპენზები საუცხოო ფორმაში იყვნენ, ამ დროს კი მათთვის კონკურენციის გაწევა წარმოუდგენელია.

**— რამდენადაც ვიცი, მპენზების ინგლისში გადასვლა არ მოხერხდა, ისინი კვლავ „სტანდარდში" რჩებიან. გამოდის, მათი კონკურენციის დაძლევა წლეულსაც მოგიწევთ.**

— ასეა, მაგრამ იმედი მაქვს, დღეისათვის ძირითად შემადგენლობაში თამაში მეტი შანსი მომეცემა, ბოლოს და ბოლოს გარკვეული გამოცდილება მეც მაქვს მიღებული. თანაც, ვიმეორებ, ბელგიელები ტყუილუბრალოდ არ გააგრძელებდნენ ჩემთან კონტრაქტს. ჩემზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. უთუოდ მოვინდომებ, სხვა გზა არც მაქვს...

**— კლუბში როგორი სიტუაციაა, რამდენადაც ვიცი, „სტანდარდი" უცხოელი მოთამაშეების სიმრავლითაც გამოირჩევა.**

— მართლაც ინტერნაციონალური კლუბია, მაგრამ ყველასთან ჩვეულებრივი, ნორმალური დამოკიდებულება მაქვს. ისე, გამორჩევით შავკანიანებთან ვმეგობრობ. ფრანგი ლუკუნკუ და ნიგერიის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი ათე ოლაბი მშვენიერი ბიჭები არიან. მათთან მართლაც კარგად ვგრძნობ თავს. ერთმანეთს ბოლომდე ვენდობით, დანარჩენებსაც არა უშავთ, პრობლემა არავისთან შემქმნია.

**— საქართველოს და ბელგიას შორის დიდი სხვაობაა, წესით და რიგით იქაურობას კარგა ხნის შეგუებული უნდა იყოთ.**

— სხვაობა მართლაც დიდია. პირობებში, ცხოვრების წესში, ყველაფერში დიდი განსხვავებაა თავიდან გამიჭირდა კიდეც, შემდეგ შევეჩვიე, მაგრამ ბუნებრივია, იქაურს ბევრ რამეს ვერ შევეწყვე. მე მაინც ბოლომდე ქართველად დავრჩები.

**— მახსოვს სლოვენიელებთან მატჩის წინ რეალურად აფასებდით საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შანსებს, თქვენი მაშინდელი პროგნოზი დღესაც გაცხადდა, ქართველებმა ყველანაირი შანსი დავკარგეთ სიდნეის ოლიმპიადაზე მოსახვედრად. როგორ გგონიათ, ახალგაზრდული ნაკრების წარუმატებლობა რამ განაპირობა?**

— ქართულ ფეხბურთში ბოლო დროს განვითარებული უარყოფითი პროცესები, ბუნებრივია, ახალგაზრდულ ნაკრებზეც აისახა, თანაც გუნდის ძირითადმა ბირთვმა მოკლე დროში საოცრად დიდი ცვლილებები განიცადა. როლი უიღბლობამაც ითამაშა, მაგრამ მჯერა, რომ მომავალ ციკლში გაცილებით დიდი პოტენციალი და მეტი შანსი გვექნება წარმატების მისაღწევად.

**— სლოვენიის ნაკრებთან მატჩი გავიხსენოთ. პირდაპირ გეტყვით, ამ შეხვედრაში, ჩემი აზრით, საერთო სათამაშო სქემიდან ამოვარდნილი იყავით, რა იყო ამის მიზეზი?**

— მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ — ჩემს პოზიციაზე არ ვთამაშობდი. მარჯვენა ნახევარმცველობა არ არის ჩემთვის სასურველი ამპლუა. არადა, იმ დღეს სწორედ ამ ადგილზე დამაყენეს მწვრთნელებმა. ისე მათაც ვერ გავამტყუნებ, იქნებ იმ მომენტში სხვა არჩევანი არც ჰქონდათ.

**— გუნდის აღიარებული ლიდერის ცხოვრებაში თვრამეტწლამდელთა ნაკრებს, ალბათ, დიდი ადგილი უკავია.**

— წლები გავა და „კოპალას ნაკრები" მარტო ჩემთვის კი არა, ყველა ჩემი თანაგუნდელისთვის ტკბილი მოგონება იქნება. ეს მართლაც მშვენიერი გუნდია და მის რიგებში თამაში დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ის, რომ თვრამეტწლამდელებმა ამხელა წარმატებას მივაღწიეთ, ვახტანგ კოპალეიშვილის დიდი გამარჯვებაა, მთელი ქართული ფეხბურთის წინსვლის საწინდარია.

**— იმედია, შვედეთიდანაც გაახარებთ ქართველ გულშემატკივარს...**

— როგორც იცით, ევროპის ჩემპიონატზე პირველ ხუთ გუნდში მოხვედრა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის საშულებას მოგვცემს. ეს მინიმალურია, რაზეც უნდა ვიფიქროთ და შევძლოთ.

ასეთი განწყობა ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც უმჯობესი იქნება. რასაკვირველია, არც უკეთეს შედეგს გამოვრიცხავ. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო. ვნახოთ, რა მადაზე ვიქნებით შვედეთში.

**პაატა ძვანტალიანი**

# ისევ რეკონსტრუქცია

გორის „დილა" რომ უცნაური და განსაკუთრებული გუნდია, არაერთხელ გვითქვამს, მაგრამ ქართლელებს სხვათაგან ერთი თვისებაც გამოარჩევთ.

ჩემპიონატი ისე არ ჩაივლის, გორელებმა „დილას" ახალი პატრონი არ გამოუძებნონ.

ყოველი ახალი სეზონი ახალი მწვრთნელითა და პრეზიდენტით იწყება, მიზანიც თითქოს ადრინდელისგან განსხვავებული აქვთ და საქმესაც სასიკეთო პირი უჩანს, მაგრამ ჩემპიონატის ბოლოს ყველაფერი უცვლელია — „დილა" ისევ მწვრთნელსა და პატრონს ეძებს.

ვერ გეტყვით, ივანე თაყაძემ რითი ვერ დააკმაყოფილა „დილას" გულშემატკივრები, მაგრამ ფაქტი ერთია, მწვრთნელი წავიდა.

აბა, გუნდს უთავკაცოდ დიდხანს ვინ დატოვებდა და გორელებმაც შემცვლელი უმალ მოიძიეს — მერაბ ხუციშვილი, „დილას" ყოფილი ფეხბურთელი გაწვრთნის გუნდს მეთერთმეტე ჩემპიონატში.

ახალი მწვრთნელი ქომაგებს გორის „ქართლიდანაც" უნდა ახსოვდეთ, სადაც მას მოთამაშე-მწვრთნელის ფუნქცია ეკისრებოდა. ხუციშვილი ბოლო დროს თურმე მოსკოვში საქმიანობდა და „დილასაც" იქიდან დაუბრუნდა.

ახლა კლუბის ხელმძღვანელებზე ვთქვათ. „დილას" ახალი პრეზიდენტი გურამ ნოზაძე, გამგებლის პირველი მოადგილე, ფეხბურთში უცხო კაცი არ უნდა იყოს, ადრე თამაშობდაო. მისი გაპრეზიდენტებით კი იქნებ „დილას" დაცარიელებულ სალაროს რამე ეშველოს.

გუნდს ამიერიდან დირექტორთა საბჭო ეყოლება. მის თავმჯდომარედ წარსულში „დილას" პრეზიდენტი თენგიზ ბურჯანაძე აურჩევიათ. ბატონი თენგიზი ძველი ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის უცვლელი წევრი იყო, ბოლო დროს კი, რატომღაც შორს იდგა საფეხბურთო ორომტრიალისგან.

რაც შეეხება „დილას" უკვე ყოფილ პრეზიდენტ ზვიად შერმადინს, იგი კლუბში რანგით ჩამოქვეითდა და ამიერიდან ვიცე-პრეზიდენტის ჭაპანს გასწევს.

არ არის გამორიცხული, რომ გორის „დილას" მისი ყოფილი ლიდერები დაუბრუნდნენ. როინ მარლიშვილი და ზურაბ ხორგუაშვილი „ლოკომოტივს" გამოეთხოვნენ და ამჟამად გორში იმყოფებიან.

„დილა" ახალი სეზონისთვის მზადებას ივლისის დასაწყისში შეუდგება და წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობაც მაშინ გაირკვევა.

**მამუკა ძვანტალიანი**




ლეგენდარული ქართველი ვარსკვლავის, მიხეილ მესხის ცხოვრებისა და კარიერის შესახებ მოგვითხრობს წიგნი „ვარდები მიხეილ მესხისათვის". ამ წიგნის ავტორი ცნობილი სპორტული ჟურნალისტი შალვა ქირიაა, რომელიც ამ შემთხვევაში არა მხოლოდ როგორც ჟურნალისტი და მემატიანე წარმოგვიდგება, არამედ როგორც მიხეილ მესხის მეგობარიც. ბატონი შალვა მოგვითხრობს მრავალ საინტერესო, ნაკლებადცნობილ, თუ სრულიად უცნობ ისტორიებს დიდი ფეხბურთელის ცხოვრებიდან.

მიხეილ მესხის თამაში უკვდავია. გულშემატკივართათვის ის კვლავ რჩება უსაყვარლეს ფეხბურთელად და ამიტომ წიგნი „ვარდები მიხეილ მესხისათვის" ქომაგთათვის სასურველი გამოცემაა. ეს არის კიდევ ერთი გახსენება დიდი სპორტსმენისა, ახალგაზრდებისთვის კი წარსულის ვარსკვლავებთან შეხმიანების საუცხოო საშუალება. ლამის სამასგვერდიანი ნაშრომით მრავლის მნახველმა ჟურნალისტმა თითქოს შეგვახსენა — იყო ასეთი დრო, იყვნენ ასეთი გმირები...

# ჯიშკარიანი სეფაშვილს წამოეწია

რუსეთის პირველი დივიზიონის გოლეადორის ტიტულისთვის კვლავ გრძელდება დაპირისპირება ორ ქარველსა და ერთ ბრაზილიელს შორის. ბოლო ტურში მიხეილ ჯიშკარიანმა ორი ბურთი გაუტანა ჩერეპოვეცის „ლოკომოტივს" და 8 გოლით ვასილ სეფაშვილს წამოეწია. ამ უკანასკნელს ამ ტურში არ უთამაშია და მას ტულის „არსენალის" ბრაზილიელი ანდრადინაც გაუთანაბრდა. ბრაზილიელმა 1:4-ზე წაგებულ მატჩში ერთი გოლის გატანა მაინც მოახერხა. ახლა სეფაშვილს და ანდრადინას 9-9 ბურთი აქვთ გატანილი, ჯიშკარიანს — 8. ჯიშკარიანის „სოკოლი" 4 ქულით უსწრებს მდევრებს — „ჯელსა" და აფხაზი ძმების — აჯინჯალების „ბალტიკას".

**სიმონ მენაბდე**

# დაბრუნება არ შედგა



ნუგზარ მიქაბერიძე ფეხბურთს ვერ დაუბრუნდა

— შეუძლებელი არაფერია. დიდი სურვილი გვაქვს, მაკედონიური „ცემენტარნიცა" ორი მატჩის ჯამში გამოვთიშოთ, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით ვიცი, 26 ივნისს საპასუხო მატჩი ძნელი და დაძაბული იქნება, ვიდრე პირველი. სტუმრებს ბოლომდე შევებრძოლებით და იქნებ საწადელსაც მივაღწიოთ — ასეთი გახლავთ ფოთის „კოლხეთის" ვიცე-პრეზიდენტის თენგიზ ქოიავას აზრი.

მოგეხსენებათ, „კოლხეთი" ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის პირველ მატჩში, სკოპიეში 2:4 დამარცხდა, მარცხი ზღვისპირელთა გუნდის მცველთა შეცდომებმა განაპირობა:

გია ტყებუჩავამ მაკედონიაში 19 ფეხბურთელი წაიყვანა. აქედან ერთი ოქმს მიღმა უნდა დარჩენილიყო. მწვრთნელიც არჩევანის წინაშე იდგა, ვინ იქნებოდა იგი, მაგრამ...

ტყებუჩავამ არჩევანი ყოველგვარი ფიქრის გარეშე გააკეთა, ვინაიდან მატჩისწინა დღეს ვარჯიშზე ვეტერანი თავდამსხმელი ნუგზარ მიქაბერიძე დაშავდა.

— მიქაბერიძის ტრავმა ძალიან სერიოზულია, იმდენად, რომ მას, სავარაუდოდ, ფეხბურთის მიტოვება მოუწევს. მატჩისწინა დღეს, ვარჯიშზე, კუნთი გაუწყდა. მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა, სამწუხაროდ, მიქაბერიძე, როგორც მოთამაშე, ალბათ ველარც დაგვეხმარება. — გვითხრა თენგიზ ქოიავამ.

როგორც ცნობილია, ნუგზარ მიქაბერიძემ ფეხბურთს თავი შარშანვე დაანება. კოლხებმა მას ღირსეული გაცილებაც მოუწყვეს. როგორც ჩანს, „ტურას" ფეხბურთისადმი სიყვარულმა სძლია და მწვანე მინდორზე დაბრუნდა... მიქაბერიძეს ახლა თანაგუნდელთა გამხნევება გულშემატკივრის რანგში მოუწევს.

**გიორგი ვაშაძიძე**

# მესამე ხმაც მოვიდა!



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

მოსამზადებელ ეტაპზე ხურცილავას ვარჯიშების კომპლექსი ხუმრობა საქმე არავის ეგონოს. წვრთნა ხალისიანად დაიწყო, საკითხავია, როგორ დამთავრდება

„ქუნქულით, ქუნქულით" — ისმოდა გუშინ დილით დიღმში „ლოკომოტივის" ბაზაზე მურთაზ ხურცილავას ომახიანი ხმა. მურთაზ ხურცილავა, „ლოკომოტივის" ახალი მთავარი მწვრთნელი, კლუბში თავის საქმეს შეუდგა. ხუთი დღეა, მეათე ეროვნული ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანმა გუნდმა ვარჯიში დაიწყო. რკინიგზელები მეთერთმეტე ჩემპიონატსა და უეფას თასზე წარმატებით გამოსვლისთვის ემზადებიან.

მიუხედავად იმისა, რომ „ლოკომოტივმა" გასული სეზონი მესამე ადგილზე დაასრულა და ევროთასებზე თამაშის უფლებაც მოიპოვა, კლუბის ხელმძღვანელები მიღწეულმა შედეგმა არ დააკმაყოფილა. მათ გუნდის გაძლიერებაზე დაიწყეს ზრუნვა და სამსოდ „დინამოს" ექსთავკაცი, ამავდროულად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა შეიგულეს. იგი რკინიგზელთა წინადადებას დაეთანხმა და დღეიდან, თბილისის „დინამოს" ბაზის გვერდით, გადასახლდა (სწორედ იქ მდებარეობს „ლოკომოტივის" ბაზაც).

მურთაზ ხურცილავას რკინიგზელთა გაწვრთნაში ძველი ნაცნობი ნოდარ აკობია დაეხმარება. აკობიას ჩვენში საკმაოდ კარგი რეპუტაცია აქვს და ძლიერ სპეციალისტადაც იცნობენ, თუმცა „დინამოში" ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპისა და მისი თანაშემწე ფრანსუა დე იონგის მისვლის შემდეგ ფაქტობრივად უფუნქციოდ დარჩა და იქ უქმად ყოფნას „ლოკომოტივში" მუშაობა არჩია.

როგორც მოგახსენეთ, რამდენიმე დღეა ხურცილავა „ლოკომოტივში" მუშაობას შეუდგა, თუმცა შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეთხელებული დახვდა. ამა თუ იმ გუნდში მისვლისას, ყველა მწვრთნელს თავისი ფეხბურთელებიც მიჰყავს-ხოლმე, მაგრამ ამჯერად, როგორც ჩანს, ხურცილავას „ლოკომოტივის" თავიდან დაკომპლექტება მოუწევს, რადგან სეზონის დამთავრების შემდეგ გუნდი ათზე მეტმა ფეხბურთელმა დატოვა. ვარლამ კილასონიძე, დავით მუჯირია, გიორგი ლედუშური, შალვა ზუხაძე, ნუკრი მინდიაშვილი, კახა გოგოლაძე, რიინ მარღიშვილი, ზურაბ ხორგუაშვილი, ზურაბ ქოიავა, კახა დავითაშვილი და ვალერი კოტორაშვილი „ლოკომოტივში" თამაშს კარიერის სხვაგან გაგრძელება არჩიეს. მწვრთნელსაც ახალი (თანაც შესაფერი) ფეხბურთელების ძიება მოუწევს.

ხურცილავას ჩვენში დისციპლინის მოყვარულ მწვრთნელად იცნობენ. გუნდთან მუშაობის დროს იგი ფიზიკურ მომზადებას უდიდეს ყურადღებას აქცევს. შარშან ზაფხულს, როცა „დინამოს" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის ამზადებდა ფეხბურთელებს სიქას აცლიდა, თუმცა მერე, თანდათანობით დატვირთვები შეამცირა. სწორედ ასე მოიქცა, რადგან დიდ დატვირთვებს მიუჩვეველი ფეხბურთელები მეტისმეტად გადაღლილნი ჩანდნენ. თავად ბატონი მურთაზიც აღიარებდა, ბიჭები გადაიწვნენ. ვერ გეტყვით, იგივე განმეორდება თუ არა „ლოკომოტივშიც", თუმცა მოსალოდნელი რომ არის, ფაქტია.



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

მურთაზ ხურცილავა

ხურცილავას განკარგულებაში ამჟამად 24 ფეხბურთელია, აქედან ათიოდე თუ იცავდა გასულ სეზონში „ლოკომოტივის" ღირსებას, დანარჩენები ახალწვეულები არიან, თუმცა, თავად მწვრთნელის თქმით, ვინ დარჩება გუნდში, ჯერ კიდევ გაურკვეველია. ეს ყველაფერი ამ თვის ბოლომდე გადაწყდება. ხურცილავა თითოეულ ფეხბურთელს გულდასმით დააკვირდება და საბოლოო დასკვნასაც ისე გააკეთებს. „ლოკომოტივში" დასარჩენად კი კანდიდატებს გვარიანი ოფლისღვრა მოუწევთ, რადგან საკმაოდ დიდი დატვირთვით ვარჯიშობენ. ძირითადი ბირთვის გამოკვეთის შემდეგ, ივლისის დასაწყისში, გუნდი შეკრებასაც მოაწყობს.

„ლოკომოტივი" ჯერჯერობით დღეში ერთხელ ვარჯიშობს, უახლოეს მომავალში ორჯერადზეც გადავლენ. გუშინ რკინიგზელებმა წვრთნა დილით ჩაატარეს, რომელმაც საათსა და 45 წუთს გასტანა. აქედან საათზე მეტი ფიზიკური კონდიციების ამაღლებას დაეთმო. ვარჯიშის ბოლოს ხურცილავამ ფეხბურთელებს ცოტა ხანს მინდვრის გარშემო ქუნქული დაავალა, თუმცა უმეტესობას ამის თავი აღარც ჰქონდა. სწორედ მაშინ შეუძახა ხურცილავამ შეგირდებს ის სიტყვები, რითაც სტატია დავიწყეთ. ვარჯიშის შემდეგ ფეხბურთელები ძალიან დაღლილნი ჩანდნენ. ამის ბრალიც იყო, რომ მაშინვე მანქანებს მიაშურეს და უხმოდ გაიკრიფნენ ბაზიდან, რომლის კარსაც დღეს დილით კვლავ შეაღებენ. ისე, ერთი გვენიშნა. მინდორზე თითოეული ფეხბურთელი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენას ცდილობდა. არც არის გასაკვირი, წინაალმდეგ შემთხვევაში ხომ გუნდიდან წასვლა ელით.

„ლოკომოტივი" მომავალ სეზონს დიდი ამბიციებით კი ხვდება, მაგრამ გარკვეული პრობლემა მაინც შეექმნება — რკინიგზელებს მომავალი წლის გაზაფხულამდე საშინაო მატჩების ნეიტრალურ მინდორზე გამართვა მოუწევთ. მიზეზი საპატიოა — კლუბის ხელმძღვანელობას ვაკეში მდებარე „მიხეილ მესხის" სტადიონზე რემონტის ჩატარება განუზრახავთ და იქ უკვე გარკვეული სამუშაოები მიმდინარეობს. რკინიგზელებს სათამაშო მინდვრის (მინდორი თუ ეთქმის) მოწესრიგება და 10 ათასი ინდივიდუალური სკამის დადგმა დაუგეგმავთ, რაც ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია. გარდა ამისა, კოსმეტიკურად შელამაზდება გასახდელებიც. მანამდე კი „ლოკომოტივს" დროებითი თავშესაფრის მოძებნა მოუწევს. რომელ სტადიონს შეიგულებენ კლუბის ხელმძღვანელები ეროვნული ჩემპიონატის მატჩებისთვის, ჯერჯერობით უცნობია, უეფას თასის შეხვედრებს კი, სავარაუდოდ, „ეროვნულზე" გამართავენ.

ასე რომ, თბილისის „ლოკომოტივი" მეთერთმეტე ჩემპიონატს საკმაოდ სახეშეცვლილი შეხვდება. რკინიგზელებს სერიოზული გეგმები დაუსახავთ და მის მისაღწევად არც თანხებს იშურებენ. რა გამოვა აქედან, „შემოდგომაზე გამოჩნდება, როცა წიწილებს დაითვლიან".

ვანო ოქროპირიძე



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

„ლოკომოტივში" ახალი დროება დაიწყო. ფაქტია, გუნდში მოსახვედრად მხოლოდ სირბილი არ იკმარებს...

# მედლის მეორე მხარე  money, money, money

### ციფრებს მიღმა

ქართულ საფეხბურთო სამყაროში წიწილებს ზაფხულში ითვლიან. მაისის ბოლოს მორჩენილი სეზონის შემდეგ მხოლოდ სატურნირო ცხრილის რიცხობრივი მაჩვენებლებით არ განისაზღვრება ჩემპიონატის დონე, კლუბების წარმატებული თუ წარუმატებელი გამოსვლა, მათი სამომავლო პერსპექტივები. სტატისტიკა ზოგადად მსჯელობის ფორმაა, რაიმეს დასაბუთების რთული ხერხია. მართალია, სტატისტიკური მონაცემები თავისთავად უამრავ ინფორმაციას მოიცავს, მაგრამ მხოლოდ მასზე დაყრდნობით შეხედულებათა ჩამოყალიბება მეტწილად რეალობასთან გვაშორებს. ციფრებს მიღმა ყოველთვის ყოფითი პრობლებებია, თითოეული ინდივიდია, ესა თუ ის რეგიონია, ცხოვრების განვითარების ეტაპებია.

საფეხბურთო სტატისტიკაც უამრავ მონაცემს იძლევა ფეხბურთელის კარიერის, კლუბის ისტორიის, ჩემპიონატის ხარისხიანობის შესახებ. მის უკან ათასი ფაქტორი დგას — მოგება, წაგება, ფრე, გოლი, ქულა, მატჩი, გაფრთხილება, დარტყმა, პენალტი, კუთხური, საჯარიმო. პროფესიულ ფეხბურთში ყოველივეს ზედმიწევნით ზუსტად ითვლიან, იმასაც კი ანგარიშობენ, რომელი გუნდი რა დროის განმავლობაში ფლობდა ბურთს შეხვედრაში. ერთი შეხედვით ფეხბურთიც მეტი არაფერია. თუ ყველა ასეთ მონაცემს ფლობ, არ უნდა გაგიჭირდეს სწორი ანალიზი, ადვილად უნდა შეძლო არგუმენტაცია გათამაშების შესაფასებლად და რეალურ სურათთან თანხვედრილი შეხედულებაც შეიქმნა.პროფესიულად გამართულ საფეხბურთო ქვეყნებში ციფრების მოშველიებით ლოგიკური მსჯელობა დამკვიდრებული ფორმაა, ჩვენში კი...

მეათე ეროვნულში საშუალოდ ერთ მატჩში 2,8 გოლი გავიდა. საკმაოდ მაღალი და ევროპულ ჩემპიონატებისთვის მახასიათებელ სტანდარტულ მაჩვენებელთან მიახლოებული მონაცემია. სინამდვილეში კი მხოლოდ ყბადაღებული ციფრია. მიდი ახლა და გააგებინე უცხოელ სპეციალისტებს, რომ როცა ერთი ქართული გუნდი დიდი ანგარიშით უგებს მეორეს, იმ მეორის ფეხბურთელები მშივრები გავიდნენ მოედანზე, ექვსი თვეა, ხელფასი არ აუღიათ, რამდენიმე კვირა არ უვარჯიშიათ, დაჩანჩაკებული ავტობუსით იმგზავრეს 9 საათი და შეხვედრის დაწყებას სიმწრით ჩაუსწრეს...

### არავის ვუნდივართ

ქართულმა ფეხბურთმა დამოუკიდებლად არსებობის მეცხრე წელი მიითვალა. ათი ჩემპიონატისა და თასის ცხრა გათამაშების ავად თუ კარგად ჩატარება მოასწრო. ევროპულ სარბიელზეც არაერთხელ მოსინჯა ძალა, მაგრამ სირცხვილისა და თავის მოჭრის მეტს ვერაფერს გამორჩა. ყოველივე ამან კი საშუალოზე დაბალი სიძლიერის საფეხბურთო ქვეყანათა მარაქში დაგვიდო ბინა. საკლუბო დონეზე საოცრად წარუმატებლობამ კიდევ უფრო დაგვხია უკან. უცხოელ ინვესტორებს კაპიტალის ჩვენთან დაბანდებაზე ხელი აალებინა. ლეგიონერების ფაქტობრივად არმქონე ქვეყანასთან არავის სურს სერიოზულად საქმის დაჭერა და დიდი ფულის დახარჯვა. ყველას ურჩევნია, ბაზარზე ჩალის ფასად იყიდოს ნიჭიერი ახალბედა ქართველი ფეხბურთელი და ათმაგი მოგება ნახოს მისი საშუალებით. ჩვენთან მიმართებაში უშრომელი შემოსავლის პრინციპს არჩევენ ძლიერი საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლები. არავინ ფიქრობს, სოლიდური და შეძლებული ფირმები საქართველოში რომელიმე კლუბით დაინტერესონ, კაპიტალი ჩაადებინონ მასში და გამართული სამეურნეო საქმიანობითა და სელექციონერული მუშაობით აზეირონ მომავალში. მიზეზი ისევე ჩვენშია. გასაკვირი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ პროფესიონალი არა, თუნდაც ნახევრად პროფესიონალთან არასდროს დაიჭერს საქმეს. ისე, არც მათი დამაკავშირებელი იურიდიულად გამართული მექანიზმი არსებობს. საქართველოში თითქმის არ არიან პროფესიული საფეხბურთო კლუბები. ეს მწარე სიმართლეა.



მიხეილ ქორქია



ნუგზარ ნავაძე

### ლეიტენანტი დინამოელი...

საბჭოურ ეპოქაში მხოლოდ ერთი სახელმწიფო საზოგადოებრივი საკუთრების ფორმა არსებობდა.

სპორტი და კულტურა თითქმის გაიგივებულ მცნებებად მიიჩნეოდა და გართობის დატვირთვასთან ერთად პოლიტიკურ ელფერს იძენდა. სახელმწიფო განაგებდა და უხეშად მართავდა ორთავე სფეროს. სამინისტროები და ორგანიზაციები კურირებდნენ ამა თუ იმ სახეობას. შინაგან საქმეთა სამინისტროს პირმშო კლუბი „დინამო", საავტომობილო ქარხნების წარმომადგენელი — „ტორპედო", სარკინიგზო კვანძების კუთვნილება — „ლოკომოტივი". ფეხბურთელის პროფესია არ არსებობდა. დინამოელ მილიციის უმცროს ლეიტენანტს, ზეინკალ ტორპედოელს და მეისრე ლოკომოტიველს ბურთაობისთვის ხელფასს საბიუჯეტო ორგანიზაციები უხდიდნენ და არა კლუბები.

### ვერ შეგელევი...

მერე ის ქვეყანა ბუნებრივ აირთან ერთად გაიპარა. ფეხბურთი კი არსად წასულა. ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის გარდამავალმა პერიოდმა საფეხბურთო კლუბებთან დამოკიდებულებაში მახინჯი ფორმების დამკვიდრებას შეუწყო ხელი. ძველი სამინისტროებისა და ორგანიზაციების მემკვიდრეები პოზიციებს არ თმობდნენ. ადრინდელ დოტაციაზე მყოფ გუნდებს ბოლომდე ეჭიდებოდნენ.

ხელს უშლიდნენ კერძო პირებსა თუ კომერციულ ფირმებს კლუბის დაპატრონებაში. ამის გამო საფეხბურთო მეურნეობა მთლიანად დამოკიდებული გახდა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. თითქმის უბიუჯეტო ქვეყანაში კი როგორი საფეხბურთო დონეა, ამის ნათელი მაგალითი თვალწინ გვქონდა. ფინანსურმა სიდუხ-



რომან შოთაძე

ჭირემ აიძულა გუნდის მფლობელი საბიუჯეტო ორგანიზაციები ახალი, შეძლებული მფლობელები მოეზიდათ. კლუბები სააქციო კომერციულ ერთეულებად ჩამოყალიბდნენ, საკუთარი წესდებითა და საპროგრამო დებულებებით.

სამწუხაროდ, ძველი მეპატრონეები ბოლომდე არ ჩამოსცილდნენ გუნდებს და ხელი შეუწყვეს საფეხბურთო კლუბის ისეთი მანკიერი მმართველობის ფორმის დამკვიდრებას, როგორიცაა — შერეული ანუ ზიარი საკუთრება.

უცხოურ საფეხბურთო სამყაროშიც უამრავი ძლიერი გუნდია რამდენიმე მესაკუთრის მფლობელობაში, მაგრამ იქ ძირითადად მეპატრონეების სახით კერძო პირები თუ კომერციული ორგანიზაციები გვევლინებიან. თანაც იქაურ ეკონომიკასთან ძალიან შორს ვდგავართ. ჩვენში კი კლუბის აქციათა სოლიდურ პაკეტს სწორედ საბიუჯეტო სტრუქტურები ფლობენ და ეს ხელს უშლის მის სამომავლო პერსპექტივებს. ასეთ დროს ფეხბურთი ვერასოდეს გაუსწრებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტემპს.

სახელმწიფოს ხაზინაზე ჩამოკიდებულ სტრუქტურებს საქართველოში კარგა ხანს მოუწევთ მოცდა, სანამ ფინანსურად გამართულ დონეს მიაღწევდნენ. პოლიტიკური არასტაბილურობაც ანგარიშგასაწევ ფაქტორად დარჩება ყოველთვის, რადგან არავინ უწყის, რომელ მინისტრსა თუ დეპარტამენტის თავმჯდომარეს როდის გაათავისუფლებენ თანამდებობიდან...

### მთავარი მონაწილეობაა?

თბილისის „არსენალი" თავდაცვის სამინისტროს დოტაციაზეა. ფინანსურად შეჭირვებული და ცხელი ეთნიკური კერების მქონე ქვეყნის ამ ორ-



გურამ რუხაძე



თემურ ბეჟანიძე

განოს ყოველთვის გაუჭირდება სრულყოფილად მიხედოს საფეხბურთო მეურნეობას. როცა ოფიცრებისა და ჯარისკაცებისთვის ხელფასის მიცემა ჭირს, ზედმეტია „არსენალის" ფეხბურთელების მატერიალურად სრულად უზრუნველყოფაზე ლაპარაკი.

ფაქტობრივად იგივე მდგომარეობაში არიან სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა გუნდი თსუ, რეგიონალურ მმართველობებს დაქვემდებარებული წყალტუბოს „სამგურალი", გორის „დილა", ბოლნისის „სიონი", რუსთავის „გორდა". ამ კლუბების ძირითადი საჩემპიონატო მიზანი — გათამაშებაში მონაწილეობის მიღებაა უბრალოდ. მათ ხელმძღვანელობასაც პრესტიჟის საქმედ მიაჩნიათ ის, რომ წარმომადგენელი ჰყავთ პირველ ჯგუფში და შეძლებისდაგვარად სწორედ იმდენს ხარჯავენ, გუნდმა ადგილის შენარჩუნება რომ შეძლოს 16 უძლიერესში.

საბიუჯეტო, მაგრამ შედარებით ფინანსურად ძლიერ ორგანიზაციებს რკინიგზისა და ავტო-სატრანსპორტო დეპარტამენტებს ეკუთვნით დედაქალაქური „ლოკომოტივი" და „მერანი". ეს კლუბები მატერიალურად უზრუნველყოფილნი არიან. შედეგებიც ურიგო როდი აქვთ, მაგრამ საკითხავია, როდემდე შეძლებენ ისინი ამგვარ სვლას. ამ გუნდების მეპატრონეების ბედი ცალსახადაა დამოკიდებული ქართული პოლიტიკური სპექტრის სამომავლოდ გადანაწილებაზე და აჯობებდა, აქედანვე დაეწყოთ ძლიერი და სოლიდური პარტნიორის ძიება.

ფოთის „კოლხეთი" ქალაქის პორტით სულდგმულობს. „ბათუმს" კი მთელი აჭარის რეგიონი შესციცინებს, და თავს ევლება. ეს გუნდებიც პოლიტიკურ არასტაბილურობას უნდა უფრთხილდნენ. ისე, მათი საფეხბურთო მდიდარი ტრადიციების გათვალისწინებით, ძნელად წარმოსადგენია, რომ მატერიალურად უკიდურესად გაუჭირდეთ ოდესმე. ყოველ შემთხვევაში, ათწლიანი გამოცდილება ამაზე მეტყველებს, თუმცა ეს არგუმენტი არ გამოდგება „კოლხეთისა" და „ბათუმის" წმინდა პროფესიულ კლუბად გარდაქმნის აუცილებლობის ოდნავადაც შესაფერხებლად.

ზიარი საკუთრების ფორმა არსებობს ქუთაისის „ტორპედოსთან" მიმართებაში. კლუბის აქციათა პაკეტის 40 პროცენტს ქალაქის მერია ფლობს. დანარჩენს კერძო პირები. სამი წლის წინათ კი გუნდს მხოლოდ მერია ასაზრდოებდა. შედეგიც სავალალო იყო. ბესიკ ჯიქია და „სიგმაბანკი" სწორედ მაშინ მივიდნენ კლუბში, როცა „ტორპედო" მე-16 საფეხურზე დაეშვა. სიტუაცია მალე გამოსწორდა. შარშან შემოდგომაზე კი ჯიქიას ფინანსურად შეჭირვებას ქუთაისელთა გუნდის ლამის დაშლა მოჰყვა. მერიამაც ვერაფერი იღონა... მიხეილ ქორქიამ და კომპანიამ სულზე მიუსწრო გუნდს და „ტორპედომაც" გაიღალა. ახლო წარსულის გამოცდილება ეჭვქვეშ აყენებს ქალაქის მერიის ორმოცპროცენტიანი წილის სიდიდეს.

არასაბიუჯეტო ორგანიზაციების დაქვემდებარებაშია თბილისის „დინამო", სამტრედიის „იბერია" და თბილისის „ვიტ ჯორჯია".

„დინამოს" ხელმძღვანელობამ კარგა ხანია, რაც განვითარების ევროპული მოდელი აირჩია და პროექტის ბოლომდე განხორციელებისთვის ცოტაღა დარჩა. როგორც ჩემპიონის მესვეურებმა განაცხადეს, კლუბით სერიოზული უცხოელი ინვესტორები დაინტერესდნენ და მათი „დინამოში" მისვლა მხოლოდ ფორმალობასღა წარმოადგენს.

საქართველოში ამ მხრივ პირველი სიტყვა მაინც „ვიტ ჯორჯიას" ეკუთვნის. ვიტელთა პრეზიდენტმა, გურამ რუხაძემ, პირველმა მოახერხა და ქართულ საფეხბურთო სამყაროში უცხოური ფირმა ჩააბა საქმეში. ამერიკული „ვიტ ინკორპორეიტედი" სერიოზული მიზნებით დაუკავშირდა მის დისტრიბუტორს საქართველოში და გუნდიც პროფესიულ რელსებზე დადგა. „ვიტ ჯორჯიაც" ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს სანუკვარი მიზნისკენ ისე, რომ განვითარების არცერთ ეტაპს გვერდს არ უვლის.

### მოჩქარეს მოუგვიანდეს

ადრე თუ გვიან ყველა მიხვდება, რომ ფეხბურთი დიდი ბიზნესია. ბიზნესში კი აჩქარებულად არავის უხეირია. კლუბი და საფეხბურთო მეურნეობა თანადროულად ვითარდება. ვიდრე ქართული გუნდების მესვეურები ტელეკონტრაქტებისგან, სარეკლამო შემოსავლებისგან, საგამომცემლო საქმიანობებიდან, ფეხბურთელთა ტრანსფერებიდან მიღებულ სოლიდურ თანხებზე ოცნებობენ, ერთი რამ უნდა შეიგნონ, ყოველივეს უკან უზარმაზარი გეგმაზომიერი შრომა და საქმისადმი მხოლოდ პროფესიონალური მიდგომა დგას. სპორტში ვერასდროს დაეუფლები მედალს, თუ ზედმიწევნით მოწესრიგებული არ გაქვს ის მხარე, მედლის მეორე მხარეს რომ ეძახიან.

**ხვიჩა სანიკიძე**

Paraguay '99 — 39a. Copa América

კოპა ამერიკა

## ბრაზილია



ლეონარდო ლუქსემბურგოს დარიგებას უსმენს

# სამი ცვლილება

ბრაზილიის ნაკრებში ცვლილებებია — მწვრთნელ ვანდერლეი ლუქსემბურგოს რჩეული ფეხბურთელებიდან სამი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

„კორინთიანსის“ ნახევარმცველი ედილსონი ლუქსემბურგომ თავად დაითხოვა — საქმე ისაა, რომ ფეხბურთელი სან პაულუს შტატის ჩემპიონატის ბოლო ტურში უწესოდ იქცეოდა, ერთთავად ლაზღანდარობდა, მწვრთნელს კი ასეთი მოთამაშე არ სდომებია.

— იგი ანცი მოთამაშეა, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი კი საპასუხისმგებლო ტურნირია. გუნდში ძლიერი, გამარჯვებისთვის მოწადინებული ფეხბურთელები მყავს, ედილსონის დარი მოთამაშეები კი ნამდვილად არ მჭირდება. ასეთებს გუნდში დისონანსი შეაქვთ — განაცხადა ლუქსემბურგმ.

გუშინ ვანდერლეი ლუქსემბურგომ ედილსონის შემცვლელი დაასახელა — „გრემიოს“ თავდამსხმელი რონალდინიო კონტინენტის ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

თუ ლუქსემბურგომ ედილსონი თავად დაითხოვა, კიდევ ორი ნახევარმცველი — სეზარ სამპაიო და ჟუნინიო ტრავმების გამო დააკლდა. ნაკრების ვარჯიშზე ორივე მოთამაშემ მუხლის ტრავმა მიიღო. შეგახსენებთ, რომ ლიბერტადორესის თასის მომგებ „პალმეირასის“ ნახევარმცველმა სეზარ სამპაიომ ბრაზილიის ნაკრების პირველი გოლი გაიტანა მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე.

„კრუზეიროს“ მარკოს პაულო და „პალმეირასის“ ალექსი ზემოხსენებულ ორ ტრავმირებულ მოთამაშეს შეცვლიან.

*ბრაზილიის ნაკრების დღევანდელი შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — კარლოს ჟერმანო (ვასკუ და გამა), დიდა (მილანი, იტალია); მცველები — კაფუ (რომა, იტალია), ევანილსონი, ჟოაო კარლოსი (კრუზეირო), სერჟინიო (სან პაულუ), რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), ანტონიო კარლოსი (რომა, იტალია), სეზარი (პორტუგეზა), ოდვანი (ვასკუ და გამა); ნახევარმცველები — ვამპეტა (კორინთიანსი), ზე რობერტო, ემერსონი (ლევერკუზენი, გერმანია), ფლავიო კონსეისაო (დეპორტივო, ესპანეთი), რივალდო (ბარსელონა, ესპანეთი), ლეონარდო (მილანი, იტალია), მარკოს პაულო (კრუზეირო), ალექსი (პალმეირასი); თავდამსხმელები — ამოროზო (პარმა, იტალია), კრისტიანი (ინტერნასიონალი), რონალდო (ინტერი, იტალია), რონალდინიო (გრემიო).*

# ოქროს მეგოლე ნაკრებშია

იაპონიის ფეხბურთის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი გოლის გამტანი მასაიუკი ოკანო ქვეყნის ნაკრების ფრანგმა მწვრთნელმა ფილიპ ტრუსიემ გუნდში მიიწვია. იაპონელები გამალებით ემზადებიან სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში სათამაშოდ, სადაც ისინი სტუმრის სტატუსით იქნებიან.

მასაიუკი ოკანო სწორედ ის კაცია, რომლის გოლმაც იაპონია მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა. 1997 წლის ნოემბერში, ირანთან თამაშის დამატებით დროში ოკანომ ოქროს გოლი შეაგდო. მას მერე იგი ძალიან დააფასეს.

„ურავა რედ დაიმონდსის“ გარემარბმა ოკანომ იაპონიის ნაკრებში 16-ჯერ ითამაშა და სამი გოლი გაიტანა. ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ იგი მეორედაა მიწვეული — შარშან ოქტომბერში, ეგვიპტელებთან 1:0 მოგებული თამაშისთვის იგი ნაკრებში კი მიიწვიეს, მაგრამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია. მასაიუკი ოკანო იმედოვნებს, რომ პარაგვაიში იგი კვლავ გამოჩნდება იაპონიის ნაკრების შემადგენლობაში.

ფილიპ ტრუსიემ იაპონიის ნაკრებში მთლიანობაში ოთხი ცვლილება მოახდინა — გუნდში აღარ არიან ტრავმირებული მცველი ეისუკე ნაკანიში და თავდამსხმელი ტაცუშიკო კუბო, ხოლო ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების ფეხბურთელები — შინჯი ონო და აცუში იანაგისავა ტრუსიემ იაპონიაში დატოვა, რადგან მათ სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირში უნდა ითამაშონ. მათ ნაცვლად გუნდში არიან „შიმიცუ ეს პულსის“ გარემარბი მასაჰირო ანდო და „ჯუბილო ივატაში“ მოთამაშე ჰიდეტო სუზუკი და შაკაში ფუკუნიში. მეოთხე დამატებული, როგორც გითხარით, მასაიუკი ოკანოა.

იაპონიის ნაკრები პარაგვაიში ორიოდ დღის წინ გაფრინდა. შეგახსენებთ, რომ ჯგუფში მისი მეტოქეები პერუ, პარაგვაი და ბოლივიაა.

Paraguay '99 — 39a. Copa América

## ეკვადორი

*მეკარეები — ხოსე სევალოსი (ბარსელონა), ჯოვანი იბარა (ნასიონალი, ურუგვაი); მცველები — ულისეს დე ლა კრუსი (ლიგა დე კიტო), ივან ურტადო (მონტერეი, მექსიკა), ალბერტო მონტანო, ფრისონ ჯორჯი, დანეს კორონელი, ოლგერ კინონესი (ბარსელონა), ფრანკლინ ანანგონო (ტრუენოსი, მექსიკა), აუგუსტო პოროსო (ემელეკი), მარლონ აუოვი (დეპორტივო კიტო); ნახევარმცველები — ექტორ კარაბალი (სან პაულუ, ბრაზილია), ჯიმი ბლანდონი (დეპორტივო კიტო), ჟაისონ ზამორა (ნასიონალი, ურუგვაი), მოიზეს კანდელარიო, ლუის მორეირა, ველინგტონ სანჩესი (ემელეკი), ალექს აგინაგა (ნეკაქსა, მექსიკა); თავდამსხმელები — ნიკოლას ასენსიო (უნივერსიდადი, ჩილე), არიელ გრაციანი (მორელია), აგუსტინ დელგადო (ნეკაქსა, მექსიკა), ივან კავიედესი (პერუჯა, იტალია)*

# ჯუზეპე ბერგომი აღარ ითამაშებს



ჯუზეპე ბერგომი მილანის „ინტერიდან“ წავიდა.

— ყველამ იცით, რომ „ინტერი“ ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს — განაცხადა 36 წლის ფეხბურთელმა.

— ცხოვრების ნახევარზე მეტი ამ კლუბში გავატარე. „ინტერმა“ ბევრი რამ მომცა — სახელი, ფული, ცხოვრებაც მაჩუქა. ამას ვხვდები და ყველას დიდ მადლობას ვუხდი...

— ჯერ არაფერი გადამიწყვეტია, ალბათ კლუბში დავრჩები, თუმცა თამაშს გამოვეთხოვები...

16 წლის იყო ჯუზეპე ბერგომი, მილანის „ინტერში“ რომ გამოჩნდა, მალე ახალგაზრდა ჭაბუკი მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა, მერე კი იყო უამრავი გამარჯვება...

20 წლის შემდეგ დასრულდა ბერგომის მილანური ეპოპეა.

# ჩხუბისგან დაზარალებულნი

რუსეთის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში მომხდარი არეულობისთვის მოსკოვის „სპარტაკიც“ დასაჯა და მისი მასპინძელი „სატურნიც“.

პირველობის ბოლო ტურში რამენსკოეში ადგილობრივი „სატურნი“ ქვეყნის უძლიერეს კლუბ „სპარტაკს“ მასპინძლობდა. ერთ მომენტში მოსკოველ გულშემატკივრებსა და რამენსკოელ სამართალდამცავებს შორის ჩხუბი ატყდა, რაც ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა. არეულობაში 600-მდე მოსკოველი ქომაგი და ათასამდე სამართალდამცავი მონაწილეობდა. ვაიგულშემატკივრებმა დალეწეს რამენსკოეს სტადიონის პლასტმასის სკამები. ბრძოლამ კი ისეთი სახე მიიღო, სანამ „სპარტაკის“ მწვრთნელი ოლეგ რომანცევი და კაპიტანი ილია ციმბალარი არ გამოჩნდნენ, მოსკოველთა ქომაგები არ დაწყნარდნენ.

ის თამაში საბოლოოდ „სპარტაკმა“ 3:0 მოიგო.

რუსეთის ფეხბურთის კავშირის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, მოსკოველები დღეს სოჭის „ჟემჩუჟინას“ ცარიელ სტადიონზე უმასპინძლებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩხუბი „სპარტაკის“ გულშემატკივრებმა ატეხეს, დაისაჯა „სატურნიც“ — კლუბი უახლოეს საშინაო მატჩს ნეიტრალურ მინდორზე ჩაატარებს.

# ეს გზაც ლონდონისკენ მიდის

**დიდიე დეშამპი**

*1968 — დაიბადა 15 ოქტომბერს ბეიონში.*
*1985 — „ნანტის“ შემადგენლობაში პირველად თამაშობს საფრანგეთის ჩემპიონატში.*
*1989 — პირველად თამაშობს საფრანგეთის ნაკრებში. იმავე წელს გადადის „მარსელში“. გააქვს პირველი გოლი ნაკრებში თამაშისას.*
*1990 — „მარსელიდან“ „ბორდოში“ გადადის.*
*1991 — ბრუნდება „მარსელში“.*
*1993 — „მარსელის“ კაპიტანია და კლუბი ჩემპიონთა ლიგას იგებს.*
*1994 — გადადის „იუვენტუსში“.*
*1995 — ხდება საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი.*
*1996 — „იუვენტუსთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგას იგებს.*
*1998 — მსოფლიოს ჩემპიონატის მომგები საფრანგეთის ნაკრების კაპიტანია.*
*1999 — საფრანგეთის ნაკრების რეკორდსმენი ხდება ნათამაშევი მატჩების მიხედვით.*
*საფრანგეთის ჩემპიონი — 1990, 1992; იტალიის ჩემპიონი — 1995, 1997, 1998; იტალიის თასი — 1995; იტალიის სუპერთასი — 1995, 1997; ჩემპიონთა თასი — 1993, 1996; ევროპის სუპერთასი — 1996; საკონტინენტთაშორისო თასი — 1996; მსოფლიოს ჩემპიონი — 1998*



ელოდნენ, რომ დიდიე დეშამპი სამშობლოში დაბრუნდებოდა, „მონაკოში“ გადავიდოდა. თითქოსდა ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, თითქმის ყველა ხელშეკრულებაც გაფორმებული გახლდათ...

სამშაბათს დეშამპი ლონდონის „ჩელსის“ ფეხბურთელი გახდა. ინგლისურმა გუნდმა დეშამპის იტალიურ კლუბს ტურინის „იუვენტუსს“ 4,7 მილიონი დოლარი გადაუხადა და ფრანგი ფეხბურთელი თავისთან წაიყვანა.

სეზონი არც იყო დასრულებული, დეშამპმა რომ თქვა, „იუვენტუსს“ დავტოვებო. კლუბის ნახევარდაცვის ბურჯის გადაწყვეტილებას დიდი რეზონანსი მოჰყვა. მისი მსურველი, კლუბები მრავლად აღმოჩნდა. თავდაპირველად საქმეს ისეთი პირი უჩანდა, დიდიე დეშამპი „მონაკოში“ უნდა გადასულიყო. ეს კლუბი ყველაზე ძალიან აქტიურობდა, იტალიელებთანაც მიაღწია შეთანხმებას, მაგრამ ფეხბურთელმა სხვა გუნდი ირჩია — ლონდონის „ჩელსი“.

ჯანლუკა ვიალიმ, „ჩელსის“ მწვრთნელმა და დეშამპის ყოფილმა თანაკლუბელმა, ფეხბურთელის გადასაბირებლად ბევრი იშრომა და „მონაკოს“ აჯობა. ვიალიმ კიდევ ერთი უცხოელი შემატა „ჩელსის“, ლონდონური კლუბი კიდევ უფრო გაჭრელდა.

დეშამპის „ჩელსიში“ გადასვლის შესახებ ბებერ კონტინენტს კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა კოლინ ატკინსონმა ამცნო. დღესდღეობით იგი კვიპროსშია და კამკამა ზღვის სანაპიროზე თაკარა მზეს ეფიცხება, თუმცა საყურადღებო ტრანსფერის გასაცხადებლად დრო მაინც გამონახა.

— დიდი შრომის შემდეგ დეშამპი „ჩელსის“ ფეხბურთელია. „იუვენტუსის“ დატოვება თავად დიდიემ მოიწადინა, ამიტომ იტალიელთაგან წინააღმდეგობა არ შეგვხვედრია — განაცხადა ატკინსონმა. მან ისიც თქვა, რომ ვიალი უცხოელი ფეხბურთელებით კვლავ გააძლიერებს გუნდს.

დეშამპმა ტურინის „იუვენტუსში“ ყველაფერი მოიგო. გახდა იტალიის ჩემპიონი, ალმართა აპენინის ნახევარკუნძულის თასი, ჩემპიონთა თასიც მოიგო... რა გასაკვირია, რომ ყველაფრისმომგებ ფეხბურთელს ახალი მიზნის მიღწევის სურვილი გაუჩნდა. მას ინგლისში არასდროს უთამაშია. ცხადია, ახლა ამ შანსს გამოიყენებს.

— მიუხედავად იმისა, რომ დეშამპი ტიტულოვანი ფეხბურთელია, მან განაცხადა, რომ „ჩელსისთვის“ არაფერს დაიშურებს — თქვა ატკინსონმა.

ახალ სეზონში „ჩელსი“ ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ჩაერთვება. დიდიე დეშამპიც შეეცდება, მისი კლუბი კვლავ გავიდეს ლიგის ფინალში. ეს ხომ მისთვის უცხო სულაც არაა.

...ნათქვამია, ყველა გზა რომში მიდისო, ევროპული ტრანსფერების შემხედვარენი კი ვფიქრობთ, იქნებ ყველა გზამ ახლა ლონდონისკენ გაუხვია?

# არ უნდა კაცს ინგლისში ცხოვრება და მორჩა

**ნიკოლა ანელკა** გაფიცვას აპირებს. რისკავს? რა თქმა უნდა. ჯერ ერთი კაცმა არ იცის, რა შედეგს მოიტანს გაფიცვა. მეორეც, ფეხბურთელისთვის გაფიცვა თამაშების გაცდენას ნიშნავს, რაც, თავის მხრივ, ფორმის დაკარგვის და საეჭვო მომავლის პერსპექტივას აჩენს.

ანელკამ თავადაც კარგად იცის რისკის ფასი, მაგრამ ერთ არგუმენტსაა ჩაჭიდებული. ეს არგუმენტი მისი ასაკი გახლავთ. ფრანგი თავდამსხმელი ჯერ 20 წლისაა და გრძნობს, რომ ამ ასაკში რაღაც პერიოდის გაცდენა დასაშვებია, მით უფრო, თუ გაფიცვა სასურველ შედეგს მოუტანს.

მოკლედ, ანელკა ცოტასაც დაიცდის და მერე გაიფიცება. ვის გაეფიცება? ლონდონის „არსენალს“, სადაც ორი სეზონის წინ „პარი სენ ჟერმენიდან“ 500 ათას გირვანქად გადავიდა.

ახლა გაფიცვის მიზეზი ვთქვათ:

ანელკას ლონდონში დარჩენა რომ აღარ სურს, დიდი ხნის ცნობილი ამბავია. ვერ შეეგუა ადამიანი ამ ქალაქს, იქაურ გარემოს, ეს არის და ეს. ფრანგმა ინგლისური კარგად არ იცის. ის ვერც ენამწარეობით ცნობილი ინგლისური პრესის ლაღობას ეგუება, სხვანაირ კრიტიკასა და ქებასაა დაჩვეული. ზოგადად გალიზიანებულს თანაგუნდელებთანაც დაეძაბა ურთიერთობები და მართალია, როგორც პროფესიონალი, მოედანზე არაფერს იმჩნევს, მოედნის გარეთ, მაგალითად, ჰოლანდიელ მარკ ოვერმარსთან კბილთა ღრჭენა აქვს.

„არსენალის“ მწვრთნელი, ფრანგი არსენ ვენგერი ყველა ღონეს ხმარობდა ეკლების დასაგლუვებლად. ის ამბობდა, რომ ლონდონიდან წასვლა თავად ყმაწვილისთვის იქნება ცუდი, რადგან კარიერას დაიღუპავს და ასე შემდეგ, მაგრამ...

არ უნდა კაცს ლონდონში ცხოვრება და მორჩა.

მერე? მერე კი ის, რომ ნიკოლა ანელკამ თავისი უმცროსი ძმის, იმავდროულად მისი აგენტის, ჩალიჩისუნარიანობის წყალობით მარცხნივ და მარჯვნივ, ხმამაღლა და ჩუმად მოლაპარაკებები გამართა.

გამოჩნდა გუნდი, რომელმაც ფრანგ თავდამსხმელს ყოველმხრივ ხელსაყრელი პირობები შესთავაზა, ოღონდ ჩუმად, „არსენალმა“ ამის შესახებ არაფერი იცოდა. როდესაც ლონდონელებმა ანელკასა და მადრიდის „რეალის“ ჩურჩულის ამბავი შეიტყვეს, სიბრაზისგან ფიფაში იჩივლეს, ესპანური კლუბი კანონებს არღვევს, ჩვენს დაუკითხავად ფეხბურთელს ურიგდება.



სწრაფი ანელკა (მარცხნივ) მცველებს იოლად გაურბის

ბაო. ჭორი ამბობს, რომ თუ ფიფაუეფამ საქმეს სერიოზულად მოჰკიდა ხელი, „რეალი“ შეიძლება, სულაც, ჩემპიონთა ლიგას გამოამშვიდობონო.

მაგრამ, ანელკას „რეალში“ უნდა, სადაც კვირაში 60 ათას გირვანქას ჰპირდებიან.

ამასობაში კი „არსენალის“ ოფისში ფაქსის აპარატის ხახამ ფურცელი ამოაგდო. იქ დაწერილის მოკლე შინაარსი ასეთი გახლდათ: დაგვითმეთ ნიკოლა ანელკა და ჩვენ 22 მილიონ გირვანქას გადავიხდით. წერილს რომაული „ლაციოს“ პრეზიდენტი, სერჯო კრანიოტი აწერდა ხელს. იტალიელები ფორვარდს კვირაში 40 ათას გირვანქას ნაღდს ჰპირდებიან.

„არსენალი“ დაფიქრდა, ვენგერს კი შვებულება ჩამწარდა. სადღაც, საფრანგეთის ფეშენებელურ კურორტზე სატრფოს მაგივრად (უცოლშვილოა) ანელკა და გირვანქები უტრიალებს თავში. თუ ანელკას გაუშვებს, „კალიარისგან“ რობერტო მუცი უნდა იყიდოს. მუციში სარდინიელები 10 მილიონ გირვანქას ითხოვენ. ესე იგი, ამ ვარიანტის შემთხვევაში, ჯერ „ლაციოსგან“ 22 მილიონი უნდა მიიღოს, მერე კი ამ თანხას 10 გამოაკლოს და იტალიელი ფეხბურთელი იყიდოს. მაგრამ უღირს?

„არსენალი“ იმდენს ფიქრობს, რომ რომში, კრანიოტის, ნერვები მოეშალა, ერთ-ორ დღეში მიპასუხეთ, გვაძლევთ მაგ ანელკას თუ არაო.

მაგრამ, როგორც გითხარით, ანელკას მადრიდში უნდა, თანაც იქიდან „რეალის“ პრეზიდენტი ლორენსო სანსიც ხმამაღლა გაიძახის, კაცს, რომელსაც ჩვენთან გადმოსვლა სურს და პირობებზეც შეთანხმებული ვართ, არ უშვებენო.

თუ გახსოვთ, ასე იყო რამდენიმე წლის წინ ანელკას თანამემამულე კრისტიან კარემბუც. კარემბუ, მაშინ, გენუის „სამპდორიაში“ თამაშობდა. „სამპდორიას“ მისი „ბარსელონაში“ გაცემა უნდოდა, ფეხბურთელს კი „რეალში“ გადასვლა ამოეჭრა გულში. თურმე ფრანგს და „რეალს“ ყველაფერი აეწონ-დაეწონათ. შეთანხმებულიყვნენ, რომ ფეხბურთელი ჩასვლისთანავე მიიღებდა 200 ათას გირვანქას, მერე კი... მოკლედ, იქამდე იყვნენ მისული, რომ ისიც კი მოელაპარაკებინათ, BMW-ს რომელი მოდელით უნდა ექროლა კარემბუს ესპანეთის დედაქალაქის ქუჩებში.

იქით კარემბუ არ წავიდა, აქეთ „სამპდორია“ არ უშვებდა და ასე, გაფიცვა-ჯიუტობაში გაიარა მსოფლიო ფეხბურთის ერთმა სეზონმა პოლინეზიური წარმოშობის ფრანგის გარეშე. ბოლოს „სამპდორიამ“ დათმო.

დაბოლოს, უცხოური სააგენტოები გვახსენებენ, რომ ხორვატ ფეხბურთელს გორან ვლაოვიჩს „ნაპოლისთან“, „ვალენსიასა“ და „ესპანიოლთან“ ერთდროულად დადებული კონტრაქტების გამო ფიფამ დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

**მიხეილ სურგულაძე**

## აფრიკის თასი. შესარჩევი ტურნირი.

### I ჯგუფი

**ერითრია 1:0 მოზამბიკი**

1:0 ფიში (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 |
| ერითრია | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| მოზამბიკი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:9 | 3 |

*კამერუნი ფინალურ ეტაპზე გავიდა. ერითრია პლეი ოფში ითამაშებს.*

### II ჯგუფი

**გვინეა 2:1 ტოგო**

1:0 კამარა (53), 1:1 ფიავუ (61), 2:1 კამარა (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 8 |
| ტოგო | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| გვინეა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |

*მაროკო და ტოგო ფინალურ ეტაპზე გავიდნენ.*

*სიერა ლეონე ჯგუფიდან ადრეულ სტადიაში მოიხსნა.*

### III ჯგუფი

**კონგო 3:0 ნამიბია**

1:0 ბუკატილა (23), 2:0 ბოუიტუსი (53პ), 3:0 ნგუიე მიენი (87)

**კოტ დივუარი 0:0 მალი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტ დივუარი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:2 | 11 |
| კონგო | 6 | 3 | 1 | 2 | 6:5 | 10 |
| მალი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:3 | 9 |
| ნამიბია | 6 | 0 | 2 | 4 | 2:10 | 2 |

*კოტ დივუარი და კონგო ფინალურ ეტაპზე გავიდნენ.*

### IV ჯგუფი

**ანგოლა 2:2 ს. აფრიკა**

0:1 მკალელე (48), 0:2 მუდაუ (53), 1:2 ფრანსისკო (67), 2:2 აველინო (71)

**მავრიკეთი 2:2 გაბონი**

0:1 ნზაბუტამბა (37), 1:1 ფრანსოი (45), 1:2 ნგუე ნზუემა (72), 2:2 პერლე (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ს. აფრიკა | 6 | 3 | 2 | 1 | 10:5 | 11 |
| გაბონი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:10 | 10 |
| მავრიკეთი | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | 6 |
| ანგოლა | 6 | 1 | 2 | 3 | 7:10 | 5 |

ს. აფრიკა და გაბონი ფინალურ ეტაპზე გავიდნენ.

### V ჯგუფი

**სენეგალი 1:0 ბურუნდი**

1:0 კეიტა (11)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბურკინა ფასო | 4 | 2 | 2 | 0 | 8:5 | 8 |
| სენეგალი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ბურუნდი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 |

ბურკინა ფასო ფინალურ ეტაპზე გავიდა.

სენეგალი პლეი ოფში ითამაშებს.

### VI ჯგუფი

**ზაირი 0:1 ზამბია**

0:1 სინკალა (46პ)

**მადაგასკარი 1:1 კენია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზამბია | 6 | 5 | 1 | 0 | 9:2 | 16 |
| ზაირი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:6 | 10 |
| მადაგასკარი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | 5 |
| კენია | 6 | 0 | 2 | 4 | 3:7 | 2 |

ზამბია და ზაირი ფინალურ ეტაპზე გავიდნენ.

### VII ჯგუფი

**ალჟირი 2:0 უგანდა**

1:0, 2:0 მერაკჩი (43, 65)

**ლიბერია 2:0 ტუნისი**

1:0 მაკორი (70პ), 2:0 ვეა (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 6 | 5 | 0 | 1 | 13:3 | 15 |
| ალჟირი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:7 | 7 |
| ლიბერია | 6 | 2 | 1 | 3 | 7:8 | 7 |
| უგანდა | 6 | 2 | 0 | 4 | 3:13 | 6 |

*ტუნისი და ალჟირი ფინალურ ეტაპზე გავიდნენ.*

აფრიკის თასის გათამაშების თანამასპინძლები განა და ნიგერია, ისევე როგორც, ბოლო ტურნირის გამარჯვებული ეგვიპტე ფინალურ ეტაპზე პირდაპირ არიან დაშვებულნი.

დარჩენილი ერთი ადგილის მფლობელს ჯგუფური ტურნირის საშუალებით ერითრია, სენეგალი და ზიმბაბვე გაარკვევენ. გამარჯვებული 3-21 ივლისის თამაშებში გაირკვევა.

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „ჩარლტონის“ მთავარმა მწვრთნელმა ალან კურბიშლიმ კლუბთან ახალი, ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რითაც მოარულ ხმებს, თითქოს იგი „ნოტინგემ ფორესტში“ გადადიოდა, ბოლო მოუღო. „ალანი ინგლისის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია, მჯერა, მას ძალუძს გუნდი პრემიერლიგაში დააბრუნოს“ — განაცხადა „ჩარლტონის“ მფლობელმა რიჩარდ მიურეიმ.

**რუსეთის ეროვნული ნაკრების მეკარე დმიტრი ხარინი ლონდონის „ჩელსიდან“ გლაზგოს „სელტიკში“ გადავიდა. 30 წლის მეკარეში შოტლანდიელებმა 2 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.**

**უელსის** ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი მოლაპარკებას აწარმოებდნენ ინგლისის ეროვნული ნაკრების ყოფილ თავკაც ტერი ვენეიბლზთან, რათა ეს უკანასკნელი 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შემდეგ უელსის ეროვნულ გუნდს ჩაუდგეს სათავეში.

**ჩინეთის ქალაქ ჰონკონგში გასულ კვირას ნეპალის და მალაიზიის ეროვნული გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს. შეხვედრის 88-ე წუთზე ნეპალელმა გულშემატკივრებმა სათამაშო მოედანზე შეაღწიეს და მალაიზიელ მოთამაშეებს ცემა დაუწყეს. ჩინელმა სამართალდამცავებმა უმოკლეს დროში მოუღეს ბოლო კონფლიქტს, მაგრამ რამდენიმე მალაიზიელი მოთამაშე მძიმე ტრავმით მაინც მოხვდა საავადმყოფოში. მატჩი, რა თქმა უნდა, გადაიდო.**

**ინგლისური** „ევერტონის“ წარმომადგენელთა განცხადებით, ფრანგი ნახევარმცველი ოლივიე დაკურტი მომავალ სეზონსაც მათთან გაატარებს. აქამდე 24 წლის დაკურტის გადაბირება „ევერტონის“ თანაქალაქელ „ლივერპულს“, აგრეთვე ლონდონურ „არსენალს“ და ბირმინგემულ „ასტონ ვილას“ სურდა.

**ჩეხეთის დედაქალაქური „სპარტას“ მწვრთნელად ივან ჰაშეკი დაინიშნა. 35 წლის ჰაშეკს 56-ჯერ აქვს ნათამაშები ჩეხოსლოვაკიის ნაკრებში, ამავე გუნდის შემადგენლობაში ის 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობდა, ორჯერ კი ჩეხოსლოვაკიის წლის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს.**

**ინგლისურ** პრემიერლიგაში წლეულს აღზევებულმა „უოტფორდმა“ შესაძლოა, ბულგარეთის ყველა დროის უძლიერესი ფეხბურთელი — ხრისტო სტოიჩკოვი გადაიბიროს. „ჩვენ ვესაუბრეთ ხრისტოს აგენტებს, თავად ფეხბურთელიც თანახმაა, ჩვენთან გადმოვიდეს“ — განაცხადა „უოტფორდის“ მწვრთნელმა გრემ ტეილორმა. მისივე თქმით, გაისად „უოტფორდის“ ღირსებას, მილანის „ინტერის“ და საერთოდ იტალიური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა ჯუზეპე ბერგომი დაიცავს.

**ინგლისური „ასტონ ვილას“ თავდამსხმელმა სტენ კოლიმორმა, წარმატებით ჩააბარა დოპინგ-ტესტი. სწორედ კოლიმორი იყო ფეხბურთელი, რომელიც წლის დასაწყისში ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ დოპინგის ხმარებაში ამხილა.**

**შოტლანდიურ** გლაზგოს „სელტიკს“ ისრაელის ეროვნული ნაკრებისა და ლონდონის „ვესტ ჰემის“ ფეხბურთელის ეიალ ბერკოვიჩის შეძენა სურს. შოტლანდიელები თანახმა არიან, ბერკოვიჩის სანაცვლოდ 5 მილიონი გირვანქა გაიღონ.

**ესპანეთის ეროვნული ნაკრების მეკარე და „ესპანიოლის“ კაპიტანი ტონი ხიმენესი მადრიდის „ატლეტიკოში“ გადავიდა. ტონი ხიმენესი, რომელმაც ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, პრიმერა დივიზიონის ბოლო გათამაშების ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა. მან 1998-99 წლების სეზონში „ესპანიოლის“ მაისურით 37 შეხვედრა ჩაატარა და 31 გოლი გაუშვა. ამ მაჩვენებლით იგი მხოლოდ „მალიორკას“ არგენტინელ მეკარეს, კარლოს როას ჩამორჩა.**

**იუგოსლავიის** ეროვნული ნაკრების მეკარე დრაგოიე ლეკოვიჩი ერთ-ერთია იმ ცხრა ფეხბურთელიდან, რომელნიც ესპანეთის პირველ დივიზიონში ახლახან აღზევებულმა „მალაგამ“ შეიძინა. ლეკოვიჩის გარდა, რომელიც „მალაგაში“ ხიხონის „სპორტინგიდან“ გადავიდა, პრიმერა დივიზიონის დებიუტანტებმა მადრიდის „რეალისგან“ ერთი სეზონით პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი ედგარ კარვალიო ითხოვა.

**ინგლისურ „ნიუკასლში“ 9,32 მილიონ დოლარად ესპანური „მალიორკას“ ცენტრალური მცველი მარსელინო ელენა გადავიდა. მარსელინომ, რომელიც „მალიორკაში“ 1995 წლიდან თამაშობს, ახალ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. „ინგლისში გადასვლას ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საქმე ისაა, რომ წარმოშობით ხიხონიდან (ჩრდილოეთ ესპანეთი) ვარ, ნიუკასლი კი ჩემს მშობლიურ ქალაქთან გაცილებით ახლოსაა, ვიდრე მალიორკა“ — იხუმრა მარსელინომ.**

**ესპანური** „ბარსელონას“ ჰოლანდიელი მწვრთნელის ლუის ვან გაალის თანამემამულე ასისტენტი ჟერარ ვან დერ ლემი სამშობლოში დაბრუნდა, სადაც „ალკმაარს“ ჩაუდგება სათავეში. 47 წლის ვან დერ ლემი უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში ვან გაალის თანაშემწედ მუშაობდა და მის მარჯვენა ხელად ითვლებოდა. ახლა კი, მიუხედავად იმისა, რომ კატალონიურ კლუბთან კონტრაქტი 2000 წლამდე აკავშირებდა, ასისტენტობას მთავარი მწვრთნელობა ამჯობინა.

**ესპანეთის ჩემპიონმა „ბარსელონამ“ „მალიორკას“ თავდამსხმელი დანი გარსია შეიძინა 2,500 მილიონ პესეტად (15,5 მილიონი დოლარი). ესპანეთის ეროვნული ნაკრების წევრმა დანიმ, რომელმაც პრიმერა დივიზიონის ბოლო გათამაშებაში 12 გოლი გაიტანა, კატალონიურ კლუბთან ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა. აღსანიშნავია, რომ 1996 წლის შემდეგ, როცა „ბარსელონამ“ ლუის ენრიკე „რეალისგან“ იყიდა, დანი პირველი ესპანელი ფეხბურთელია, რომელიც კატალონიელებმა შეიძინეს. „ძალიან კარგი ფეხბურთელი შევიძინეთ. დარწმუნებული ვარ, იგი გუნდს დიდად წაადგება“ — განაცხადა ლუის ვან გაალმა. მისივე თქმით, „ბარსელონას“ ნიგერიელი ლეგიონერი გბენგა ოკუნოვო უახლოეს მომავალში ლისაბონის „ბენფიკას“ წევრი გახდება.**

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# რომელი პახარსი, მარიანი?

*საუთჰემპტონელი ჯეიმს ბიტი ახალგაზრდა ბიჭია, მანქანის მართვის უფლება ჯერ არ აუღია, „ბლექბერნს“ ქომაგობს და რაც იცის იმაზე საუბრობს...*



„საუთჰემპტონის“ პრემიერლიგაში დარჩენა ჯეიმს ბიტის თანაგუნდელმა ზურგზე შეხტომით მიულოცა

**— გავიხსენოთ „საუთჰემპტონის“ დიდებული გადარჩენა. ალბათ, კმაყოფილების გრძნობა გეუფლებათ...**

— რა თქმა უნდა, საშობაო არდადეგების შემდეგ ჩვენი უმთავრესი მიზანი პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება გახლდათ. არადა ირგვლივ ყველას განწირულ გუნდად მივაჩნდით. ამბობდნენ, რომ ჩვენ და „ჩარლტონი“ აუცილებლად გავვარდებოდით, მაგრამ სხვანაირად მოხდა.

ბიჭებს საკუთარი წარმატებისა სწამდათ და მიზნის მისაღწევად თავგამოდებით იბრძოლეს. ერთ თამაშსაც ვერ დამისახელებთ, რომლეშიც დავნებდით. იქნებ რომ შეგვიძლია ისე კარგად ვერც ვთამაშობდით, მაგრამ ერთ ქულას აქ ავიღებდით, მეორეს იქ და საბოლოოდ დავრჩით კიდეც პრემიერლიგაში.

**— „საუთჰემპტონის“ მაგივრად თქვენი ყოფილი გუნდი, „ბლექბერნი“ გავარდა. გაორებული ხომ არ ხართ?**

— ბლექბერნში უამრავი მეგობარი მყავს. ძალიან მიყვარს ამ ქალაქის საფეხბურთო კლუბიც და მწყინს, რომ ის პრემიერლიგას დაემშვიდობა. არ მინდოდა მათი გავარდნა, მაგრამ გავარდნენ. რაც შეეხება გაორებას: როდესაც საქმე იმათზე ან ჩვენზე მიდგა, ნათელი გახდა, ყველა ღონე უნდა მეხმარა რათა გავარდნილიყვნენ ისინი და არა ჩვენ. მე „ბლექბერნის“ ფანი ვარ და მის შედეგებს დიდი ინტერესით ვადევნებ თვალს, მაგრამ, გიმეორებთ, საქმე ისე მოექცა, რომ არჩევანი აღარ მქონდა.

**— როგორ ჩაიარა თქვენმა პირველმა პროფესიულმა სეზონმა? თქვენ ხომ ამ სეზონის წინ გახდით „სრული პროფესიონალი“.**

— საუცხოო სეზონი გამოდგა. ინგლისის 21 წლამდელთა ნაკრებში მიმიწვიეს, „საუთჰემპტონის“ შემადგენლობაში კარგი თამაშები ჩავატარე — პრემიერლიგის 30 მატჩში მივიღე მონაწილეობა. თავიდან საკმაოდ გამიძნელდა, მაგრამ მერე გამოცდილება მომემატა და პრობლემებსაც ალღო ავუღე. გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანი ყოფილა.

**— მაგრამ, გასულ სეზონს იოლს მაინც ვერ ვუწოდებთ, რადგან დიდი პასუხისმგებლობა გაწვათ. თითქმის ყოველ შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში იყავით...**

— ძნელი სეზონი გახლდათ, მაგრამ არა იმიტომ, რომ მაღალ სტანდარტებს ვიყავი შეჭიდებული, არამედ იმიტომ, რომ ძალიან ბევრ მატჩში მომიხდა მონაწილეობა. საკმაოდ ხშირად კარგადაც ვთამაშობდით, მაგრამ ბოლო წუთამდე ქულები გვაკლდა და მუდმივ ფსიქოლოგიურ ზეწოლას განვიცდიდით. მოკლედ, ძნელი იყო, ვინაიდან ყოველ შეხვედრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

**— თუ არ ვცდებით, პრემიერლიგაში დარჩენით „საუთჰემპტონმა“ ახალი სტადიონის აშენების გეგმა იხსნა...**

— მართალია. ყველაფერი ან არაფერი, ასე იყო საქმე. პრემიერლიგა, ჩემი აზრით, მსოფლიოს უძლიერესი ლიგაა და გუნდმა იქ ადგილის შესანარჩუნებლად ყველაფერი უნდა გაიღოს. სტადიონის ამშენებელი სპონსორი რომ არ გაქცეულიყო, პრემიერლიგაში უნდა დავრჩენილიყავით. მგონი „საუთჰემპტონს“ 15 ათასზე მეტი გულშემატკივარი ჰყავს. 30 ათასიანი სტადიონი რომ ავაშენოთ, ალბათ, ზედგამოჭრილი იქნება.

**— ახალი ბიჭი, ლატვიელი პახარსი, როგორია?**

— მარიანი? კარგი მოთამაშეა. ჭკვიანი, სხარტი და შეტევის დაბოლოებისას მწვავე. მასთან ჩინებული პარტნიორობა ავაწყვე და ვიმედოვნებ, რომ მომავალ სეზონში უკეთ გავაგრძელებთ. კარგი სტარტი გვჭირდება და არა ისეთი გასულ სეზონში რომ გვქონდა.

**— კარგი სტარტი მნიშვნელოვანია, არა?**

— დიახ. გასულ სეზონში კარგი სტარტი რომ გვქონოდა, იმ თამაშით, შობის შემდეგ რომ ვაჩვენეთ, ექვსეულშიც კი მოვხვდებოდით.

**— პახარსის მხარდამხარ თამაში სხვანაირია და ეგილ ოსტენსტადთან განსხვავებული?**

— რა ვიცი, აბა. ყველა მოთამაშე კი განსხვავებულია, მაგრამ... ისე, პახარსი თითქოს უკეთესად ხვდება ჩემი გადაადგილებების მიზანს, ვიდრე სხვა. თუმცა ეს თავდამსხმელის ინსტინქტია, ამას ვერავის ასწავლი. პახარსი ინგლისურადაც საკმაოდ კარგად ლაპარაკობს, ხოლო რაც არ იცის ხვდება.

**— როდესაც კევინ დევისი „ბლექბერნში“ 7 მილიონ გირვანქად გადავიდა, თქვენ საპირისპირო მიმართულებით 1 მილიონად გაემგზავრეთ. მაშინ ხალხი ამბობდა ეს ბიჭები ამდენი არ ღირანო. ხომ არ გიგრძვნიათ, რომ მხოლოდ და მხოლოდ 19 წლის, ოთხთამაშჩატარებული ახალგაზრდა იყავით, რომელშიც მილიონი გადაიხადეს?**

— არა, ამას არ შევუწუხებივარ. ხალხს რამდენიც უნდა იმდენი ილაპარაკოს, მათი საქმეა, მე არ მენაღვლება. არავის არაფერს ვუმტკიცებდი. ვიცოდი, რომ თანხას გავამართლებდი, თუმცა ეს რომ მევალებოდა არასდროს მიფიქრია.

**— ახლა თქვენ მანქანის მართვას სწავლობთ, ახალ „ფორდში“ ზიხართ და ბორბლებს აღრჭიალებთ. სასაცილოა არა?**

— ძალიან. ინსტრუქტორი გკარნახობს რა როგორ უნდა გააკეთო. ჩემს „პორშეს“, რომელიც რამდენიმე თვეა მყავს, ასე არასდროს გავატარებ. იცით, ეს „პორშე“ ცოტა იაფად შემხვდა და თავი მაყიდინა.

**365დან თარგმნა**
**პაპუნა ძედიამ**

# შმაიხელის საქმე გადაწყვეტილია

„მანჩესტერ იუნაიტედში“ რომ გადავედი, გუნდს ინგლისის ჩემპიონის ტიტული 26 წლის უნახავი ჰქონდა. ახლა, ლისაბონის „სპორტინგში“ დაახლოებით იმდაგვარ ამოცანას უნდა შევეჭიდო“ — ეს სიტყვები 35 წლის დანიელ მეკარეს, პიტერ შმაიხელს ეკუთვნის.

საბოლოოდ გადაწყდა: შმაიხელი, რომელიც ინგლისში ლამისაა გმირთა გმირად და ზებუნებრივ არსებად მონათლეს, პორტუგალიის დედაქალაქის კლუბში გადავიდა. ეს ცნობა „სპორტინგის“ დირექტორმა, პაულუ აბრეუმაც დაადასტურა.

შმაიხელი „მანჩესტერ იუნაიტედს“ რვაწლიანი ერთგულების შემდეგ დაემშვიდობა. მისი ბოლო დროება „ოლდ ტრეფორდზე“ საუცხოო გამოდგა: გუნდმა სამი ტიტული, ინგლისის ჩემპიონობა, ფეხბურთის ასოციაციის თასი და ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა. დიდებული იყო უკანასკნელი მატჩი, ჩემპიონთა ლიგის ფინალი, რომელშიც, ბარსელონის „კამპ ნოუზე“, „იუნაიტედმა“ მიუნხენის „ბაიერნს“ 2:1 მოუგო.



პიტერ შმაიხელი (მარცხნივ) „სპორტინგში“ გადავიდა

1992 წლის ევროპის ჩემპიონი არ მალავს, რომ მანჩესტერის გუნდთან გამოთხოვების მიზეზი პრემიერლიგის უდიდეს ფიზიკურ მოთხოვნათა წინაშე დამარცხება გახლდათ. შმაიხელს ახალი კლუბები ასარჩევად ჰქონდა, მაგრამ იტალიის მომქანცველ და დაძაბულ ჩემპიონატს პორტუგალიის მზის ქვეშ მოკალათება არჩია.

შეგახსენებთ, რომ „სპორტინგმა“ ახლახან, ახალი მწვრთნელი, იტალიელი ჯოზეფ მატერაცი დაიქირავა. ლისაბონელები პორტუგალიის გასულ ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავიდნენ და უეფას თასის საგზური მოიპოვეს.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **რუსეთის ჩემპიონატი. XII ტური** | | | |
| 23.06 | შინიკი — დინამო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ზენიტი — ლოკომოტივი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | სპარტაკი — ჟემჩუჟინა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | ცსკა — სატურნი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | როტორი — ნოვგოროდი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | როსტსელმაში — ტორპედო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | ურალანი — კრილია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | ჩერნომორეცი — ალანია | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | **შვედეთის ჩემპიონატი. XII ტური** | | | |
| 23.06 | ჰელსინგბორგი — ჰალმსტადი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | ჰამარბი — კალმარი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | **ნორვეგიის თასი. მეთექვსმეტედფინალი** | | | |
| 23.06 | ფრედრიკსტადი — ვალერენგა | 3,8 | 3,1 | 1,7 |
| | ლილესტრიომი — ოსი | 1,1 | 5,6 | 10,0 |
| | ლინი — სტარტი | 2,3 | 2,9 | 2,6 |
| | სკეიდი — რაუფოსი | 1,5 | 3,4 | 4,4 |
| | ულერნი — ოდგრენი | 3,6 | 3,2 | 1,7 |
| | სტაბეკი — გიოვიკი | 1,1 | 5,6 | 10,0 |
| | კონგსვინგერი — ბრინი | 1,6 | 3,3 | 4,0 |
| | ვიკინგი — ოლგრიდი | 1,1 | 5,6 | 10,0 |
| | ჰაუგესუნდი — სტრომგოდსეტი | 2,4 | 2,9 | 2,4 |
| | ბრანი — ორსტა | 1,1 | 5,6 | 10,0 |
| | სოგნდალი — კიელსორი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| | ტრონდჰეიმი — მოლდე | 7,0 | 3,5 | 1,3 |
| | ბიოსენი — მოსი | 2,6 | 2,9 | 2,3 |
| | ბოდო გლიმტი — მო | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| | ალტა — ტრომსო | 4,2 | 3,2 | 1,6 |
| | **ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი (აშშ). II ტური** | | | |
| 23.06 | ნორვეგია — კანადა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | ავსტრალია — შვედეთი | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| | ჩინეთი — განა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | იაპონია — რუსეთი | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| 24.06 | ბრაზილია — იტალია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | აშშ — ნიგერია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | გერმანია — მექსიკა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | კორეა — დანია | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| | **კალათბურთი. NBA** | | | |
| 23.06 | ნიუ იორკი — სან ანტონიო | 1,5 | 12,0 | 2,0 |

### პროკოს ბიუროთა მისამართები:

**თბილისში** — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.

**ბათუმში** — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)

**რუსთავში** — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.

**გორში** — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მკვლელი ანგელოზის სახით



ელენა დოკიჩი

REUTERS ლონდონი



მარტინა ჰინგისი



ვინუს უილიამსი



ტიმ ჰენმანი



**როდესაც** 16 წლის ელენა დოკიჩმა გაიგო, რომ კოშმარული კენჭისყრის შედეგად პირველ წრეში მარტინა ჰინგისს უნდა შებმოდა, მხრების აჩეჩვით შეეცადა, იმედგაცრუება დაეფარა: „რა თქმა უნდა, ასეთი რთული მეტოქე არავის სურს, მაგრამ ამას ალარაფერი ეშველება."

ბელგრადში დაბადებული და 6 წლის წინ ავსტრალიაში გადაბარგებული ელენა დიდი ხანია, მომავლის ვარსკვლავად ითვლება — შარშან იგი მსოფლიოს საუკეთესო იუნიორი გახლდათ, წლის დასაწყისში ჰოპმანის თასზე არანჩა სანჩეს-ვიკარიო და სანდრინ ტესტიუ დაამარცხა, მაგრამ ბოლო ხანებში წარმატებებზე მეტად ექს-იუგოსლაველს უსიამოვნებები სდევდა თან ზედმეტი ყლურწვის მოყვარული მამის, დამირის დამსახურებით.

უგონოდ მთვრალი უფროსი დოკიჩი ორიოდ კვირის წინ ლანძღვა-გინების გამო ტრიბუნებიდან გააგდეს, მერე კი ქუჩაში დებოშის მოწყობისა და მანქანების სახურავებზე ხტომის გამო პოლიციაშიც მიაბრძანეს. WTA დამირს რამდენიმეწლიანი დისკვალიფიკაციით დაემუქრა, თუმცა ელენა მამას გამოესარჩლა, უიმბლდონის ძირითად ბადეში კი სამი საკვალიფიკაციო მატჩის მოგების შედეგად მოხვდა.

მატჩის დასაწყისი ჰინგისისთვის კატასტროფულს არაფერს მიასწავებდა: შვეიცარიელმა დიდი გაჭირვებით, მაგრამ თავისი პირველი მოწოდება მაინც შეინარჩუნა, მერე 2:1 დაწინაურდა და მეტოქისაზე ბრეიკ-პოინტს მიატანა.

...და აქედან მოყოლებული კორტზე მხოლოდ ერთი ჩოგბურთელი დარჩა — ელენა დოკიჩი. შარშანდელი იუნიორი მსოფლიოს პირველ ჩოგანს ბავშვივით არბენინებდა კორტის ერთი კიდიდან მეორეში, გათამაშებებს კი არაბუნებრივი სიიოლით ასრულებდა ხაზებზე დაჯენილი ფორჰენდ-ბექჰენდებით.

დოკიჩმა ჯერ ერთი გეიმი მოიგო, მერე მეორე, მესამე, მეხუთე, სეტი, მეშვიდე...

რაც კორტზე ხდებოდა, ძნელი დასაჯერებელი იყო. ყველა ელოდა, რომ პატარა ავსტრალიელი ბოლოს და ბოლოს შედრკებოდა, დაშინდებოდა მოახლოებული გამარჯვებით და საკუთარი ხელით გადაულოცავდა სახელოვან მეტოქეს მოგებას, მაგრამ არა — ელენას დარტყმები ნატოს ბომბებისგან განსხვავებით, მიზანს არასოდეს ცილდებოდა.

ჰინგისი ნოკაუტიდან გონს ბოლომდე ვერ მოეგო, სახეზე ნერვიული ღიმილით იგი ჯიუტად ერიდებოდა რისკს და მეტოქის შეცდომებს ელოდა, შეცდომებს, რომელიც არა და არ ჩანდა.

განადგურება 54 წუთში დასრულდა. პირველმა ჩოგანმა სამარცხვინო ანგარიშით — 2:6, 0:6 წააგო და თავჩაქინდრულმა დატოვა კორტი. ტრიბუნები ვარსკვლავის დაბადებას ფეხზე წამოდგომით მიესალმნენ.

დამირ დოკიჩი, რომელსაც მატჩის დროს ხმაურიანი ტაშის დაკვრისაც კი ეშინოდა, განცვიფრებული სახით ადგილზე დარჩა. ელენას კი, რომელიც შეუჩერებლად იმეორებდა, საოცარია, საოცარიაო, უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონი პატ კეში გადაეხვია.

პრესკონფერენციაზე ჰინგისს მკვდრის ფერი ედო: „დღეს თამაშს ვერაფრით მოვაბი თავი, მან არ დამანება, აშკარად ჩემზე უკეთესი იყო. ახლა დასვენება მჭირდება, ყველაფრისგან დასვენება."

ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ 1995 წლის უიმბლდონის შემდეგ პირველად „მეიჯორის" პირველ წრეში მარტინამ სწორედ მაშინ წააგო, როდესაც მატჩს დედა და მწვრთნელი მელანი მოლიტორი არ ესწრებოდა: „ჩვენ გადავწყვიტეთ, ცოტა ერთმანეთისგან დაგვესვენა და პირადი ცხოვრებისთვის მიგვეხედა. მე მსურდა, უფრო დამოუკიდებელი ვყოფილიყავი და თავად მიმეღო გადაწყვეტილებები... ამ შოკის შემდეგ პირველი სწორედ მასთან მინდოდა დაკავშირება, მაგრამ მისი მობილური არ პასუხობდა."

არის ასეთი ქართული ანდაზა — დედის წინ მორბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს... თუმცა დანარჩენი თავადაც კარგად იცით.

## სერენა თეთრი ბაირაღებით?

უიმბლდონი უჩვეულოდ მზიანი ამინდით და, როგორც ყოველთვის, დაგეშილი და მსოფლიოში ყველაზე უცერემონიო ბრიტანელი ჟურნალისტების შეტევით დაიწყო.

მეექვსედ განთესილ ვინუს უილიამსს, მაგალითად, პრესკონფერენციაზე გაცილებით მეტად გაუჭირდა, ვიდრე პირველი წრის მატჩში ჰოლანდიელ მირიამ ორემანსთან: უსიამოვნო კითხვები ძირითადად უიმბლდონზე მისი დის, სერენას, არყოფნას ეხებოდა.

უმცროსმა უილიამსმა რამდენიმე დღის წინ გრიპი მოიმიზეზა და უიმბლდონზე ჩამოსვლაზე უარი განაცხადა. თუმცა სკეპტიკოსების აზრით, ეს უფრო იმან განაპირობა, რომ სერენას მერვედფინალში ვინუსთან შეხვედრის თავიდან აცილება სურდა.

„თამაშზე უარს ხუთშაბათს არ ამბობენ, მით უმეტეს თუ პირველი მატჩი სამშაბათამდე ან ოთხშაბათამდე მაინც არ გელის — აღნიშნა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა მარტინა ნავრატილოვამ, რომელიც HBO-ს კომენტატორია — სერენას ან რაიმე ტრავმა ჰქონდა, ან დასთან თამაში არ უნდოდა... კარგი იქნებოდა, მათ სიმართლე ეთქვათ, რადგან გრიპი სიმართლე არ არის."

ვინუსს რამდენჯერმე მოუხდა განმეორება, რომ მისი და მართლაც ავად იყო, მაგრამ ეს მაინცდამაინც დამაჯერებლად არ გამოუვიდა: „მას უნდოდა თამაში, მაგრამ კარგად ვერ გრძნობდა თავს. ვფიქრობ, ეს გრიპია... სერენას ყოველთვის სურს პაექრობა, იგი ძალიან იმედგაცრუებულია."

მატჩისშემდგომი დაბნეულობისა ვინუსს კორტზე არაფერი ეტყობოდა. რევოლუციურ თეთრ კაბაში გამოწყობილ ამერიკელს მხრებს თითქმის არაფერი უფარავდა, თითქოს განზრახ, რომ თავისი კაცურად დაკუნთული სხეულით ფიზიკურად სუსტ მეტოქეზე დამთრგუნველი ზეგავლენა მოეხდინა.

ასევე დაშინებას ემსახურებოდა მოთელვაც: თუ საჩოგბურთო ეტიკეტი მატჩის წინ უფრო ზრდილობიან გადაგდება-გადმოგდებას ითვალისწინებს, შავი ვენერა ხშირად ბურთს პირდაპირ მეტოქეს უმიზნებდა, სმეშებს კი ისე ძლიერად ურტყამდა, რომ ჰოლანდიელი ვერ მისწვდომოდა.

ორემანსისთვის არც თავად მატჩი იყო დიდად სასიამოვნო: ვინუსი გაბოროტებით აწოდებდა 190 კმ/სთ სიჩქარით, ჩვეული ოხვრა-გმინვის თანხლებით, უკანა ხაზიდანაც ტყვიასვით ისვროდა ბურთებს და პირველი სეტის მოგების შემდეგ მეორეშიც 4:0 დაწინაურდა.

აქ უფროსი უილიამსი დროებით მოეშვა და გამოცდილმა ჰოლანდიელმა ანგარიში გაათანაბრა — 5:5, თუმცა ეს იყო და ეს — 6:1, 7:5.

და კიდევ ერთი კითხვა სერენას შესახებ... „არა, მასთან თამაში არ მიყვარს, მაგრამ აქ რომ იყოს, კარგი იქნებოდა. ჩვენ ყოველთვის ერთად ვართ და ზოგჯერ დიდი სისულელეებითაც ვერთობით. იქნებ ამ ორი კვირის მანძილზე მარტო ყოფნა ჩემი დამოუკიდებლობისკენ გადადგმული ნაბიჯი იყოს."

## ლეკვი ლომისა სწორია

უიმბლდონი ძლიერი სქესის წარმომადგენელ მასპინძელს უკანასკნელად 1936 წელს მოუგია. ლეგენდარული ფრედ პერის შემდეგ კი, აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, ბრიტანელები უიმედოდ ელიან ალგეთს ლეკვების დაზრდას.

ალბათ, სწორედ ამიტომ, ტიმ ჰენმანსა და შედარებით ნაკლებად გრეგ რუზეცკიზე (ამისი კანადელობა არ ავიწყდებათ) ზეწოლაც არაჩვეულებრივად დიდია — მათგან დაჟინებით მოითხოვენ მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობას.

თუ რუზეცკიმ პირველ წრეში თავისი გულშემატკივრები გაახარა და სახიფათო მეტოქე ჯეისონ სტოლტენბერგი (1996-ის ნახევარფინალისტი) უპრობლემოდ გაანადგურა 6:1, 6:4, 6:2, არნო დი პასკალთან მოთამაშე ინგლისის პირველ ჩოგანს გვარიანად გაუჭირდა.

პირველი ორი ხელი ჰენმანმა საათზე ნაკლებში მოიგო, მაგრამ მერე ინგლისელი ქომაგებისთვის კარგად ნაცნობი ყურადღების გაფანტვის ჟამი დაუდგა და ზედიზედ 5 გეიმი, მასთან კი მესამე ხელიც დათმო.

ბრიტი იმდენად დაძაბული იყო, რომ ღიმილი ერთი მეტად ახირებული მტრედის თავხედობამაც კი ვერ დასტყუა (სურათი ბოლო გვერდზე იხილეთ). ჩიტი არც ჰენმანის ჩოგნის ქნევას შეუშინდა და არც ბურთის მიმტანი ბიჭების ჟივილ-ხივილს: აფრინდებოდა, სტადიონს წრეს დაარტყამდა და ისევ აუღელვებლად უბრუნდებოდა თავის ადგილს.

ერთხელ ინგლისელმა მსაჯს ქულის გადათამაშებაც კი მოსთხოვა, ხელი მტრედმა შემიშალაო, მაგრამ, არაფერი რომ არ გამოუვიდა, ისეთი გაავებით შეხედა ფრინველს, ამ უკანასკნელმა უკანმოუხედავად მოუსვა პირველი კორტიდან.

საბოლოოდ ინგლისელმა შეხვედრა მაინც მოიგო 6:3, 6:0, 3:6, 7:6 (7:1), თუმცა ხათაბალას მატჩის შემდეგ ვერ გაექცა — ქალებისა და კაცების არათანაბარი საპრიზო ფონდის შესახებ მეტად არაკორექტული განცხადება გამოუვიდა.

„მე თანაბარი საპრიზოების წინააღმდეგი ვარ. ვფიქრობ, ქალებმა ჯერ იმაზე უნდა იზრუნონ, რომ ჩვეულებრივი ტურნირების დონე და თანხების რაოდენობა გაზარდონ. მხოლოდ მერე შეუძლიათ მოითხოვონ „მეიჯორებზე" მეტი ფული. ისინი, ალბათ, ზედმეტად ხარბები არიან."

ამ ყბადაღებული „ხარბების" გამოსწორება ტიმმა მერე კი მოინდომა, მათი ტურნებიც საინტერესოაო, მაგრამ ჟურნალისტებმა მაშინვე ყველას მოსდეს ამ ეპითეტის შესახებ.

WTA ტური უკვე დიდი ხანია, დაჟინებით ითხოვს თანაბარ ანაზღაურებას, მაგრამ ამას აშშ-ის ღია პირველობის გარდა ვერსად მიაღწია — როლან გაროსზე ქალებს კაცების თანხების 90 პროცენტი ერგებათ, ავსტრალიაში — 93, უიმბლდონზე კი მხოლოდ 83.

ჰენმანს კი უახლოეს მომავალში დაუფიქრებელი განცხადებისთვის ქალი კოლეგებიდან თვალების ამოჩიჩქნა და თმების დაწიწკვნა თუ არა, შესაბამისი პასუხები მაინც ელის.

**პირველი წრე. კაცები:** **ევგენი კაფელნიკოვი** (3, რუსეთი) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 6:7 (4:7), 7:5, 7:6 (8:6), 4:6, 7:5; **კარლოს მოია** (12, ესპანეთი) — იან კროსლაკი (სლოვაკეთი) 6:4, 7:5, 6:2; **კაროლ კუჩერა** (13, სლოვაკეთი) — ალეხანდრო ფერნანდესი (არგენტინა) 6:2, 6:1, 6:2; **ფელიქს მანტია** (16, ესპანეთი) — ვინსენტ სპედეა (აშშ) 7:6 (7:2), 7:6 (7:4), 4:6, 7:6 (9:7); **ანდრეი მედვედევი** (უკრაინა) — ბერნდ კარბახერი (გერმანია) 7:6 (7:1), 7:6 (7:3), 6:4; **მარკ ვუდფორდი** (ავსტრალია) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:4, 6:2, 6:2; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) — რიჩი რენებერგი (აშშ) 5:7, 7:6 (7:3), 6:3, 4:6, 6:1.

**ქალები:** **შტეფი გრაფი** (2, გერმანია) — ლუდმილა ჩერვანოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:4; **მონიკა სელეში** (4, აშშ) — კრისტინა ტორენს-ვალერო (ესპანეთი) 6:3, 6:1; **ამანდა კუტცერი** (12, სამხრეთ აფრიკა) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:2, 7:5; **დომინიკ ვან რუსტი** (15, ბელგია) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) 3:6, 6:4, 6:4; **მირიანა ლუჩიჩი** (ხორვატია) — ერიკა დე ლონი (ჰოლანდია) 3:6, 7:6 (7:4) 7:5; **ჯენიფერ კაპრიატი** (აშშ) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 5:7, 6:3, 9:7.

**ავთანდილ სვანიძე**

### უიმბლდონზე ჰინგისამდე სულ სამ პირველად განთესილს წაუგია პირველ წრეში

1967 მანუელ სანტანა (ესპანეთი) დამარცხდა ჩარლი პასარელთან (აშშ) 10:8, 6:3, 2:6, 8:6.

1962 მარგარეტ სმიტი (ავსტრალია) დამარცხდა ბილი ჯინ მოფიტთან (აშშ) 1:6, 6:3, 7:5.

1994 შტეფი გრაფი (გერმანია) დამარცხდა ლორი მაკნილთან (აშშ) 7:5, 7:6 (7:5).

1999 მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) დამარცხდა ელენა დოკიჩთან (ავსტრალია) 6:2, 6:0.

# ჯერ უფროსობამ ილაპარაკა, მერე მაჩიტიძემ ითამაშა

## ობიექტურობა: მსაჯები პლუს ელექტრონიკა



მეცხრე ტურის გმირი უეჭველად და ულაპარაკოდ დათვი კახა მაჩიტიძე (მარცხნივ, მუქ მაისურში) იყო

ქართულ სარაგბო სამყაროში ეროვნული პირველობის მერვე ტურის — „დათვები“ — „ლოკომოტივი 1“-ის შეხვედრის გამო ატეხილ აურზაურზე უკვე ვწერდით. შეგახსენებთ, რომ მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე ბათუმელთა მწვრთნელმა რამაზ სვანაძემ ლევან მგელაძის მსაჯობა ტენდენციურად და არაკვალიფიციურად შეაფასა. მდგომარეობა იმანაც დაძაბა, რომ ქუთაისის „აიას“ გუნდის უფროსის სოსო დიაკონიძის თქმით, იმავე ტურის უნივერსიტეტ—აიას მატჩში იმავე ლევან მგელაძემ იმიტომ იმსაჯა ცუდად (სტუდენტებმა ლიმიტირებულზე მეტი მობურთალი შეცვალეს), რომ მგელაძე და უნივერსიტეტის მწვრთნელი დავით კილასონია ალიანსში არიან.

კვირას რაგბის კავშირში გაიმართა გაფართოებული სხდომა, რომელმაც ბათუმური ინციდენტის თაობაზე იმსჯელა. მერე კი სპორტულ-ტექნიკური კომიტეტის წევრები შეიკრიბნენ უნივერსიტეტ — აიას მატჩის განსახილველად.

ბათუმელთა მიერ წარმოდგენილი ვიდეომასალის ნახვის შემდეგ სხდომის მონაწილე სარაგბო თემის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ შეხვედრის არბიტრის, ლევან მგელაძის ნამოქმედარში ტენდენციურობა და არაკვალიფიციურობა არ შეუმჩნევიათ. კავშირის პრესცენტრის უფროსმა გია კუბლაშვილმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ბათუმელებს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს ლევან მგელაძის მოქმედებამ შედეგზე იმოქმედა, „დათვებს“ არ მოაგებინა. „პირიქით, ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ გაჩნდა აზრი, რომ „დათვებმა“ იმ ფრით გამარჯვებას მიაღწიეს, რადგანაც მატჩის ბოლო წუთზე მგელაძემ რკინიგზელთა სასარგებლოდ საჯარიმო არ დანიშნა, რომელიც მატჩის ბედს, ალბათ, „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ გადაწყვეტდა. ეს არა მარტო ჩემი აზრია, არამედ სხდომის მონაწილე საზოგადოების და ამას, მგონი, ბათუმელებიც დაეთანხმნენ.“ როგორც შემდეგ გაირკვა, არც მთლად ასე ყოფილა საქმე. ყველაფრის მიუხედავად, „დათვების“ მწვრთნელს თავისი აზრი არ შეუცვლია: „მიუხედავად იმისა, რომ სხდომის დამსწრე საზოგადოებამ მსაჯობა დამაკმაყოფილებლად ცნო, მე მაინც ჩემს აზრზე ვდგავარ და ვთვლი, რომ ლევან მგელაძემ იმ დღეს არაკვალიფიციურად იმსაჯა.“ შეხვედრის განხილვას ბორჯღალოსნების ფრანგი დამრიგებელი კლოდ სორელი ესწრებოდა. მანაც, ისევე როგორც სხდომის მონაწილეთა უმრავლესობამ, მსაჯის ქმედებაში ტენდენციურობა და არაკვალიფიციურობა ვერ შენიშნა. სორელის თქმით, დღევანდელ რაგბიში მნიშვნელოვნად გაიზარდა გვერდითი მსაჯების როლი, საქართველოში კი პირიქითაა, ისინი თითქმის უმოქმედოდ არიან. ამიტომ რა გასაკვირია, მთავარ მსაჯს რაიმე გამორჩეს. ამის თავიდან ასაცილებლად ევროპაში გამოიყენება გადამცემები, რომლითაც მსაჯები არიან აღჭურვილნი. ამ მოწყობილობის საშუალებით მთავარ მსაჯს გაცილებით უადვილდება შეხვედრის განსჯა, რადგან თუ რამ გამოეპარა, გვერდითი იმწამსვე აცნობებს ამის შესახებ. ასეთი რამ ჩვენში ჯერჯერობით არ არის, მაგრამ აჭარის რაგბის კავშირის ძალისხმევით ამ ტექნიკური სიახლით სულ მალე ქართველი მსაჯებიც აღიჭურვებიან.

სხდომაზე ისიც ითქვა, რომ პირველი წრე დასრულდა და ბათუმელებს ჯერაც ვერ მიუღიათ ჩემპიონატის დებულება. „დათვების“ ტექნიკური დირექტორის — მერაბ დანელიას თხოვნას ამ საქმის მოგვარების შესახებ შედეგი არ მოჰყოლია და ბათუმელები შინისკენ კვლავ უდებულებოდ გაბრუნდნენ. ეტყობა, კავშირში პირველობის დებულებასთან ერთად მეორე დებულებაც უნდა მიეღოთ: როგორ და რანაირად მიიღოს იგი ადრესატმა. „ჩვენ კონკრეტულად დავაყენეთ საკითხი, ვის ევალება რაგბის კავშირში, უზრუნველყოს გუნდები ჩემპიონატისა და სპორტულ-ტექნიკური კომიტეტის დებულებებით, გააცნოს მას ამ კომიტეტის გადაწყვეტილებები. სამწუხაროდ, ამაზე კონკრეტული პასუხი ვერ მივიღეთ. თებერვლის მერე ვითხოვთ ჩემპიონატის დებულებას, მაგრამ არ დაგვადგა საშველი“ — ეს სიტყვები მერაბ დანელიას ეკუთვნის, რომელიც მან „სარბიელს“ სხდომის დამთავრების შემდეგ განუცხადა.

ამის შემდეგ სპორტულ-ტექნიკური კომიტეტის წევრებიც შეიკრიბნენ უნივერსიტეტ—„აიას“ მატჩის განსახილველად. სამწუხაროდ, მათ არ მიეცათ ამ შეხვედრის ვიდეოჩანაწერის ნახვის შესაძლებლობა. თუმც მატჩის ოქმში დაფიქსირებული ფაქტები საკმარისი იყო საიმისოდ, რომ სტუდენტებს იმ შეხვედრაში წაგებაც ჩათვლოდათ და ერთი ქულაც ჩამოკლებოდათ.

რაც შეეხება სოსო დიაკონიძის განცხადებას მგელაძესა და კილასონიას შორის არსებულ ალიანსზე, რაგბის კავშირის პრესცენტრის უფროსის გია კუბლაშვილის თქმით, ასეთი სახის განცხადებები მათთვის მიუღებელია. „ყველამ იცის, რომ ლევან მგელაძე ასკ-ის მწვრთნელია, მწვრთნელი კი არ უნდა მსაჯობდეს, მაგრამ იმის გამო, რომ დღესდღეობით მსაჯების ნაკლებობას განვიცდით, იგი დავიხმარეთ ამ საქმეში. ამის შესახებ ჩემპიონატის დასაწყისში შევთანხმდით და მის მიუკერძოებლობაში არავინ უნდა დაეჭვდეს. ბატონი სოსო რომ აცხადებს, თითქოს „აია“ იჩაგრება, ისიც გაიხსენოს, რაგბის კავშირმა რომელ გუნდს მისცა ორჯერ სათამაშო ფორმა და კავშირმა კიდევ რამდენი რამ გააკეთა ქუთაისური კლუბის ხელმძღვანელობისათვის.“

სტუდენტთა მსგავსად ერთი ქულა ჩამოაკლდა „რუსთავსაც“ მეცხრე ტურში არმიელებთან გამოუცხადებლობის გამო.

ყველაფერი ეს კვირას დილით მოხდა, საღამოს კი რაგბის მოყვარულები საინტერესო და დაძაბული ბრძოლის მოწმენი შეიქნენ, რომელშიც ერთმანეთს „ყოჩები“ და „დათვები“ დაუპირისპირდნენ. ბათუმელები ამ მატჩისთვის საკმაოდ რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ, რადგან მათ ფირცხალავა, ძოწენიძე და აბდალაძე აკლდათ. ნუგზარ ძაგნიძე კი ტრავმირებული ბურთაობდა. ამიტომაც „ყოჩების“ წარმატებაში ბევრს ეპარებოდა ეჭვი. სტადიონზე მოსულ გულშემატკივარსაც ტაიმნახევრის განმავლობაში ასე სწამდა, მაგრამ ყველაფერი დარჩენილ დროში მოხდა. ოც წუთში კახა მაჩიტიძემ იმდენი ქნა, რამდენიც „ყოჩებმა“ ტაიმნახევარში ვერ მოახერხეს და ახალ თანაგუნდელებს მოაგებინა. ამით მან „დათვებს“ ჩემპიონატში პირველობა და ჯერაც წაუგებელის სახელი შეუნარჩუნა.

წესით ეს მატჩი ტურში რიგით მესამე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასკ — „რუსთავის“ შეხვედრაზე რუსთაველები არ ჩამოვიდნენ და ეს თამაშიც მეორე გახლდათ. პირველი ქუთაისში გაიმართა, სადაც „აია“ „ზორდას“ დაუხვდა და პირველი ტაიმის მოგების მიუხედავად, საბოლოოდ მაინც დამარცხდა. ორი მატჩია, ქუთათურები პირველ ტაიმს იგებენ, ბოლოს კი მარცხდებიან. როგორც ჩანს, ოსტატობასთან ერთად ფიზიკურად მოღონიერებაც მართებთ და შედეგებიც მოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში...

**პაატა თოთაძე**
**ბაჩო სვანიძე**

# ჩრდილოეთი სამხრეთის ჩრდილში

## საცოდავი იტალია

REUTERS ჰამილტონიდან



ახალი ზელანდია — საფრანგეთი. ფრანგი ემილ ნტამაკის (ბურთით) მონდომების მიუხედავად ევროპელებმა ახალზელანდიელებს ვერაფერი დააკლეს

პერტი

**ავსტრალია — ირლანდია**
**32:26 (9:11)**

**ავსტრალია: 2ლ — ჰორანი, ლათამი; 2გ — როფი; 6ს — სპუნერი (3), როფი (3)**
**ირლანდია: 3ლ — კლოჰესი, ბიშოპი, მეგსი; 1გ და 3ს — ჰამფრიზი**

შეხვედრა, ამ გუნდების პირველ მატჩთან შედარებით, რომელშიც ოზებმა 46:10 იმარჯვეს, გაცილებით საინტერესო და დაძაბული გამოდგა. პეტერ კლოჰესის ლელოს წყალობით სტუმრები მატჩის დასაწყისშივე დაწინაურდნენ, მაგრამ ავსტრალიელები მალევე მოედნენ გონს და ნათან სპუნერის სამი საჯარიმოთი წინაც გავიდნენ. დარჩენილ დროში მასპინძლები უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ ქულები სტუმრებმა მოიპოვეს. საქმე ისაა, რომ, უპირატესობის მიუხედავად, ავსტრალიელებმა ვერ მოახერხეს ირლანდიელთა დაცვის ხაზის გარღვევა, სტუმრებმა კი ორჯერ მოიპოვეს საჯარიმოს დარტყმის უფლება და ორჯერვე ჰამფრიზმა ივარგა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ჰამფრიზმა საჯარიმოთი კიდევ უფრო დააწინაურა თავისიანები, ავსტრალიელებს კი დამრტყმელი სპუნერი დაუშავდათ, თუმც საჯარიმოები ჯო როფმა შეასრულა და ჩინებულადაც. დარჩენილ დროში, [illegible]ლმა ტიმ ჰორანმა იყოჩაღა. ერთი ლელო თავად გაიტანა, ერთიც — მისი აქტიურობის შედეგად ლათამმა. როფმა კი თანაგუნდელებს გარჯა დაუფასა და ორჯერვე ზუსტად გარდასახა. იმ სამ საჯარიმოშიც, რომელიც როფმა გაიტანა, ჰორანს დიდი წვლილი მიუძღვის.

მატჩის შემდეგ „ვოლაბთა“ თავკაცი როდ მაკქვინი შედეგით კმაყოფილი იყო, მაგრამ არა შეგირდთა თამაშის ხარისხით. „ირლანდიელები ძალიან მობიზებულნი და გამარჯვების სურვილით აღსავსენი გამოვიდნენ მოედანზე, რამაც საქმე გაგვირთულა. მართალია, მოვიგეთ, მაგრამ მსოფლიოს თასისთვის ბევრი რამ გვაქვს გამოსასწორებელი“.

დურბანი

**სამხრეთ აფრიკა — იტალია**
**101:0 (40:0)**

**ს. აფრიკა: 15ლ — დროცკე, ვან ჰოსლინი (2), ტერბლანში (5), მონტგომერი, ვოსი, ფლეკი, კაიზერი (3), მარაისი; 13გ — დე ტოიტი (8), ვან სტრაატენი (5).**

რა შეიძლება ითქვას ამ თამაშზე. ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, რა ხდებოდა მოედანზე. სამხრეთაფრიკელი მორაგბეები ევროპელებს რომ დაამარცხებდნენ, ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ასეთ ანგარიშს, ალბათ, თვითონაც არ ელოდნენ. იტალიელებს კი ასეთი თამაშით მომავალ „ექვს ერში“ კარგი დღე ნამდვილად არ დაადგებათ.

ევროპელთა რბევას სათავე ჰუკერმა დროცკემ დაუდო. მას არც თანაგუნდელები ჩამორჩნენ და ვისაც არ დაეზარა, ყველამ გაუტანა ლელო აპენინელებს.

კაიზერი მეექვსე ზანგი შეიქნა სამხრეთ აფრიკაში, რომელმაც სანაკრებო დებიუტი სამი ლელოთი აღნიშნა, ტერბლანშმა კი ხუთი გატანილი ლელოთი სანაკრებო რეკორდი დაამყარა. ასეთი რამ მანამდე ვერავის მოეხერხებინა.

ჰამილტონი

**ახ. ზელანდია — საფრანგეთი**
**45:24 (20:19)**

**ახ. ზელანდია: 5ლ — რეიჰანა (2), ფლაველი (2), ლომუ; 4გ და 4ს — სპენსერი**
**საფრანგეთი: 4ლ — პელუ, ბერნა-სალი, დალ მაზო, დომინიკი; 2გ — ლამეზონი**

სამოელების დამარცხების შემდეგ ფრანგები ზედიზედ მეორე თამაშია, თავად მარცხდებიან. წინა კვირას ტონგისგან ძლეულებმა, შაბათს ახალი ზელანდიის მეორე ნაკრებთან წააგეს.

საწყის ათ წუთში კივები 14:0 დაწინაურდნენ. ანგარიში კი სულაც 30-ე წამზე გახსნეს — რეიჰანამ გაიტანა ლელო. შემდეგ ევროპელებმა ხელი გამოილეს და ტაიმი ერთი ქულით დათმეს. ფრანგები პირველ ტაიმში აშკარად უკეთ გამოიყურებოდნენ, რაც აღნიშნა კიდეც მატჩის შემდეგ ევროპელთა კაპიტანმა რაფაელ იბანესმა: „პირველ ტაიმში მეტოქეს თითქმის არაფერში დავუდეთ ტოლი. მეორეშიც რომ ასევე გვეთამაშა, იქნებ მოგვეგო კიდეც. სამწუხაროდ, ეს ვერ შევძელით“.

შეხვედრის მეორე ნახევარში ფრანგებმა მხოლოდ ხუთი ქულის მოპოვება შეძლეს, მაშინ, როცა ზელანდიელებმა სამი ლელოთი, ორი გარდასახვით და ორი საჯარიმოთი 25 ქულა მიითვალეს.

როგორც ხედავთ, ჩრდილოეთ ნახევარსფეროს სარაგბო ქვეყნებმა სამხრეთელ მეტოქეებთან ამჯერადაც ვერაფერი გააწყვეს და ისევ მათ ჩრდილქვეშ არიან.

**ბაჩო სვანიძე**

REUTERS დურბანიდან



სამხრეთ აფრიკა — იტალია. აფრიკელმა რობი ფლეკმა (ბურთით) და მისმა თანაგუნდელებმა იტალიელები იავარყვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენებს იქით მაიკლ ჯექსონიც მხარში უდგას, აქეთ კი ლამის უთანამდგომოდ არიან

**ყველამ ვიცით, რა არის ოლიმპიური თამაშები, მაგრამ არსებობს პარა-ოლიმპიური და სპეციალური ოლიმპიური თამაშებიც. 26 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით აშშ-ში, ჩრდილო კაროლინას ქალაქებში როლსა და დარემში იმართება X სპეციალური ოლიმპიური თამაშები, სადაც 150 ქვეყნის 7000 სპორტსმენი იასპარეზებს. საინტერესოა, რომ თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის საპატიო თავმჯდომარეები არიან კალათბურთისა და გოლფის ლეგენდები მაიკლ ჯორდანი და არნოლდ პალმერი. თავმჯდომარის მოადგილე კი სპრაიტის მოყვარული გრანტ ჰილი გახლავთ. მოხალისეთა არმიაში მსახიობ შერონ ლოურენსთან ერთად სხვა ცნობილი პიროვნებებიც მრავლად შედიან.**

საქართველოს წარმომადგენელთა დებიუტი სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებზე 1995 წელს შედგა კონექტიკუტში, სადაც ჩვენს დელეგაციას განსაკუთრებული შეხვედრაც კი მოუწყვეს. საქართველოს მოზარდებისთვის ორმოცწუთიანი კონცერტი თვით მაიკლ ჯექსონმაც გამართა.

რა და როგორ იქნება ამჯერად, ამის შესახებ ვესაუბრეთ საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ თეიმურაზ მიქიაშვილს:

**— რაკი საქართველოში სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებზე ნაკლებად არიან ინფორმირებულნი, ამიტომ ურიგო არ იქნება, თავდაპირველად ვისაუბროთ ამ თამაშების ისტორიაზე და მის მნიშვნელობაზე.**

— სპეციალური ოლიმპიური მოძრაობა დაიწყო 1963 წელს აშშ-ში. კერძოდ, ეს წამოწყება ეკუთვნის იუნის კენედი შრაივერს. ამ ქალბატონმა 1963 წელს კოლორადოში თავის რანჩოში შეკრიბა შტატში მცხოვრები ინვალიდი მოზარდები და ტესტირება ჩაუტარა. ამის შედეგად დააფიქსირეს, ვის როგორი ფიზიკური მდგომარეობა ჰქონდა. მერე მოიწვიეს ფიზკულტურისა და სამედიცინო დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და მათი მეთვალყურეობით დაიწყეს მოზარდთა ფიზიკური წვრთნა იმ დოზირებით, ვისაც რამდენი შეეძლო. ვისაც სიარული უჭირდა, მათთვის ყურადღება ძირითადად საკოორდინაციო და მოძრაობით ჩვევებზე გადაიტანეს. ერთი წლის შემდეგ, მეორე ტესტირებისას აღმოჩნდა, რომ მათი ფიზიკური მონაცემები ბევრად გაუმჯობესებულიყო. ამ შედეგების მიხედვით დარწმუნდნენ, რომ ფიზკულტურულ-სპორტულ რეაბილიტაციას უკეთესი შედეგი მოაქვს, ვიდრე მედიკამენტურ მკურნალობას. პრესითა და ტელევიზიით გაშუქებული წარმატებების მერე შრაივერის წამოწყება უმალ აიტაცეს სხვადასხვა შტატში და მისი მიმბაძველებიც იმავე პრინციპით შეუდგნენ საქმეს.

ერთი წლის შემდეგ დღის წესრიგში დადგა საკითხი შეემოწმებინათ, თუ რომელ შტატში უკეთ იდგა ფიზკულტურულ-სპორტული რეაბილიტაციის საქმე, რამაც ხალხს შეჯიბრებისკენ უბიძგა და ერთმანეთში ასპარეზობაც დაიწყეს, რაც შემდგომში სპორტულ ღონისძიებაში გადაიზარდა.

პირველი თამაშები 1968 წელს ჩატარდა ჩიკაგოში. თავდაპირველად ასპარეზობებში მონაწილეობდნენ მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქენი, მოგვიანებით კი მათ სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

აღსანიშნავია, რომ 1988 წლამდე თამაშებს სპეციალური სპორტული თამაშები ერქვა. მოგვიანებით სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა, იუნის კენედი შრაივერმა და შარუენ შრაივერმა ისტორიულ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომლის თანახმადაც სპეციალურ სპორტულ თამაშებს მისცეს უფლება ეტარებინა სპეციალური ოლიმპიური თამაშების სახელი, სოკ-მა კი მისი მფარველობა იკისრა.

საერთოდ, ეს ასპარეზობა, ისე როგორც ოლიმპიური თამაშები, ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე კენტ წელიწადს ეწყობა სპეციალური ოლიმპიური თამაშების პროგრამაში სპორტის ოცდარვა სახეობაა, ოღონდ ისეთებია შერჩეული, რომლებიც, ფაქტობრივად, ტრავმებს არ იწვევს. ორთაბრძოლები ჯერჯერობით აქ გამორიცხულია, მაგალითად, კრივი, ჭიდაობები, თუმცა წინა თამაშებიდან დაშვებულია ძალოსნობა, რომელიც მწოლიარე მდგომარეობაში იმართება. ამჟამად ბჭობენ პროგრამაში ძიუდოს შეტანაზე.

რაც შეეხება სპეციალური ოლიმპიური თამაშების დანიშნულებას, მისი მიზანია მოზარდი ინვალიდების რეაბილიტაცია ფიზიკური კულტურის და სპორტის სხვა საშუალებებით.


აშშ. ნიუ ჰეივენი 1995 წ. მაიკლ ჯექსონი საქართველოს სპეცოლიმპიელებთან

**— საქართველოში თუ არის შემუშავებული სპეციალური პროგრამა, რომელიც ამ ადამიანთა ჯგუფს რეაბილიტაციაში ეხმარება და საერთოდ, გიდგათ თუ არა ვინმე გვერდით ამ მართლაც კეთილშობილურ საქმეში?**

— ეს არის დიდი პროგრამა, რომელსაც სჭირდება არა მარტო ერთი და ორი ადამიანის ძალისხმევა, არამედ სახელმწიფოებრივი დონის თანადგომა. ჩვენ მარტო კი არ უნდა ვიყოთ ამ საქმეში, არამედ გვერდზე უნდა გვედგას განათლების სამინისტრო, სოცუზრუნველყოფის სამინისტრო, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სპორტის დეპარტამენტი... ამ უკანასკნელისგან ჩვენ მაინცდამაინც დიდ თანადგომას ვერ ვხედავთ. ერთადერთი სეოკ-ის პრეზიდენტი ბატონი ჯანო ბაგრატიონია, რომელიც თავიდანვე და ახლაც გვწყალობს, მაგრამ რა ქნას, როცა სეოკსაც უჭირს ფინანსურად.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ არსებობს ზამთრის სპეციალური ოლიმპიური თამაშებიც. იგი პირველად 1987 წელს ჩატარდა კანადაში, კერძოდ ტორონტოში, სადაც ჩვენც მიგვიწვიეს ექვსკაციანი შემადგენლობით, მაგრამ იგივე ფინანსური გაჭირვების გამო მონაწილეობა ვერ მივიღეთ.

**— ზაფხულის თამაშებზე პირველად როდის გამოხვედით?**

— სპეციალურ ოლიმპიურ ზაფხულის თამაშებზე პირველად 1995 წელს გამოვედით ნიუ ჰევენში, სადაც ოცდაერთკაციანი დელეგაციით ჩავედით. მაშინ ძალიან გავწვალდით. წარმოიდგინეთ, თავიდან ბილეთების ყიდვა კი არა, ეკიპირებაც არ შეგვეძლო. მიუხედავად ამისა, მონაწილეობა მაინც მოვახერხეთ, თანაც ჩვენმა გოგონებმა ფრენბურთში ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ხოლო ბიჭებმა კალათბურთში მეხუთე ადგილი დაიკავეს. ეს უთუოდ კარგი შედეგია, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს მდგომარეობას, იმასაც, რომ თამაშებში 135 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. თანაც იმ შედეგებს სულ რაღაც შვიდი-რვა თვის წვრთნის შედეგად მივაღწიეთ, მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება.

**— ამჟამად სპორტის რომელ სახეობებში აპირებთ მონაწილეობას, სად გაიარეთ სამწვრთნელო პერიოდი, რა შემადგენლობით ეწვევით როლსა და დარემს?**

— ჩვენ მძლეოსნობასა და ჩოგბურთში ვაპირებდით გამოსვლას. თითოეულ სახეობაში ორ-ორი გოგო-ბიჭით. ესენი არიან თბილისის მე-2 დამხმარე სკოლა ინტერნატის აღსაზრდელები, მძლეოსნები და-ძმა თამუნა და ზაქრო მელაძეები, ნინო ხარაიშვილი და ირაკლი ჩიჩუა, რომლებსაც გიორგი ქემოკლიძე ავარჯიშებს. ჩოგბურთელები კი თბილისის დამხმარე სკოლის აღსაზრდელები არიან: და-ძმა ეკატერინე და გიორგი ვეფხვაძეები, ირინე საკვოიანი, რამაზ ბახუზანაშვილი და მწვრთნელი არჩილ კეკელია, სულ რვა სპორტსმენი, ორ-ორი მწვრთნელი და წარმომადგენელი უნდა ვიყოთ.

რაც შეეხება მოსამზადებელ პერიოდს, მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ ლეილა მესხს, რომელმაც უსასყიდლოდ დაგვითმო აკადემიის კორტები და საჭირო ინვენტარიც. მოგეხსენებათ, როგორი ძვირადღირებული სპორტის სახეობაა ჩოგბურთი და ამ დროს კი აკადემიის კორტებზე ჩვენი ოცი, ოცდახუთი ახალგაზრდა ვარჯიშობს უსასყიდლოდ.

**— ამბობთ, ვაპირებდითო...**

— ვაპირებდითო იმიტომ ვამბობ, რომ ფინანსური პრობლემა ჯერაც მოუგვარებელი გვაქვს, ამიტომაც ორშაბათისთვის დაჯავშნული და გასამგზავრებელი ბილეთების ყიდვა ხუთშაბათისთვის გადავდეთ. არადა, ფინანსთა სამინისტროს, პარლამენტის და საქართველოს პრეზიდენტის დადგენილებით, თანხა გამოყოფილია, რასაც ვერ ვღებულობთ. წაუსვლელობის შემთხვევაში სპეციალური ოლიმპიური კომიტეტი, რომლის წევრები 1991 წლიდან ვართ, ჩვენს მიმართ სანქციებს მიიღებს, რაც საქართველოს ამ ორგანიზაციიდან გარიცხვით დამთავრდება.

**— წასვლის შემთხვევაში გამოდის, რომ პირდაპირ ასპარეზობებში ჩაერთვებით... აკლიმატიზაციის გარეშე?**

— საერთოდ თამაშები ორ ეტაპად იმართება. ერთი საოჯახო პროგრამებს ითვალისწინებს, მეორე კი სპორტულ ასპარეზობებს ეთმობა. პირველ ეტაპში გამოსვლა ჩვენთვის უკვე გამორიცხულია, რადგან ის 21-25 ივნისს იმართება, არადა, ჩვენს მასპინძელ ქალაქ ედენტონში შერჩეული იყო ოჯახები, სადაც საქართველოს ბავშვები დაბინავდებოდნენ. შემუშავებული სპეციალური პროგრამით მასპინძლები შეეცდებოდნენ უკეთ გაეცნოთ ჩვენთვის ამერიკის კულტურა, მისი ღირსშესანიშნაობები. ამავე დროს წვრთნის პროცესს და აკლიმატიზაციასაც გაივლიდნენ. ესენი ხომ ინვალიდი ბავშვები არიან. ახლა ისე გამოდის, რომ თვითმფრინავის ტრაპიდან პირდაპირ სარბიელზე მოგვიწევს გასვლა, ესეც იმ შემთხვევაში, თუ თანხას მოგვცემენ.

**გიგა გურასაშვილი**

---

მძლეოსნობა

# გერმანიამ პარიზიდან ყველაფერი წაიღო


REUTERS პარიზიდან

რუსმა ნატალია ციგანოვამ 800 მეტრზე იმარჯვა

გერმანიამ იმარჯვა მძლეოსანთა ევროპის თასის შეჯიბრში, პარიზის სამხრეთით, შარლეტის სტადიონზე რომ მიმდინარეობდა ამ დღეებში. 1991 წლიდან მოყოლებული გერმანელებმა მეოთხედ მოიგეს ეს გუნდური შეჯიბრი.

იმარჯვეს რუსმა ქალებმაც, რომელთაც ოქროს ჰეთ-თრიქი შეასრულეს. რუს ქალთა გამარჯვების ბოლო აკორდი 4X400 მეტრზე ამანათრბენი იყო. მათ წლის საუკეთესო დროც კი აჩვენეს — 3.24,61 წუთი, მაგრამ რუს დიცთა გამარჯვება მაინც მცირედად ჩანს გერმანელ კაცთა დევგმირობის ფონზე.

გერმანელმა კაცებმა ამანათრბენში ვერ ივარგეს, რახანღა მათ მესამე კაცს, ლარის ფიგურას ამანათი დაუვარდა, მაგრამ გუნდური გამარჯვება გერმანიას უკვე განაღდებული ჰქონდა, რაკიღა წინა ორ დღეს მათ ექვსი ოქრო მოეგოთ.

პარიზში ამინდი არ ვარგოდა, მაგრამ რარტინ ბუსმა მაინც აჩვენა წლის საუკეთესო შედეგი სიმაღლეზე ხტომაში (2,34მ), ოლივერ-სვენ ბუდერმა ბირთვის კვრაში იმარჯვა, 39 წლის იურგენ შულტმა კი ბადროს ტყორცნაში მოიგო თავისი მეცხრე ევროპული ჯილდო. 110 მეტრიან თარჯრბენში პირველი ფალკ ბალზერი იყო, რაიმონდ ჰეჩტის ნატყორცნი შუბი ყველაზე შორს დაერჭო, ჭოკით მხტომელთა შორის კი მიხაელ შტოლმა 5,65 მეტრი დაძლია.

კაცთა მეორე გუნდური ადგილი იტალიელებმა დაიკავეს, მესამე ინგლისელებმა. ქალთა შორის კი რუსთა შემდეგ რუმინელები მოდიან.

**ბაჩა ხურციძე**

### გუნდური შედეგები

კაცები

I გერმანია 122 ქულა, II იტალია 98,5, III ბრიტანეთი 97, IV რუსეთი 95, V საფრანგეთი 81,5, VI საბერძნეთი 80, VII პოლონეთი 79, VIII ჩეხეთი 62.

ქალები

I რუსეთი 127, II რუმინეთი 99, III საფრანგეთი 97, IV გერმანია 93,5, V იტალია 71, VI ბრიტანეთი 68,5, VII პოლონეთი 65, VIII ჩეხეთი 62.


REUTERS პარიზიდან

მიხაელ შტოლი

---

ჭადრაკი

# სკანდალი ფიდეში!

## ჟუჟა პოლგარს ტიტულის დაცვის უფლება წაართვეს, უნგრელი მოჭადრაკე სასამართლოში ჩივილს აპირებს

ქალთა ჭადრაკში დიდი სკანდალია. გუშინ ფიდემ განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონ ჟუჟა პოლგარს არ სურს დაიცვას ტიტული და ამის გამო მსოფლიოს ჩემპიონობისთვის რუსი ალისა გალიამოვა და ჩინელი სუ ჟუნი იბრძოლებენ.

ფიდემ მატჩის თარიღიც დაადგინა — 3-დან 27 ივლისამდე ჩინეთის ქალაქ შენ იანში. საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარი.

ამის თაობაზე ამერიკაში მცხოვრებმა ჟუჟა პოლგარმა მსოფლიოს საზოგადოებას ღია წერილით მიმართა. წერილში ჟუჟა ფიდეს საკუთარი წესდების დარღვევაში ადანაშაულებს. ამ წესდების თანახმად, არ შეიძლება, პრეტენდენტების მატჩი რომელიმე მათგანის სამშობლოში გაიმართოს.

პოლგარი ამტკიცებს, რომ რამდენჯერმე მიმართა ფიდეს, ტიტულის დაცვა სექტემბრისთვის გადაედოთ, „შვილის შეძენის გამო ექიმებმა მირჩიეს, ჭადრაკს რამდენიმე ხნის შემდეგ მივბრუნებოდი" — ამბობს ჟუჟა, რომელმაც უკვე გადაწყვიტა, სასამართლოში უჩივლოს ფიდეს, რომელმაც ტიტულის დაცვის უფლება უკანონოდ ჩამოართვა.


ჟუჟა პოლგარი

ჟუჟამ ასევე განაცხადა, რომ ეძებს სპონსორებს, რომლებიც დააფინანსებენ სუპერმატჩს მასსა და მის დას — იუდით პოლგარს შორის. ეს მატჩი კასპაროვ-ანანდის სუპერდუელის ტოლფასი იქნებაო — ფიქრობს ჟუჟა პოლგარი.

**სიმონ მენაბდე**



REUTERS დალასიდან

დალასის მოზეიმე ქომაგები და მათი კერპნი: ჯო ნუინდაიკი, ედ ბელფორი, გი კარბონო და დერიან ჰეჩერი

დასრულდა წლევანდელი სეზონიც. ცხადია, დეტალური ანალიზი ჯერ ნაადრევია, მაგრამ მის ნაკვალევზე უკვე შეიძლება გარკვეული დასკვნების გამოტანა, მით უმეტეს, რომ ერთობ საინტერესო და დაძაბული პლეი ოფის მოწმენი გავხდით.

# ასეთი — აღარასოდეს!

### დასავლეთის დიდი სამეული: სტენლის „ყანწს" სხვა ვინ გამოცლის

ისევე, როგორც წინა სამი პლეი ოფის გათამაშებაში, თასი დასავლელებს დარჩათ. სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ სწორედ სამი დასავლური გუნდის — დეტროიტის, დალასისა და კოლორადოს პაექრობას უნდა გამოევლინა თასის მფლობელი და ასეც მოხდა. ამიტომაც დალასი — კოლორადოს ნახევარფინალი ბევრმა ნაადრევ ფინალადაც მონათლა. ამ დიდი გუნდების პაექრობას ინტრიგას ისიც მატებდა, რომ ეს სამი გიგანტი სრულიად სხვადასხვა სათამაშო კონცეფციისა და სტილის მიმდევარია, ამიტომაც მათ დაპირისპირებაში ჰოკეის შემდგომი განვითარების ბედი წყდება.

საიდუმლო არავისთვისაა, რომ წმინდა სათამაშო თვალსაზრისით დეტროიტი, რომელიც შეტევის და დაცვის ჰარმონიას ქადაგებს და კოლორადო — ლიდერების უმაღლეს ინდივიდუალურ ოსტატობაზე აწყობილი გუნდი, უფრო შინაარსიან და მომხიბლავ ჰოკეის გვთავაზობენ. მაგრამ მთავარი შედეგია და მიუხედავად ზემოთქმულისა, გამარჯვება დალასს ხვდა წილად. რატომ?

### დეტროიტის საიდუმლო

დეტროიტის მოულოდნელი და ერთობ უცნაური მარცხი წლევანდელი პლეი ოფის საიდუმლოა, თუმც ამით სრულიადაც არ ვაუფასურებთ კოლორადოს ღვაწლს. საქმე ისაა, რომ დეტროიტი რეგულარულ ჩემპიონატში არცთუ მრისხანედ გამოიყურებოდა. სპეციალისტთა აზრით, იგი ძალებს ზოგავდა პლეი ოფისთვის. და აი, 23 მარტს, „დედლაინის" დღეს, დეტროიტი სენსაციურ ნაბიჯს დგამს — ერთბაშად ოთხ გამოცდილ ვეტერანს იძენს და გუნდი სულ სხვაგვარად ათამაშდა. „წითელფრთიანები" ბრწყინვალედ ასრულებენ ჩემპიონატს, შემდეგ პოლ კარიასა და ტეემუ სელიანეს ანაჰაიმისგან ქვას ქვაზე არ ტოვებენ და, რაც მთავარია, დიდებულად, შთაგონებულად თამაშობენ. იწყება თასის მეორე რაუნდი და კოლორადოსთან პირველ ორ მატჩში დეტროიტის მეტოქე ნამდვილ არარაობას წარმოადგენს. მერე კი, მოულოდნელად დეტროიტი გვევლინება მორჩილი მოწაფის როლში და ამას ეგუება კიდეც.

ამას დღემდე ვერ მოეძებნა დამაჯერებელი ახსნა. არსებობს მხოლოდ ვარაუდები. მთავარი მიზეზი კოლორადოს გოლკიპერ პატრიკ რუას ჩინებული თამაში გახლდათ. ამ დროს კი მესამე და მეოთხე მატჩებში დეტროიტის კარში კრის ოსგუდის ტრავმის გამო წლევანდელ „დედლანზე" შეძენილი ბილ რენფორდი იდგა. იგი რატომღაც განერვიულდა და შეცდა, მისი განწყობილება მთელ გუნდს გადაედო. მერე კი ბოუმენმა კარში ოსგუდი დააყენა, რომელიც ბოლომდე არ გამოჯანმრთელებული იყო. ცხადია, ასეთ დღეში მყოფი მეკარე გუნდს ვერ დაეხმარებოდა.



REUTERS დალასიდან

დალასის „ვარსკვლავთმრიცხველი" კენ ჰიჩკოკი

### კოლორადო დაიღალა

ამ ფანტასტიკური გამარჯვების მერე ბევრს ეგონა, რომ კოლორადოს ვეღარავინ შეაჩერებდა. ერთხელ, დალასთან სერიაში, საქმეს სწორედ ასეთი პირი უჩანდა. ეს მეხუთე მატჩში მოხდა, როცა კოლორადომ სტუმრად 7:5 მოუგო დალასს და მისი დაცვის ოსტატობა საეჭვო გახადა, მაგრამ მომდევნო მატჩში „ვარსკვლავებმა" კოლორადო ციდან მიწაზე დააბრუნეს. დალასის მწვრთნელმა, კენ ჰიჩკოკმა გამოუძებნა წამალი მეტოქის ყოჩს, პეტერ ფორსბერგს, დანარჩენმა ლიდერებმა კი, პირველ ყოვლისა, ჯო საკიკმა და განსაკუთრებით ტეო ფლერიმ — „მძლავრმა თაგვმა", ვერ გაამართლეს იმედები. დალასელთა ხისტი პრესინგის კლანჭებში სულ თავგზა აებნათ. ალბათ დაღლილობამაც თავისი ქნა, რადგან მეშვიდე მატჩში კოლორადო ფიზიკურ მომზადებაში აშკარად ჩამორჩა მეტოქეს.

### ყვავილი ჭაობში

სანამ დასავლეთში გიგანტები ერკინებოდნენ ერთურთს, აღმოსავლეთის „ჭაობიდან" (იქ პლეი ოფში რვა თანაბარი ძალის გუნდი გავიდა, რომელთაც თითქმის ერთნაირი შანსები ჰქონდათ) ბუფალომ ამოყო თავი. უვარსკვლავო გუნდი (ჰაშეკს თუ არ ჩავთვლით), რომელიც, ბევრის აზრით, მწირ ტაქტიკურ არსენალს ფლობს და მხოლოდ კონტრშეტევებზე თამაშობს, ზედმიწევნით ზუსტად ასრულებს მწვრთნელის — ლინდი რაფის მითითებებს და ერთბაშად სამ მეტოქეს ინელებს. მართალია, ჰაშეკის დაშავებისას იყო მომენტები, რომცა „ხმლების" პერსპექტივებს ნისლი მოეფინა, მაგრამ „დომინატორი" კვლავ საიმედოდ დგება კარში და ბუფალო ფინალშია. აქ კი, მიუხედავად პესიმისტური პროგნოზებისა, მან ნამდვილი ბრძოლა გაუმართა მეტოქეს, რაზეც თვით ანგარიშიც მეტყველებს. ფინალზე ბევრი დაიწერა და მის გამეორებას აღარ ვაპირებთ, მაგრამ სასაუბროდ ნამდვილად ღირს დალასის მიერ არჩეული ტაქტიკა მეხუთე, გადამწყვეტ მატჩში. მას შემდეგ, რაც პირველ ოთხ შეხვედრაში დალასელებმა შემტევი ჰოკეი ითამაშეს (რაც ბევრისთვის მოულოდნელი იყო, რადგან მას მომთმენი, ფხიზელი გუნდის რეპუტაცია ჰქონდა), მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს, ჰიჩკოკმა შეგირდებს შედეგზე თამაში მოსთხოვა და „ვარსკვლავებმა" ერთობ მოსაწყენი, მაგრამ ყველაზე უტყუარი ტაქტიკა აირჩიეს. გაამართლა კიდეც.

### დალასის ჯადო

„ეს იყო მოთამაშეთა განსაკუთრებული, ჯადოსნური ჯგუფი, რომლის განმეორებაც შეუძლებელია. იქნებ მომავალში უფრო ნიჭიერი და დიდოსტატური გუნდი გვყავდეს, მაგრამ ესოდენ შეწყმული, როგორიც ეს იყო, წარმოუდგენელია" — დალასის მწვრთნელმა კენ ჰიჩკოკმა იცის, რასაც ამბობს.

დალასის ტრიუმფი სწორედაც რომ მისმა გუნდურმა სულისკვეთებამ განაპირობა. პლეი ოფის მსვლელობისას ტეხასელებს ტრავმების გამო ხან ერთი ლიდერი აკლდებოდათ, ხან — მეორე, მაგრამ „ვარსკვლავებმა" ესეც არ დაიტყვეს.

დალასის მოგება მით უფრო სამართლიანი ჩანს, თუ გავიხსენებთ, რა უდიდესი დამსახურების მქონე ჰოკეისტებმა მოუტანეს ტეხასს და ეგრეთ წოდებულ მზიან სარტყელს (აშშ-ს სამხრეთის გუნდები იგულისხმება) ნჰლ-ის ისტორიაში პირველი გამარჯვება.

განა არ დაიმსახურა ეს ტრიუმფი ლიგის უხუცესმა მოთამაშემ, 39 წლის გი კარბონომ, რომელიც ამ ასაკშიც კი ნჰლ-ის ერთ-ერთ ყველაზე მარჯვე მცველად ითვლება. მისთვის ეს მესამე თასი (პირველი ორი მონრეალთან 1986 და 1993 წლებში) კარიერის ბრწყინვალე დაგვირგვინებაა.

ან თუნდაც მაიკ კინი რითი ჩამოუვარდება სხვებს? ლიგის ისტორიაში მეცხრე მოთამაშე, რომელმაც სამ სხვადასხვა გუნდთან მოიპოვა სტენლის თასი (1993 — მონრეალი, 1996 — კოლორადო). ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ნახევარფინალის მეშვიდე მატჩში სწორედ მან დაასამარა ყოფილი თანაკლუბელების იმედები — რუას კარში ორი ულამაზესი შაიბა შეაგდო. კრეიგ ლუდვიგმა და ბრაიან სკრუდლინდმა 13-წლიანი ინტერვალის შემდეგ მეორე თასი მოიგეს. ეს კი ლიგის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი შუალედია. ბენუა ჰოგი? იმავე კოლორადოსთან სერიაში მიღებული ტრავმის მიუხედავად, ფორვარდმა ოპერაცია გადადო, ფინალის ბოლო ორი მატჩი ტკივილგამაყუჩებლებით ითამაშა და თავისი წვლილი შეიტანა გუნდის გამარჯვებაში. ლიგაში 12-წლიანი ღირსეული საქმიანობის შემდეგ ეს მისთვის ფრიად დამსახურებული ჯილდოა. გუნდის სხვა წევრებიც ამაგიანი და დიდად დამსახურებული ხალხია, მაგრამ წამყვანი ოთხეული მართლაც ცალკე თემაა და ცალკე თხრობასაც იმსახურებს.

**სამველ ლარიბიანი**



# ველოსიპედისტის სიკვდილი

„კატალონიის ტურის" პირველი ეტაპი იტალიელმა პეპელამ მარიო ჩიპოლინიმ მოიგო. 161 კილომეტრის გავლას მან ჩვეულებისამებრ ძალიან ცოტა ენერგია შეალია (თანაგუნდელები ეხმარებოდნენ) და ამიტომ საფინიშო სპრინტში პირველობა არ გასჭირვებია. ველომრბოლებმა ორგანიზატორების მიერ ნავარაუდევზე ნახევარი საათით გვიან უწიეს ფინიშს, რამაც ბევრი თავსატეხი გაუჩინა იმ ტელეარხს, რომელიც ტურნირს აშუქებს.

მეორე ეტაპიც ჩიპოლინიმ მოიგო, თუმცა მაყურებლის და ჟურნალისტების ყურადღება სხვა რამემ მიიპყრო. საფინიშო სპრინტისას ახალგაზრდა ესპანელი მანუელ სანრომა ველოსიპედიდან ჩამოვარდა, თავი ბორდიურს დაჰკრა და თხემის ძვალი გაიტეხა. ტრავმა სასიკვდილო აღმოჩნდა და 22 წლის ახალგაზრდაც ჰოსპიტალში მიყვანამდე გარდაიცვალა.

კვირას მესამე ეტაპი იყო დაგეგმილი. მრბოლებმა 155 კილომეტრის ნაცვლად მხოლოდ 109 კმ გაიარეს, ბარსელონას წრე არ დაარტყეს და ფინიშის ხაზი ქვეითად გადაკვეთეს. ეს სანრომას ხსოვნის პატივსაცემად გააკეთეს. ორგანიზატორებმა, რა თქმა უნდა, ეტაპი გაუქმებულად გამოაცხადეს.

მეოთხე ეტაპი გერმანელი ერიკ ზაბელის გამარჯვებით დასრულდა, რომელმაც სპრინტში ამერიკელ ჯორჯ ჰინკაპისა და რუს დიმიტრი კონიშევს აჯობა. სწორედ ზაბელი იქნება „ტელეკომის" ლიდერი „ტურ დე ფრანსზე", რადგან გუნდის ლიდერები — იან ულრიხი და ბიარნე რიისი ამ ტურნირში ტრავმების გამო მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

საერთო ჩათვლაში ლიდერობა კი ესპანელმა ანხელ ლუის კასერომ შეინარჩუნა.

# ისევ მეორე ხარ, სიმონ?!

„შვეიცარიის ტურის" მეშვიდე ეტაპი, რომლის ფინიშიც შვეიცარიის მეზობლად, ლიხტენშტაინში იყო, ავსტრალიელმა მეტიუ ვაიტმა მოიგო. მწვანე კონტინენტის წარმომადგენელმა იტალიელ რობერტო პეტიტოს და ჰოლანდიელ ერიკ დეკერს 6 წამით აჯობა.

საერთო ჩათვლაში ლიდერის ოქროსფერი მაისურა კი კვლავ ფრანგი ლორან ჟალაბერისაა, რომელმაც თავის უახლოეს მდევარ იტალიელ ჯილბერტო სიმონისთან და პელოტონის ძირითად ნაწილთან ერთად ფინიშის ხაზი ვაიტის შემდეგ სამ წუთსა და ორ წამში გადაკვეთა.

მთელი გზის მანძილზე უამრავი შეტევა წამოიწყეს სპორტსმენებმა. 43 კმ/სთ-ით მიმქროლავ ველომრბოლებს ფინიშამდე 50 კილომეტრით ადრე წვიმამ მოუსწრო. ამ დროს მთავარ ჯგუფს უკვე 15 მრბოლი იყო მოწყვეტილი. ლტოლვილებს შორის ჟალაბერის თანაგუნდელი ესპანელი მიკელ სარაბეიტაც იყო, რამაც სიმონის გუნდი აიძულა, დევნა წამოეწყო. ამიტომ იყო, რომ „ჟაჟამ" თითქმის ძალების დაუხარჯავად შეინარჩუნა ლიდერობა.

ბოლო 8 კილომეტრიღა რჩებოდათ მრბოლებს გასავლელი, როცა იტალიელმა პაოლო ვალოტიმ ვაიტის თანხლებით სცადა გადამწყვეტი შეტევა. მათ დარჩენილი გზის ნახევარი მარტოდ გაიარეს, მაგრამ მერე პეტიტო და დეკერი დაეწივნენ. ბოლოს კი ვაიტმა გაზარდა სიჩქარე და ეტაპიც მოიგო.

**გაგი გურული**



REUTERS მორანიდან

მეტიუ ვაიტი

**მე-7 ეტაპი**

კუესნაშტი — მორანი (162 კმ)

1. მეტიუ ვაიტი (ავსტრალია) 3 სთ 46 წთ 55 წმ
2. რობერტო პეტიტო (იტალია) +6 წმ
3. ერიკ დეკერი (ჰოლანდია) +6
4. პაოლო ვალოტი (იტალია) +7
5. ჯოვანი ლომბარდი (იტალია) +14

**საერთო ჩათვლა**

1. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) 24 სთ 38 წთ 17 წმ
2. ჯილბერტო სიმონი (იტალია) +2 წმ
3. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია) +10
4. ოსკარ კამენზინდი (შვეცარია) +35
5. ლორან დიუფო (შვეიცარია) +43



# მეფე მოტოსაც სწყალობს

მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კატალუნიის ავტოდრომი კვირას მოტორბოლაში მსოფლიოს ჩემპიონატის მეექვსე ეტაპს მასპინძლობდა. სულ ახლახან ბარსელონას წრეზე ფორმულა 1-ის პილოტები არკვევდნენ ურთიერთობას. ფერარები, მაკლარენები და ბენეტონები ჰონდებმა, იამაჰებმა და აპრილიებმა შეცვალეს. ესპანეთის მეფეს ხუან კარლოს არც მოტომრბოლები გაუწბილებია — მათაც გულთბილი შეხვედრა მოუწყო. თუმცა გასაკვირი ამაში არაფერია — მოტორბოლები ესპანეთში გაცილებით მეტი პოპულარობით სარგებლობს, ვიდრე თუნდაც ფორმულა 1.

კლას 125-ში ბრძოლა უკანასკნელ მეტრებამდე არ შეწყვეტილა. გაიმარჯვა ფრანგმა ვინსენტმა (აპრილია). მეორე იყო ესპანელი ალზამორა (ჰონდა). ესპანელი მრბოლისთვის მეორე ადგილი და 20 ქულა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ საერთო ჩათვლაში იაპონელ აზუმასთვის გადაესწრო. მესამე იყო იტალიელთა კიდევ ერთი ვარსკვლავი, 18 წლის მარკო მელანდრი.

250-იანებში მიუხედავად საკმაოდ დიდი ჩამორჩენისა, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს, როგორც ჩანს, ყველაზე პოპულარული მრბოლი ვალენტინო როსი მოიგებს. კვირას როსიმ ესპანეთისა და იტალიის დიდ პრიზებს კატალუნიის დიდი პრიზიც დაამატა. მეორე მისი მთავარი მეტოქე იაპონელი ტორუ უკავა იყო.

ესპანელი ქომაგების გასახარად, ალექს კრივილემ რბოლის ბოლო წრეზე ფანტასტიკური ფინიშით, რომ იტყვიან, ხელიდან გამოგლიჯა პირველი ადგილი იაპონელ ოკადას. ეს ესპანელის ზედიზედ მეოთხე გრან პრია.

მსოფლიოს ჩემპიონატის მეშვიდე ეტაპი გაიმართება ჰოლანდიაში 27 ივლისს.

**ირაკლი ბერიაშვილი**

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| **125 კბ/სმ** | |
| 1. ალზამორა (ესპანეთი, ჰონდა) | 98 |
| 2. აზუმა (იაპონია, ჰონდა) | 97 |
| 3. ვინსენტი (საფრანგეთი, აპრილია) | 75 |
| **250 კბ/სმ** | |
| 1. უკავა (იაპონია, ჰონდა | 121 |
| 2. როსი (იტალია, აპრილია) | 95 |
| 3. ნაკანო (იაპონია, იამახა) | 85 |
| **500 კბ/სმ** | |
| 1. კრივილე (ესპანეთი) | 129 |
| 2. რობერტსი (აშშ, რუძუკი) | 74 |
| 3. კიბერნე (ესპანეთი) | 72 |

# ნიუ იორკის ოცნება გაფერადდა

სან ანტონიოში მიყოლებით ორჯერ გამწარებულმა ნიუ იორკმა თავის თავში იპოვა საკმარისი ძალა, შინ, მშობლიურ „მედისონ სკვერ გარდენში“ მობილიზებული და თავის თავში დარწმუნებული დახვდა ძლევამოსილ „სფურზს“. ნიუიორკელთა მთავარი მწვრთნელი ჯეფ ვან განდი სან ანტონიოში მეორე მარცხის შემდეგ სრულ სიმართლეს ამბობდა, როცა სერიის მესამე შეხვედრაში თავისი შეგირდების გამარჯვებას ვარაუდობდა. „დაწყებამდე მე ვუთხარი ბიჭებს, სან ანტონიო არც ისე ძლიერია. დაივიწყეთ ის, რაც წინა დღეებში მოხდა, გადით მოედანზე და თქვენი თამაში ითამაშეთ“ — ამბობდა მატჩის შემდეგ ერთობ გახარებული და ემოციებს აყოლილი ჯეფ ვან განდი, რომელმაც კარგა ხანს ვერ მოახერხა დაწყნარება. მისმა გუნდმა, რომელსაც ბევრი წლევანდელი პლეი ოფის პირველივე რაუნდიდან გამოვარდნას უწინასწარმეტყველებდა, ხომ თვით სან ანტონიო დასცა. მას კი აქამდე მიმდინარე პლეი ოფში სტუმრად თამაში არ წაეგო. ამ გამარჯვებით ნიუ იორკმა სერიაში გარდატეხა შეიტანა და თავის ერთგულ გულშემატკივრებს, რომელთაც 19763-კაციანი დარბაზი პირთამდე გაავსეს, მესამედ გაჩემპიონობის ოცნება გაუფერადა. არადა, „ნიქსს“ უკანდასახევი გზა არ ჰქონდა. ჰაერივით სჭირდებოდა ამ მატჩში გამარჯვება, რადგან თუ ფინალურ სერიაში 0:2 ჩამორჩენა მხოლოდ ორ გუნდს დაუძლევია, ისეთი ვაჟკაცი არავინ აღმოჩენილა, 0:3-ის შემდეგ ჩემპიონობა ეგდო ხელთ. რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო კარგად „ნიქსმა“ იცოდა, რომ მარცხის შემთხვევაში ყველაფერი, რაც უდიდესი წვალებით მოიპოვა, წყალში გადაეყრებოდა. ამიტომ მომხდურ გუნდს, ფავორიტად მიჩნეულ სან ანტონიოს, თავიდანვე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეერკინა და ნანატრი გამარჯვებაც დამსახურებულად მოიპოვა.

რა თქმა უნდა, ამ გამარჯვებამ ნიუიორკელები ძალიან გაახარა, მაგრამ ეიფორიაში არავინ ჩავარდნილა. ერთი გამარჯვება მხოლოდ ერთი გამარჯვებაა, სერიის მოსაგებად კი ოთხია საჭირო და ნიუ იორკსაც გადაუწყვეტია, უკან არ დაიხიოს.

„არავინ იფიქროს, რომ ჩვენი წინააღმდეგობა ამით დასრულდა. აი, ნახავთ, კიდევ მოვიგებთ თამაშებს. რომ შეგვიძლია, ეს დღეს ყველას დავუმტკიცეთ“ — თქვა ნიუიორკელთა თავდამსხმელმა ლარი ჯონსონმა, ვინც თითქმის საბოლოოდ მოირჩინა აღმოსავლურ ფინალში ინდიანასთან ბოლო შეხვედრისას დაშავებული მუხლი და ფინალში პირველ ორ მატჩში არცთუ ხეირიანი გამოსვლის შემდეგ მესამე თამაშში 16 ქულა ჩაუგდო სან ანტონიოს. ჯონსონის 16 ქულა ნიუ იორკს დიდად წაადგა, მაგრამ მასპინძელთათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი და საჭირო იყო დაცვაში მისი მშვენიერი გარჯა, ამაზე კი ბევრი რამაა დამოკიდებული, რადგან მას ამ სერიაში სანანტონიოელთა ყმაწვილი ლიდერი, ტიმ დანკანი ჰყავს „ჩაბარებული“ და ევალება მას ყველანაირად ხელი შეუშალოს. წინა ორ მატჩში ჯონსონს ეს არცთუ ხეირიანად გამოუვიდა — დანკანმა საშინელი დღე აყარა „ნიქსს“, ამ შეხვედრაში კი შედარებით კარგად გაართვა თავი მის მეურვეობას. დანკანმა მხოლოდ 20 ქულის გაკეთება შეძლო და თავისი კოლოსალური შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოამჟღავნა.

მაშინ, როცა დანკანი ამაოდ ცდილობდა მასზე 12 სანტიმეტრით დაბალი ჯონსონის დაჩაგვრას, ამ უკანასკნელის დაბალი თანაგუნდელები — ალან ჰიუსტონი და ლატრელ სპრიუელი შორიდან წარმატებით ბომბავდნენ მომხდურთა ფარს. მათგან განსაკუთრებით პირველია აღსანიშნავი. პატრიკ იუინგის არყოფნაში ჰიუსტონი ნიუიორკელთა წინამძღოლად მოგვევლინა. როცა ჰიუსტონს თამაში კარგად მისდის და ბევრ ბურთს აგდებს, ნიუ იორკი ყოველთვის მოგებული რჩება. თუ იგი ხასიათზე ვერაა, მისი თანაგუნდელების კარგი თამაშის მიუხედავად, „ნიქსს“ ყოველთვის უჭირს. იმ დღეს ჰიუსტონის დღე იყო. მან მეურვეებს — მარიო ელისა და ჯარენ ჯექსონს პერსონალურებიც ბლომად მიაღებინა და ქულებიც საკმაოდ ჩაიწერა, 34 ქულა მისი საპლეიოფო კარიერის რეკორდის გამეორებაა. მან ამდენივე ჩააგდო მეორე წრეში ატლანტასთან პირველ მატჩში.

ჰიუსტონის მშვენიერმა გარჯამ თანაგუნდელ ლატრელ სპრიუელსაც მწვანე შუქი აენთო და თავისი საფირმო გარღვევებით და ფარქვეშ „თავხედური თარეშით“ უამრავი პრობლემა გაუჩინა „სფურზს“. მატჩის შემდეგ სტუმართა თავკაცმა გრეგ პოპოვიჩმა თქვა, წავაგეთ, რადგან ჩვენში ვერავინ მოიძებნა ისეთი, ვინც ალანს და ლატრელს ხელს შეუშლიდაო. განსაკუთრებით ჰიუსტონი გამოყო და მას სუპერმოთამაშე უწოდა.

რაც შეეხება სან ანტონიოს, იმ დღეს მის რიგებში მხოლოდ ერთი კაცი თამაშობდა ისე, როგორც მას შეეფერება, იგი ბებერი და გამოცდილი დევიდ რობინსონია. როდესაც „ადმირალმა“ ნახა, რომ მის თანაგუნდელ ტიმ დანკანს ყველაფერი კარგად ვერ მისდიოდა, თამაში თავის თავზე აიღო და თანაგუნდელებს მეტოქის ფარისკენ წარუძღვა. რობინსონმა ძველი ხელობაც გაიხსენა, მას ბურთების ჩაგდება არავისზე ნაკლებად არ ეხერხება და სან ანტონიოს რიგებში ყველაზე მეტ ქულას მოუყარა თავი. გარდა ამისა, „ადმირალმა“ შავ დღეში ჩააგდო თავისი მეურვე მარკუს კემბი, რომელიც ვან განდიმ ძირითად ხუთეულში დააყენა უხეირო კრის დადლის ნაცვლად. კემბიმ პირველივე ნახევარში მიიღო ხუთი პერსონალური და მატჩის მიწურულსღა მოახერხა მოედანზე შესვლა, თუმცა გამოცდილმა რობინსონმა მეექვსეც „აჰკიდა“ და უკვე საბოლოოდ გამოთიშა შერკინებას. ასე რომ, კემბიმ მთლიანობაში მხოლოდ 16 წუთი ითამაშა, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი ბურთის ჩაგდება მაინც მოახერხა. სან ანტონიოს ამით მაინც არაფერი ეშველა. ნიუ იორკი იმ დღეს მშვენიერი იყო. დაიწყო თუ არა შეხვედრა, „ნიქსმა“ მაშინვე გამოაჩინა კლანჭები. მასპინძლები ბურთს ბურთზე აგდებდნენ. მატჩის დაწყებიდან ორიოდ წუთის შემდეგ ანგარიში უკვე 10:6 იყო ნიუიორკელთა სასარგებლოდ და ამ ათი ქულიდან რვა ჰიუსტონის ანგარიშზე მოდიოდა. რამდენიმე წუთში 23:15 გახდა. პირველი მეოთხედის ბოლოს სხვაობამ მატჩში ყველაზე ბევრს, 14 ქულას უწია — ნიუ იორკი 32:18 იგებდა, თუმცა ზედ სირენის წინ დანიელსმა სამქულიანით 11 ქულამდე შეამცირა სხვაობა. მეოთხედიც 32:21 დასრულდა.

სან ანტონიო მეორე მეოთხედში გამოცოცხლდა — საწყისი მონაკვეთი 10:2 მოიგო და გაქცეულ მასპინძელს წამოეწია. რამდენჯერმე დანკანმა ივაჟკაცა, რობინსონმაც ჩვეულად მოჰკიდა საქმეს ხელი და 11 ქულიდან სხვაობა თანდათან სამამდე შემცირდა. პირველი ტაიმი 49:46 დასრულდა. ამ დროს რობინსონის ანგარიშზე 14 ქულა იყო, ჰიუსტონმა კი 18 ქულა დააგროვა. მესამე მეოთხედში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთლით იმას, რომ ბურთის ჩაგდება ორივე გუნდს უჭირდა. მასპინძელთაგან ისევ ჰიუსტონმა იყოჩაღა და თამაშიდან რვა სროლიდან ორი ჩააგდო, მისმა მთელმა გუნდმა კი 15-დან ყველა ააცილა. ბოლოსწინა მეოთხედი 16:16 გასრულდა და მეტოქეებიც მთავარი შერკინებისთვის განეწყვნენ.

გადამწყვეტ მეოთხედში ბრძოლა მართლაც შედგა. იგი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. სანანტონიოელებს დანკანის იმედი ჰქონდათ, მაგრამ მან ოთხივე ნასროლი ააცილა და თან ორჯერ ბურთი ბავშვივით დაკარგა. ნიუიორკელები კი მწყობრად უტევდნენ — ჰიუსტონი, სპრიუელი და ჯონსონი მშვენივრად ესროდნენ და მეოთხედის შუაწელს ანგარიში 78:68 გახდა. სან ანტონიომ უკანასკნელად გაიბრძოლა ადმირალის წინამძღოლობით, მაგრამ მასპინძლები მაგრად იდგნენ და „სფურზსაც“ ხელის ჩაქნევის მეტი არაფერი დარჩენოდა.

**ირაკლი ფირცხვილი**

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალი (ოთხ მოგებამდე)

**სან ანტონიო — ნიუ იორკი 2:1**

**ნიუ იორკი 89:81 სან ანტონიო**

III მატჩი 21 ივნისი ნიუ იორკი. მედისონ სკვერ გარდენი. 19 763 მაყ.

მსაჯები: დიკ ბავეტა, ჰიუ ჰოლინზი, რონი ნანი

| ნიუ იორკი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვორდი | 31 | 1/4 | 0/2 | 0/0 | 2 | 2 | 4 | 0 | 2 | 2 |
| ჰიუსტონი | 45 | 10/24 | 2/4 | 12/12 | 3 | 4 | 0 | 0 | 0 | 34 |
| სპრიუელი | 46 | 9/22 | 0/1 | 6/10 | 5 | 5 | 2 | 0 | 1 | 24 |
| ლ. ჯონსონი | 43 | 6/16 | 1/5 | 3/4 | 5 | 1 | 1 | 0 | 3 | 16 |
| კემბი | 16 | 2/4 | 0/0 | 1/2 | 4 | 0 | 0 | 3 | 6 | 5 |
| ტომასი | 17 | 1/4 | 0/0 | 0/0 | 10 | 1 | 1 | 0 | 4 | 2 |
| ჩაილდსი | 22 | 1/2 | 1/1 | 1/2 | 3 | 3 | 0 | 0 | 4 | 4 |
| დადლი | 19 | 1/2 | 0/0 | 0/0 | 4 | 1 | 0 | 1 | 3 | 2 |
| ბრანსონი | 1 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სულ | 240 | 31/78 | 4/13 | 23/30 | 36 | 17 | 8 | 4 | 23 | 89 |

| სან ანტონიო | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა. ჯონსონი | 39 | 5/9 | 0/0 | 0/0 | 4 | 4 | 1 | 0 | 3 | 10 |
| ელი | 26 | 2/6 | 1/3 | 1/1 | 0 | 1 | 0 | 0 | 5 | 6 |
| ელიოტი | 38 | 3/9 | 1/5 | 0/0 | 1 | 2 | 1 | 0 | 2 | 7 |
| დანკანი | 47 | 8/16 | 0/1 | 4/4 | 12 | 2 | 3 | 1 | 3 | 20 |
| რობინსონი | 39 | 6/12 | 0/0 | 13/17 | 10 | 1 | 0 | 2 | 3 | 25 |
| ჯეკსონი | 10 | 0/3 | 0/1 | 0/0 | 0 | 2 | 0 | 0 | 4 | 0 |
| როუზი | 10 | 0/3 | 0/0 | 0/0 | 6 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 |
| კერი | 14 | 2/4 | 1/1 | 0/0 | 2 | 0 | 0 | 0 | 3 | 5 |
| დანიელსი | 16 | 3/3 | 2/2 | 0/0 | 1 | 3 | 1 | 0 | 2 | 8 |
| კინგი | 1 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სულ | 240 | 29/65 | 5/13 | 18/22 | 36 | 15 | 6 | 3 | 27 | 81 |



დუელი გრძელდება: ლარი ჯონსონი (ზემოდან) და ტიმ დანკანი




ალან ჰიუსტონი ნიუიორკელთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო




ნიუ იორკს ჰიუსტონ-ჯონსონ-სპრიუელის ტრიომ მოაგებინა

REUTERS ნიუ იორკიდან

### სან ანტონიო — ნიუ იორკი. III მატჩი ნიუ იორკში. 21 ივნისი

### ფაქტები ● ფაქტები ● ფაქტები

პირველ მეოთხედში ნიუ იორკმა 32 ქულა გააკეთა. ეს 1999 წლის პლეი ოფის საუკეთესო შედეგია.

ამავდროულად, მესამე მეოთხედში ორივე გუნდმა 32 ქულა გააკეთა. ასე ცოტა ქულა ფინალური მატჩების მესამე მეოთხედებში სულ ორჯერ გაკეთებულა.

### ყველაზე ცოტა ჯამური ქულა მესამე მეოთხედში

31 ......... პორტლენდი — ჩიკაგო 15:16 ............. 7 ივნისი, 1992
იუტა — ჩიკაგო 16:15 ................... 6 ივნისი, 1997
32 ......... ნიუ იორკი — სან ანტონიო 16:16 .........21 ივნისი, 1999
33 ......... ვაშინგტონი — სიეტლი 14:19 ........... 24 მაისი, 1979
იუტა — ჩიკაგო 17:16 ...................14 ივნისი, 1998

1999 წლის პლეი ოფში სან ანტონიომ პირველად წააგო სტუმრად. წლეულს გუნდი ბოლოჯერ შინ, პირველი წრის მეორე მატჩში დამარცხდა მინესოტასთან — 71:80.

ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ 19763 მაყურებელი მივიდა, რაც ამ დარბაზის მერვე ანშლაგია წლევანდელ პლეი ოფში. სულ კი „მედისონ სკვერ გარდენი“ ზედიზედ 296-ედ გაივსო „ნიქსის“ თამაშისას.

EURO BASKET 99 FRANCE

# ჩეხურ-ხორვატულ-გერმანული სასწაული

ევროპის ჩემპიონატის პირველი ეტაპი. I ტური. 21 ივნისი

ტულუზი

## A ჯგუფი

**მაკედონია 67:71 საფრანგეთი**

(I ტაიმი 40:42)

**მაკედონია:** ნაუმოსკი (27), ბოჩევსკი (11), იოვანოვსკი (9), ბლაჟევსკი (5), გეჩევსკი (5), სტეფანოვი (5), კურტოვიჩი (3), სტანკოვიკი (2)

**საფრანგეთი:** აბდულ-ვაჰადი (24), რიგოდო (18), სონკო (8), დიგბო (7), ბილბა (5), ჟულიენი (4), სმიტი (3), ფუარე (2)

მასპინძლებისა და მაკედონიელების შეხვედრაში მინი-მატჩიც გაიმართა — ფრანგთა დუეტი, ტარიკ აბდულ-ვაჰადისა და ანტუან რიგოდოს შემადგენლობით, სტუმართა ორი საუკეთესო კალათბურთელის — პეტარ ნაუმოსკისა და დუშან ბოჩევსკის წინააღმდეგ. პირველებმა ჯამში ოთხი ქულით მეტი მოაგროვეს. და იცით, ეს ოთხი ქულა რა ოთხი ქულაა? სწორედ ამის წყალობით იმარჯვეს ფრანგებმა.

მატჩი ჩემპიონატის ორგანიზატორი ქვეყნის ნაკრების უპირატესობით დაიწყო. „ლურჯებს“ თამაშის სადავეები ხელით კი ეპყრათ, მაგრამ მეტოქის ძალიან ჩამოტოვებას ვერაფრით ახერხებდნენ. პირველ ტაიმში მათ ყველაზე დიდ უპირატესობას მე-14 წუთისთვის მიაღწიეს — 32:26. მატჩში ყველაზე დიდი სხვაობა კი 9 ქულა იყო — 33-ე წუთზე ფრანგები 61:52-ს იგებდნენ.

ისე, მათი უპირატესობა აშკარა იყო და თუ საბოლოოდ მხოლოდ ოთხი ქულით მოიგეს, ეს მთლიანად მაკედონიელთა საუკეთესო კალათბურთელის პეტარ ნაუმოსკის დამსახურებაა (27 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი). ფარი, ფაქტობრივად, ფრანგების იყო (31:18), 9 მოხსნა ჯიმ ბილბამ გააკეთა, 8 — აბდულ-ვაჰადმა.

მატჩის ბოლოს მაკედონიელებმა ბოლო ძალები მოიკრიბეს და თავდადებით ათამაშდნენ. ამან შედეგი მალე გამოიღო და 38-ე წუთზე ნაუმოსკის მიერ ზუსტად ნასროლი ორი საჯარიმოს შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — 65:65. ექსიუგოსლავიელების გამთამაშებელს თავისიანების დაწინაურებაც შეეძლო, მაგრამ მესამე საჯარიმო არაზუსტი გამოდგა. ამან საფრანგეთი გამოაფხიზლა და მათაც 4000-მდე ქომაგის თვალწინ ტურნირის პირველი გამარჯვება გამოგლიჯეს ხელიდან მეტოქეს. ბოლო ორი ქულა კი რიგოდოს ანგარიშზეა.

„დაცვაში კარგად გავისარჯეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, სენსაცია ვერ მოვახდინეთ. ჩვენი ჯგუფიდან საფრანგეთი და იუგოსლავია უეჭველად გავლენ, მესამე ბედნიერის ვინაობა კი ჩვენი და ისრაელის თამაშისას გაირკვევა“ — თქვა დამარცხებულთა მთავარმა მწვრთნელმა ზარე მარკოვსკიმ.

**ისრაელი 61:81 იუგოსლავია**

(I ტაიმი 23:38)

**ისრაელი:** ამსალემი (5), დანიელი (2), გუდესი (11), ჰენფელდი (6), კატაში (11), საფარი, შეფერი (18), შელეფი (2), შტეინჰაუერი (4), ტაპირო, თორჯემანი (2)

**იუგოსლავია:** ბოდიროგა (13), დანილოვიჩი (9), დივაცი (6), გუროვიჩი, ლონჩარი (7), ლუკოვსკი (4), ობრადოვიჩი (9), შჩეპანოვიჩი, ტარლაკი (9), ტომაშევიჩი (24)

კლერმონ-ფერანი

## B ჯგუფი

**უნგრეთი 75:84 ესპანეთი**

(I ტაიმი 36:27)

**უნგრეთი:** შიტკუ (5), ბენცე (3), კალმანი (9), ჰალმი (10), დავიდი (8), ბოროში (6), გულიაში (23), მესაროში (5), ციგლერი (6)

**ესპანეთი:** ანგულო (2), კორალესი (6), რომერო (2), როდრიგესი (3), დე ლა ფუენტე (14), ერეროსი (25), ესტელერი (3), დე მიგელი (17), რეიესი (8), დუენიასი (4)

ესპანეთს, თითქოს, რა უნდა გაჭირვებოდა გამოუცდელ უნგრეთთან და დუენიასმა 54-ე წამზე ანგარიში რომ გახსნა, ყველამ იფიქრა, იბერიელები იოლად გაიმარჯვებენო. ექვსი წუთი თამაში ქულა-ქულაზე მიდიოდა, მერე კი უნგრელები გამოცოცხლდნენ, თუმცა გუნდის ლიდერმა, „ჩიკაგო ბულზის“ ფორვარდმა კორნელ დავიდმა მეოთხე პერსონალური მიიღო და მწვრთნელმა იგი მოედანს გამოარიდა. დავიდის დარად, მისი სხვა თანაგუნდელებიც ჯარიმდებოდნენ, მაგრამ ესპანელები საოცრად უზუსტოდ ესროდნენ საჯარიმოებს. უნგრელთა შორის გამოირჩეოდა 138-კილოგრამიანი და 213-სანტიმეტრიანი ცენტრი რობერტ გულიაში. თავის ამპლუისთვის შეუფერებლად სწრაფმა და მოძრავმა გულიაშმა დიდი თავსატეხი გაუჩინა მეტოქეს და მისი დამსახურებით უნგრეთმა ტაიმი 9 ქულით მოიგო.

ესპანეთმა პირველ ტაიმში ისე ითამაშა, რომ ბურთი არ ჩაუჭრია. დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, ლოლო საინსის დამოძღვრილმა ბიჭებმა ზედიზედ ორი ჩაჭრა გააკეთეს და ერთწუთიანი მონაკვეთი 10:0 მოიგეს. შემდეგ ერთ-ორქულიანი უპირატესობა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს გადადიოდა. როცა ესპანეთი 48:41 იგებდა, აიწყვიტა როდრიგო დე ლა ფუენტემ — ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო, ამას ალბერტო ერეროსმა ერთი ამნაირიც დაურთო და თავისიანები 59:49 დააწინაურა. ეს მოხდა შეხვედრის 29-ე წუთზე.

უნგრელებს კვლავ მოევლინათ ლიდერი და კვლავ რობერტ გულიაშის სახით. მისი ძალისხმევით ანგარიში ორ ქულამდე შემცირდა (64:62). დამთავრებამდე სამი წუთი რჩებოდა, როცა ესპანელებშიც აღმოჩნდა წინამძღოლი — ალბერტო ერეროსი: მისმა ორმა სამქულიანმა ესპანეთს მატჩში ყველაზე დიდი, 11-ქულიანი უპირატესობა მოუტანა (75:64).

უნგრელებმა კი მეტი ვერაფერი მოახერხეს: ალფონსო რეიესი ჯებირივით ჩადგა ფარქვეშ (14 მოხსნა), ხოლო დე ლა ფუენტე და დე მიგელი საშუალო მანძილიდან სროლისას შეუდარებელნი იყვნენ.

მატჩის შემდეგ ესპანელთა მწვრთნელმა ლოლო საინსმა აღნიშნა: „კარგია, რომ თავიდან ვაგებდით, ამან გვაიძულა ყურადღება მოგვეკრიბა. რა იყო ყველაზე კარგი ამ შეხვედრაში? ალბათ ის, რომ მოვიგეთ“.

**სლოვენია 47:68 რუსეთი**

(I ტაიმი 22:30)

**სლოვენია:** ბეჩიროვიჩი (3), დანეუ (5), დრაგშიჩი, იაგოდნიკი, იეკლინი, იურკოვიჩი (2), კრალევიჩი (2), ნესტეროვიჩი (6), მილიჩი, სმოდისი (19), ტოვორნიკი, ზდოვცი (10)

**რუსეთი:** ავლეევი (1), ბაბკოვი (1), კარასიოვი (11), კისურინი (8), კუდელინი (13), კურაშოვი 6), ნოსოვი (5), ზ. პაშუტინი (2), ე. პაშუტინი, პანოვი (14), პეტრენკო (3), ტიხონენკო (4)

ანტიბი

## C ჯგუფი

**ხორვატია 70:68 იტალია**

(I ტაიმი 29:48)

**ხორვატია:** კუკოჩი (16), გირიჩეკი (15), მრშიჩი (13), ვუიჩიჩი (13), მულაომეროვიჩი (12), პრკაჩინი (1), კრსტიჩი, ზადრავეცი, რუჟიჩი

**იტალია:** გალანდა (15), ფუჩკა (13), ბაზილე (12), მენეგინი (9), მაიერსი (8), დე პოლი (7), აბიო (2), კიაჩიგი (2), მარკონატო

ორშაბათს ჩატარებული მატჩებიდან, ალბათ, ყველაზე საინტერესო, დაძაბული და დრამატული ხორვატია — იტალია გამოდგა. „ჩიკაგო ბულზის“ შემადგენლობაში სამგზის ნბა-ს ჩემპიონ ტონი კუკოჩის წინამძღოლობით ხორვატებმა პირველი ტაიმის ცხრამეტქულიანი (!) ჩამორჩენის ამოქაჩვა მოახერხეს და აპენინელებს მწარე და დასანანი მარცხი აგემეს.

შესვენებამდე მოედანზე საუკეთესო იტალიელი კარლტონ მაიერსი და ანდრეა მენეგინი იყვნენ. მათი ბრწყინვალე თამაშის წყალობით ანგარიშში სხვაობა თანდათანობით იზრდებოდა. მე-7 წუთამდე გუნდები ქულა ქულაზე მიდიოდნენ. ამის მერე ერთწუთიანი მონაკვეთი „სკუადრა აძურას“ 6:0 გამარჯვებით დასრულდა და მატჩის ანგარიში 18:10 გახდა. ხორვატების დაცვა გუნდურად კარგად მოთამაშე მოწინააღმდეგის შეტევებს ვერაფერს უპირისპირებდა და მე-18 წუთისთვის უკვე თექვსმეტქულიანი სხვაობა დაფიქსირდა — 40:24 იტალიის სასარგებლოდ.

სტატისტიკური მაჩვენებლებიდან იტალიამ ორ რამეში აჯობა მეტოქეს. მან 10-ით მეტი პასი (18:8) გააკეთა და ექვსი საჯარიმოთი მეტი (26:20) „აიკიდა“. თანაც, იტალიელებმა 10 სამქულიანი ჩააგდეს (28-დან), ხორვატებმა კი — 4 (9-დან). ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ყოფილმა იუგოსლავიურმა რესპუბლიკამ გამარჯვებას ძირითადად თავისი ლიდერების ინდივიდუალური თამაშის ხარჯზე მიაღწია.

შესვენების შემდეგ კუკოჩი და მისი თანაგუნდელები მოედანზე გარდაქმნილები დაბრუნდნენ, რაც დაცვაში მეტად აგრესიულ და ხისტ თამაშში აისახა. იტალიელები ძველებურად იოლად ველარ აგვირგვინებდნენ შეტევებს და მეორე ტაიმში პირველში მოგროვებული ქულების ნახევარიც კი ვერ შემატეს თავიანთ ანგარიშს. მატჩის დასრულებამდე წუთი უცდა, როცა წინ ხორვატია გავიდა — 69:68. ამის მერე მაიერსმა რამდენიმე სროლა გაუცუდდა, ჩიკაგოელმა კუკოჩმა კი ერთი საჯარიმოს ჩაგდება მოახერხა და თავისიანებს პირველი გამარჯვება მოაპოვებინა.

**ბოსნია 42:57 თურქეთი**

(I ტაიმი 21:24)

**ბოსნია:** ალიჰოჯიჩი (10), ბეჩირაგიჩი (1), ფირიჩი (5), ჰუკიჩი (2), კაპრიმანოვიჩი (3), ლერიჩი (11), მარკოვიჩი (4), მირკოვიჩი (1), მუეძინოვიჩი (5), ოვჩინა

**თურქეთი:** ბეშოქი (11), ერდენი, ქონუქი, ქუთლუაი (8), ოქური (2), ფარსი (4), სარიჯა (4), თუნჩერი (6), თურქჯანი (6), თურქოღლუ (14), ილდირიმი (2)

დიჟონი

## D ჯგუფი

**გერმანია 59:58 საბერძნეთი**

(I ტაიმი 26:23)

**გერმანია:** ბოგოევიჩი (9), ფემერლინგი (2), ლუტკე (3), ნეესი (3), ნოვიცკი (21), ნიურნბერგერი, ოკულაჯა (10), როდლი (10), ტერდენგე (11), ტომიჩი

**საბერძნეთი:** ბალოიანისი, ბუდურისი (8), იანულისი (4), კალაიცისი, კარაგუტისი (2), კორონიოსი (10), პაპანიკოლაუ (5), სიგალასი (17), ცაკალიდისი (12)

ევროპის ჩემპიონატის პირველი ეტაპის პირველ ტურში ორი სენსაცია გამოცხვა და ორივეს მომსწრენი დიჟონის „პალე დე სპორში“ (ჩვენებურად „სპორტის სასახლეში“) თავმოყრილი მაყურებელი გახდა. ჯერ იყო და საქართველოს შესარჩევი ჯგუფიდან გასულმა საშუალო დონის ჩეხეთმა ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი ლიტვა გააკრა ბეჭებზე, რამდენიმე ხანში კი გერმანიამ საბერძნეთს სძლია.

არადა, ამ ჯგუფის მეორე თამაშში სპეციალისტები იოლს არა, მაგრამ ლამის უეჭველ გამარჯვებას ერთხმად უწინასწარმეტყველებდნენ. ეტყობა ისინი გერმანულ ხასიათს და მათი ნაკრების მსროლელის, ვლადიმირ ბოგოევიჩის ცივ სისხლს არ ითვალისწინებდნენ. შეხვედრის დამთავრებამდე წამებიღა იყო დარჩენილი. სოხუმში კალათბურთელსწავლული და შემდეგ ისტორიულ სამშობლოში გადაბარგებული იაკოვ ცაკალიდისის თანაგუნდელები 2 ქულას იგებდნენ, ბურთი გერმანელები ფლობდნენ. მათ გადამწყვეტი სროლის უფლება ექსიუგოლასლაველს მისცეს. ბოგოევიჩსაც ხელი არ აჰკანკალებია და სამქულიანი ტყორცნა ზუსტად შეასრულა.

მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე კი ელინები მეტოქეს 8 ქულას უგებდნენ, მაგრამ ნოვიცკისა და ოკულაჯას აქტიურმა თამაშმა ეს სხვაობა ორამდე დაიყვანა, მერე კი...

პირველ ტაიმში ორივე გუნდი სროლებისას ბევრს სცოდავდა, რაც მეორე ოცწუთეულში შედარებით გამოასწორა. თუმცა, 50-პროცენტიანი ზღვარის გადაბიჯება ვერც ერთმა შეძლო — ბერძნების სროლათა 49 პროცენტმა უწია მიზანს, გერმანელებისა კი მხოლოდ 44-მა. ფარიდან ასხლეტილი ბურთების ბრძოლისას გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება ვერავინ შეძლო. წაგებულები ოდენ სამით მეტ ასეთ ბურთს დაეუფლნენ (28:25). დანარჩენ სტატისტიკურ მაჩვენებლებშიც, პრაქტიკულად, თანაფარდობა იყო. ოღონდ ეგაა, ბერძნებმა ექვსით მეტი პერსონალური ჯარიმა მიიღეს, გერმანელებმა კი ოთხით მეტი საჯარიმო სროლა გააცუდეს.

„ჩვენი საუკეთესო მსროლელი ფრაგისკოს ალვერტოსი გვაკლდა და ამიტომაც ჩვეულებრივზე გაცილებით ცუდად გამოვიყურებოდით. იმედი მაქვს, შემდეგ ეტაპზე მაინც გავალთ და მერე იქნებ ალვერტისიც დაგვეხმაროს. დღევანდელ თამაშში მეტოქეს არ მოუგია, ეს ჩვენ წავაგეთ. თანაც გერმანელებს მატჩის მიწურულს საშინლად გაუმართლათ“ — საბერძნეთის მთავარმა მწვრთნელმა კოსტას პეტროპულოსმა მარცხი საკუთარ თავს და უიღბლობას დააბრალა.

**ჩეხეთი 78:62 ლიტვა**

(პირველი ტაიმი 43:34)

**ჩეხეთი:** ბარტონი (24), ნოვაკი (14), ოკაჩი (11), ველში (11), ბეჩვა (8), ჩუდეკი (4), ტრემლი (4), შტუხლი (2), იდეკი, ვაჰალა

**ლიტვა:** შტომბერგასი (17), კარნიშოვასი (10), ეინიკასი (9), მ. ჟუკაუსკასი (9), საბონისი (7), ე. ჟუკაუსკასი (4), მაკაულისი (3), მასიულისი (3), იასიკევიჩიუსი, ადომაიტისი, პრაშკევიჩიუსი



მაკედონია — საფრანგეთი 67:71. ტარიკ აბდულ-ვაჰადმა მაკედონიელთა დაცვაც გაარღვია და ფარიც დაიპყრო





გერმანია — საბერძნეთი 59:58. გეორგიოს სიგალასი (ბურთით) გერმანელი ჰენრიკ როდლის წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა



EURO BASKET 99 FRANCE

# შეიბრალეთ კუკოჩი, ისიც ადამიანია!

ევროპის ჩემპიონატის პირველი ეტაპი. II ტური. 22 ივნისი

ტულუზი

## A ჯგუფი

### იუგოსლავია 83:68 მაკედონია

(I ტაიმი 51:40)

**იუგოსლავია: ბოდიროგა (19), დანილოვიჩი (11), დივაცი (11), გუროვიჩი, ლონჩარი (8), ლუკოვსკი (5), შჩეპანოვიჩი (3), ტარლაკი (12), ტომაშევიჩი (14), ტოპიჩი**

**მაკედონია: ბლაჟევსკი (8), ბოჩევსკი (6), ჩეკოვსკი, გეჩევსკი, ილიევსკი (7), იოვანოვსკი (9), კურტოვიკი (5), სრბინოვსკი (4), სტანკოვიკი (6), სტეფანოვი (23)**

ევროპის ჩემპიონატის წილისყრისა რა ვთქვათ, თორემ მაკედონია ასეთი ძლიერი ჯგუფისთვის ცოდო იყო. ეს ვაჟკაცური და განსწავლული გუნდი ნებისმიერ სხვა ჯგუფში რომ მოხვედრილიყო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მეორე ეტაპზე გასვლა უკვე დაბევებული ექნებოდა.

ახლა კი რა გამოვიდა? პირველი მატჩი მასპინძელ საფრანგეთთან, რომელიც ნეიტრალურ მოედანზე იქნებ სულ სხვანაირად დასრულებულიყო, მეორე მატჩი — იუგოსლავიასთან, რომლის სიძლიერეზეც კომენტარი ზედმეტია.

ახლა მაკედონიელთა ბედი დღევანდელ მატჩზე ჰკიდია. თუკი ექსიუგოსლავიელები ისრაელს სძლევენ, მეორე ეტაპზეც გავლენ. მაკედონიელთა ლიდერმა, შესანიშნავმა კალათბურთელმა პეტარ ნაუმოსკიმ იუგოსლავიასთან მატჩი შეგნებულად გამოტოვა — მტკივანი მუხლი დაასვენა და მთელი ძალები ებრაელთა წინააღმდეგ სათამაშოდ შემოინახა.

იუგოსლავია — მაკედონია კი მოსალოდნელი სცენარით წარიმართა.

იუგოსლავიელებმა უპრობლემოდ მოიგეს, თუმცა მაკედონიელები ღირსეულად თამაშობდნენ და ჟინიანად უმკლავდებოდნენ მეტოქეს. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებმა კვლავ გუნდურად ითამაშეს (ამის დასტური იუგოსლაველთა 25 პასია), მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი გამთამაშებელი საშა ობრადოვიჩი მოედანზე არ გამოსულა.

მაკედონია რიგიანად ესროდა სამქულიანებს (16-დან 9 ჩააგდეს). ხოლო ნაუმოსკის არყოფნაში ბომბარდირობა ვრბიცა სტეფანოვმა ითავა.

იუგოსლავია კი რა? როდის გავიგებთ ამ გუნდის რეალურ ძალას?

### საფრანგეთი 77:66 ისრაელი

(I ტაიმი 37:34)

**საფრანგეთი: აბდულ-ვაჰადი (19), რიგოდო (16), ბილბა (14), სკიარა (9), სონკო (8), ფუარე (6), რისაშე (3), გადუ (2), ჟულიენი, სმიტი**

**ისრაელი: შტეინჰაუერი (19), შეფერი (17), კატაში (12), ჰენფელდი (10), შელეფი (3), თურჯემანი (3), გუდესი (2), დანიელი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 2 | 2 | 0 | 164:129 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 148:133 | 4 |
| მაკედონია | 2 | 0 | 2 | 135:154 | 0 |
| ისრაელი | 2 | 0 | 2 | 127:158 | 0 |

კლერმონ-ფერანი

## B ჯგუფი

### რუსეთი 73:72 უნგრეთი

(I ტაიმი 35:30)

**რუსეთი: ავლეევი (5), ბაბკოვი (4), კარასიოვი (15), კისურინი (10), კუდელინი (21), კურაშოვი, ნოსოვი (5), ზ. პაშუტინი, ე. პაშუტინი (6), პანოვი (5), ტიხონენკო (2)**

**უნგრეთი: ბენცე (3), ბოროში, ციგლერი (3), დავიდი (17), გულიაში (17), კალმანი (14), მესაროში (15), ოროსი, პანკარი, შიტკუ (3)**

წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი უჩვეულოდ საინტერესო და დამაინტრიგებელია. ჯერ მხოლოდ ორი ტური გაიმართა და უკვე ამდენია უშელავათო ბრძოლა და მოულოდნელი შედეგი. კლერმონ-ფერანში გამართულ ამ მატჩშიც კინაღამ დიდი სენსაცია გამოაცხვეს უნგრელებმა. მათ საამისოდ ათიოდ წამი და მცირეოდენი გამოცდილება დააკლდათ.

ფავორიტად, რა თქმა უნდა, რუსეთი იყო მიჩნეული. მართლაც ძნელი წარმოსადგენი იყო, როგორ შეძლებდნენ უნგრელები მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონების მრისხანე უკანახაზთან გამკლავებას. მათ ხომ კარასიოვისა და კუდელინის დამჭერი მცველები არ ჰყავთ. ამიტომ იყო მოსალოდნელი, რომ ისინი თამაშს ძირითადად ცენტრალურ თავდამსხმელ გულიაშზე ააგებდნენ. მით უმეტეს, რუსებს ფარქვეშ მებრძოლი მაღალი კლასის კალათბურთელი არ ჰყავთ.

შეხვედრა მართლაც ასე წარიმართა. რუსთა გუნდისთვის ქულებს ძირითადად კარასიოვ-კუდელინის დუეტი აგროვებდა. ამ უკანასკნელმა 5 სამქულიანი ჩააგდო 12-დან (იმდენივე, რამდენიც მთელმა უნგრეთის ნაკრებმა). მათი მეტოქენი კი ყველანაირად ცდილობდნენ, ფარქვეშ თავიანთი პოტენციური უპირატესობა შედეგში აესახათ, რაც კარგადაც გამოსდიოდათ. უნგრელებმა ფარი 34-29 მოიგეს, გულიაში კი თავდამსხმელ დავიდთან ერთად თავისიანებში ყველაზე შედეგიანი იყო.

თამაში რუსების უპირატესობით დაიწყო. მათ, როგორც სჩვევიათ, ნელნელა გამოკვეთეს უპირატესობა, თუმცა ანგარიშში გვარიანად დაწინაურება ვერაფრით შეძლეს — მე-10 წუთისთვის მხოლოდ 14:13 აგებდნენ.

ასეთ ტურნირებს ნაჩვევ რუსებს არანაირად არ სურდათ თამაშის ტემპის გაზრდა. მათ კარგად იციან, რომ სათამაშო კიდევ ბევრია, ძალებს კი გაფრთხილება სჭირდება. უნგრელებმა საწინააღმდეგოს გაკეთება სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ასე აუღელვებლად ჩაამთავრეს ტაიმი ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა და შესვენებაზე ხუთქულიანი უპირატესობით გავიდნენ — 35:30.

რუსები მერეც წყნარად გაგრძელებას გეგმავდნენ, მაგრამ მეტოქემ ამის საშუალება აღარ მისცა და საკმაოდ ანერვიულა კიდეც. მეორე ტაიმში მშვენივრად მოთამაშე მესაროშის სამქულიანის შემდეგ (29-ე წუთი) უნგრეთი — 49:47 დაწინაურდა. ამას რუსეთი უნდა გამოეფხიზლებინა და ასეც მოხდა, მაგრამ მეტოქე აღარაფრის დათმობას არ აპირებდა. 35-ე წუთზე წინ კვლავ გულიაშის თანაგუნდელები არიან — 60:57. თამაშია — ქულა-ქულაზე, სირენამდე 23 წამით ადრე ანგარიში თანაბარია — 71:71 და დავიდმა ორი საჯარიმო უნდა ისროლოს. თავდამსხმელმა მხოლოდ ერთი ჩააგდო.

ბოლო შეტევა და რუსთა ბოლო იმედი. რამდენიმე წამი და მორიგი სენსაციაც მოხდება. თუმცა ამას ხელი ბენცემ შეუშალა: კარასიოვთან ბრძოლაში მან მეხუთე პერსონალური ჯარიმა, რუსების გამთამაშებელმა კი ორი საჯარიმოს ტყორცნის უფლება მიიღო. რუსი ორჯერვე ზუსტი გამოდგა და 73:72 რუსეთის სასარგებლოდ.

სენსაცია არ შედგა, მაგრამ ტურნირს ამით არაფერი დააკლდა. თუ არ გჯერათ, გადახედეთ სხვა ანგარიშებს.

### ესპანეთი 75:85 სლოვენია

(I ტაიმი 43:50)

**ესპანეთი: ერეროსი (29), დე მიგელი (10), კორალესი (9), დე ლა ფუენტე (6), დუენიასი (6), რომერო (6), როდრიგესი (5), ესტელერი (2), რეიესი (2)**

**სლოვენია: სმოდისი (27), დანეუ (13), ნესტეროვიჩი (12), ბეჩიროვიჩი (11), მილიჩი (10), ზდოვცი (8), კრალევიჩი (4), იეკლინი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 141:119 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 1 | 159:160 | 2 |
| სლოვენია | 2 | 1 | 1 | 132:143 | 2 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 2 | 147:157 | 0 |

ანტიბი

## C ჯგუფი

### თურქეთი 70:63 ხორვატია

(I ტაიმი 27:34)

**თურქეთი: ბეშოქი (10), ქონუქი (5), ქუთლუაი (9), ფარსი (4), სარიჯა, თუნჩერი (7), თურქჯანი (15), თურქოღლუ (18), ილდირიმი (2)**

**ხორვატია: გირიჩეკი (9), კრსტიჩი, კუკოჩი (17), მრშიჩი (18), მულაომეროვიჩი (6), პრკაჩინი (5), რუჟიჩი (3), ვუიჩიჩი (2), ზადრავეცი (3)**

გუშინწინ ხორვატია თითქმის წაგებული იყო, მაგრამ იტალიასთან 19-ქულიანი დეფიციტი გაქვითა და ორი ქულით მოიგო.

გუშინ ხორვატია თითქმის მოგებული იყო, მაგრამ თურქეთთან 10-ქულიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და შვიდი ქულით წააგო.

გუშინ ხორვატია გუშინწინდელი იტალიის დღეში ჩავარდა.

ხორვატებმა თურქეთთანაც უსახურად დაიწყეს. მათ შეტევებს სისწრაფე აკლდა. თურქებმა ცენტრზეააწყვეს თამაში და არც შემცდარან: ჰუსეინ ბეშოქს ღირსეული წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია და ისიც ფარის ბატონპატრონი შეიქნა. ხორვატებს ხეირიანი ცენტრი არ ჰყავდათ, ჯეელი ნიკოლა ვუიჩიჩი ბეშოქს ვერ უმკლავდებოდა. თურქები სულ წინ იყვნენ, მერვე წუთზე კი ხუთი ქულით დაწინაურდნენ, 13:8 იგებდნენ.

ბალკანელთაგან, რა გასაკვირია და, ტონი კუკოჩმა ითავა ლიდერობა. მას ვალკო მრშიჩიც აჰყვა, ოღონდ ყველაფერს ეს ორნი აკეთებდნენ — ბურთის გათამაშებით დაწყებული, მოხსნით დამთავრებული. ხორვატთა მწვრთნელმა ხუთეულიდან ამოაგდო მულაომეროვიჩი და მის ნაცვლად გამთამაშებლად გაამწესა კრსტიჩი, რომელმაც ვერ გაამართლა. მულაომეროვიჩს გაუჭირდა თამაშში ჩართვა. ამიტომ კუკოჩმა ნაწილობრივ მისი საქმეც აკეთა.

ასე იყო თუ ისე, ხორვატებმა თამაში ააწყვეს და კუკოჩის დროც დადგა. სულ რაღაც ორ წუთში ამ სუპერვარსკვლავმა ორი სამქულიანი ჩააგდო, ერთხელ მრშიჩს ასროლინა შორიდან და ხორვატია 26:19 დაწინაურდა. კუკოჩი ტაიმის ბოლომდე მძლავრობდა, კიდევ ერთი სამქულიანი ჩააგდო და მისი გუნდი დაარხეინებული წავიდა დასასვენებლად.

მეორე ტაიმის დასაწყისში თურქეთმა თითქოს თვალებში გამოიხედა, მაგრამ კუკოჩის შეგულიანებულმა მრშიჩმა და მულაომეროვიჩმა არ დაანებეს. პირველმა ორი საჯარიმოს ფარქვეშიდან ჩაგდებული ბურთი მიუმატა, მეორემ კი გარღვევებით იყოჩაღა. ამასობაში მატჩის 27-ე წუთმაც მოატანა და ხორვატია მატჩში ყველაზე დიდი სხვაობით, ათი ქულით დაწინაურდა — 48:38.

ხორვატმა კალათბურთელებმა ისე წაიყვანეს საქმე, რომ უკუკოჩოდ ვერაფერს აკეთებდნენ. თურქები მიხვდნენ ამას და ტონის წინააღმდეგ დაიწყეს თამაში: ეუხეშებოდნენ, ხშირად მასზე ჯარიმდებოდნენ. მიზანსაც მიაღწიეს — კუკოჩმა წონასწორობა დაკარგა და ერთი-ორჯერ მეტოქეს ბურთი ტყუილ-უბრალოდ გადაულოცა. არც გაემტყუნება, თანაგუნდელები არ ეხსნებოდნენ და მარტოკაცს რა უნდა ექნა. თურქთა გამთამაშებელმა ქერემ თუნჩერიმ (სრული 40 წუთი ითამაშა) კი თავისიანების თამაში დაალაგა და ჩვენი მეზობლების შეტევებს შედეგი შეემატა. აქედან თურქჯანი უტევდა, იქიდან — თურქოღლუ; ბეშოქიც, ასე თუ ისე, ინარჩუნებდა უპირატესობას ფარზე. დაღლილი კუკოჩი ორი წუთით გავიდა თამაშიდან, მისი შემცვლელი ზადრავეცი (ჩვენი დავით ბერძენიშვილის თანაგუნდელი „სლოვაკოფარმაში“) ბეშოქის შეჩერებას შეეცადა და მასზე ჯარიმდებოდა. ამასობაში რვა წუთი მიიწურა და ამ ხანში ხორვატებს ქულაც ვერ შეემატებინათ.

დამთავრებამდე 4 წუთით ადრე ბეშოქმა საჯარიმოთი ანგარიში გაათანაბრა. შემდეგ ერთმანეთს შეენაცვლა ზადრავეცის ორი ქულა პლუს საჯარიმო, ბეშოქის საჯარიმო, თურქჯანის სამქულიანი, გირიჩეკის სამქულიანი და თურქოღლუს გარღვევა.

ქულების ამ კორიანტელის ჩათავებისას გაირკვა, რომ თურქეთი 57:56 იგებს.

ხორვატთა მეთაურობა მულაომეროვიჩმა მოინდომა, მაგრამ დაბნეულობისგან ზედიზედ ორჯერ დაკარგა ბურთი. თურქები თავიანთ შანსს ხელიდან არ უშვებდნენ, ხოლო კუკოჩის მიერ 10 მეტრიდან ჩაგდებულმა სამქულიანმა მხოლოდ ამ მოთამაშის დიდოსტატობას გაუსვა ხაზი, თორემ მატჩის ბედის შეცვლა ველარ შეძლო.



AFP ანტიბიდან

თურქეთი — ხორვატია. ტონი კუკოჩს თურქი უფუკ სარიჯა (№15) ებრძვის

### იტალია 64:59 ბოსნია

(I ტაიმი 36:30)

**იტალია: მაიერსი (22), მენეგინი (12), გალანდა (7), ფუჩკა (6), მარკონატო (6), დე პოლი (6), კიაჩიგი (4), ბაზილე (1)**

**ბოსნია: მარკოვიჩი (23), ფირიჩი (17), ლერიჩი (7), ალიპოჯიჩი (4), ბეჩირაგიჩი (3), მირკოვიჩი (3), მუეძინოვიჩი (2)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 2 | 2 | 0 | 127:105 | 4 |
| იტალია | 2 | 1 | 1 | 132:129 | 2 |
| ხორვატია | 2 | 1 | 1 | 133:138 | 2 |
| ბოსნია | 2 | 0 | 2 | 101:121 | 0 |

დიჟონი

## D ჯგუფი

### ლიტვა 84:74 გერმანია

(I ტაიმი 32:32)

**ლიტვა: ადომაიტისი (14), ეინიკისი, იასიკევიჩუსი, კარნიშოვასი (5), კ. მარჩულიონისი (6), მასიულისი (6), მასკოლიუნასი (1), საბონისი (20), შტომბერგასი (24), ე. ჟუკაუსკასი (2), მ. ჟუკაუსკასი (6)**

**გერმანია: არიგბაბუ (2), ბოგოევიჩი (6), ფემერლინგი (11), ლუტკე (3), ნეესი (1), ნოვიცკი (16), ნიურნბერგერი (3), ოკულაჯა (11), როდლი (4), ტერდენგე (1), ტომიჩი (7), ვუხერერი (9)**

ამ შეხვედრის მონაწილეებმა პირველ ტურში სენსაციებით გაგვაკვირვეს. ლატვიამ რომ ჩეხეთთან წააგო, გერმანიამ საბერძნეთი დაამარცხა. თუმცა მეორე ტურმა ისიც გვაფიქრებინა, რომ იმ მატჩთა შედეგები არცთუ დიდი მოულოდნელობა ყოფილა — ჩეხეთმა ხომ საბერძნეთსაც მოუგო.

ლიტველებისთვის წაგება, ფაქტობრივად, ჯგუფიდან ვერგასვლას ნიშნავდა. ამიტომაც მათ თავგამოდებით დაიწყეს თამაში, აქცენტი ძირითადად მობილურ და სწრაფ უკანა ხაზზე გააკეთეს. სასტარტო ხუთეულში ალბათ ამიტომაც ვერ ვიხილეთ „პორტლენდის“ ცენტრი არვიდას საბონისი, რომელიც წინა მატჩში ოდნავ დაღლილი ჩანდა, თუმცა მაინც დიდი ძალაა. მის თამაშში ჩართვამდე გერმანელთა დალასელი ცენტრი ნოვიცკი კი ლაღობდა, მაგრამ საბონისმა მალე მას თავისი ადგილი მიუჩინა.

მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო კალათბურთელმა ფარზე არავინ გააჭაჭანა, 11 მოხსნა, 4 პასი, 20 ქულა მიითვალა და თავისიანების გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

მისი ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად ლიტვამ ხეირიანად დაწინაურება ბოლო წუთებშიღა მოახერხა. მანამდე კი, პირველ ტაიმში, გერმანელები ერთი ხანობა 8 ქულასაც იგებდნენ, მაგრამ შესვენებამდე ანგარიში მაინც გათანაბრდა — 32:32.

ასე, ქულა-ქულაში გაგრძელდა 35-ე წუთამდე, ანუ 65:65-მდე. აქედან მოყოლებული სამი წუთის მანძილზე ლიტველებმა მოწინააღმდეგეს ქულაც არ გააკეთებინეს, თვითონ 10 მიითვალეს და მატჩის ბედიც გადაწყდა. აღსანიშნავია, რომ 10:0 მოგებულ მონაკვეთში შტომბერგასმა ხუთიდან ხუთი საჯარიმო ჩააგდო და მის გუნდს ამან საკმაო შვება მოუტანა.

წაგების მიუხედავად გერმანელებს მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი არ დაუკარგავთ. არც ლიტველებს გაუნაღდებიათ იგივე. ამ ჯგუფში მხოლოდ ჩეხებმა მოიგვარეს საქმე ბერძენთა ძლევით. დანარჩენების ბედს კი დღევანდელი ტური გადაწყვეტს.

### საბერძნეთი 72:83 ჩეხეთი

(I ტაიმი 33:34)

**საბერძნეთი: ბალოიანისი, ბუდურისი (9), იანულისი (19), კალაიცისი, კარაგუტისი, კორონიოსი (16), პაპანიკოლაუ (21), სიგალასი (4), სულისი (3), ცაკალიდისი**

**ჩეხეთი: ბარტონი (26), ბეჩვა (23), ჩუდეკი, იდესი, კლაპეტეკი (3), ნოვაკი (6), ოკაჩი (2), ტრემლი (5), ვაჰალა (5), ი. ველში (13)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 2 | 2 | 0 | 161:134 | 4 |
| ლიტვა | 2 | 1 | 1 | 146:152 | 2 |
| გერმანია | 2 | 1 | 1 | 133:142 | 2 |
| საბერძნეთი | 2 | 0 | 2 | 130:142 | 0 |

შვედეთი

XI ტური
მალმიო 1:1 გიოტებორგი

# მშვიდობის მტრედი

*უიმბლდონი ხურდება და დიდი ბრძოლებიც წინაა. თუმცა, რატომ ჩამოჯდომია ფრანც არნო დი პასკალს მშვიდობის მტრედი, არავინ იცის. თუმცა, როგორ არა: მშვიდობის მტრედს იმგვარად დაუმშვიდებია ფრანცი, რომ ამ უკანასკნელს უმტკივნეულოდ წაუგია ბრიტ ტიმ ჰენმანთან.*

REUTERS უიმბლდონიდან








# ხვრელთამპყრობელი

*პეინ სტიუარტმა მეთვრამეტე ხვრელში ჩააგორა ბურთი და ამერიკის მეგოლფეთა ღია პირველობის გამარჯვებული შეიქნა. სტიუარტმა სულ ცოტათი აჯობა ფილ მიკელსონს და არა მხოლოდ თასი ასწია, არამედ მეუღლეთ — ტრეისი ფერგიუსონი. ბარაქალა ყვანჯოსანს!*

# ძველი დიადნი სიდნეიში

REUTERS სიდნეიდან



გაისად რომ სიდნეიში ოლიმპიადა უნდა გაიმართოს, საპრეზენტაციო ღონისძიებები წლეულსვე ხურდება. „ოლიმპიური კვირეულის" ეგიდით სიდნეის ოლიმპიურსავე სტადიონზე შეკრებილან 1500 მეტრზე რბენის ლეგენდები (მარცხნიდან მარჯვნივ): ავსტრალიელი ჯონ ლენდი, ბრინჯაო რომ მოუგია 1956 წლის მელბურნის ოლიმპიადაზე; ლოს ანჯელესის 1984 წლის თამაშების ვერცხლისმედალოსანი სტივკრემი; 1976 წელს, მონრეალის ოქროს მომგები ზელანდიელი ჯონ უოკერი; ირლანდიელი რონი დილენი, მელბურნის თამაშების ჩემპიონი; მეხიკოს 1968 წლის ოლიმპიადის გამარჯვებული კენიელი კიპ კენო; 1960 წელს რომის ოქროს მფლობელი ავსტრალიელი ჰერბ ელიოტი და ახალზელანდიელი პიტერ სნელი, რომელსაც ტოკიოს ბილიკზე მოუგია ჩემპიონობა 1964 წელს.

# განკურნებული

*„ატლანტა ბრეივსის" ბეისბოლისტთა გუნდის ვენესუელელი ვარსკვლავი ანდრეს გალარაგა მშობლიურ კარაკასში ჩასულა და პრესკონფერენციის გამართვას აპირებს. ვენესუელელები შეშფოთებულნი არიან — 38 წლის გალარაგას ლიმფური ჯირკვლის კიბო აღმოაჩნდა ამა წლის თებერვალში. მაგრამ ვარსკვლავი აცხადებს, რომ მკურნალობამ შედეგი გამოიღო და ახალი სეზონიდან თამაშიც შეუძლია.*



REUTERS კარაკასიდან



# მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ

ნიუ იორკის ბრაიანტ პარკის უზარმაზარ საჭადრაკო დაფაზე გარი კასპაროვი პირველ სვლას აკეთებს. ასე იწყება მაიკროსოფტის კორპორაციის მიერ ორგანიზებული საჭადრაკო სერია, რომელშიც ყველა მსურველს შეუძლია მონაწილეობა. საინტერნეტო ჭადრაკი მსოფლიო ჩემპიონის წინააღმდეგ ახალი გამოგონებაა. კასპაროვი კი მეტოქეთა სვლებს ელის.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე

უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის
გამზირი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29